# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 5 ოქტომბერი. № 40 (2768) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.


1991



1991

## „ლიტერატურული საქართველო“ მკითხველებისთვის გამოდის!

შეგახსენებთ ხელმოწერის ფასს: 1 წლით — 20 მან. 80 კაპ, 6 თვით — 10 მან. 40 კაპ, 3 თვით — 5 მან. 20 კაპ.

გაზეთი გაძვირდა, ძაბრამ ისე არა, რომ ძველი მეგობრობა დაგვავიწყდეს!

---

**მოსკოვი,**
**ვესნინის ქ. 5,**
**იტალიის სრულუფლებიანსა და საგანგებო ელჩს საბჭოთა კავშირში — ბატონ ფერდინანდო სალეოს**

ბატონო ელჩო!

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი დიდი იტალიელი მწერლის, მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ალბერტო მორავიას გარდაცვალების გამო.

ალბერტო მორავიას შემოქმედება, რომელიც ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის უკეთილშობილესი იდეებითაა გამსჭვალული, ათეული წლების მანძილზე ემსახურებოდა ქვეყნად სიკეთისა და სათნოების დამკვიდრებას.

ქართველი მკითხველისათვის, რომელიც მშობლიურ ენაზე ეცნობოდა ამ ჭეშმარიტი შემოქმედის ნაწარმოებებს, ალბერტო მორავია განასახიერებდა თავისუფლებისმოყვარე, დიდი ისტორიული წარსულისა და უმდიდრესი კულტურის მქონე იტალიელ ხალხს. ამიტომაც ღრმაა ჩვენი მწუხარება მისი გარდაცვალების გამო.

უმორჩილესად გთხოვთ, განსვენებულის ოჯახს, მთელ იტალიელ ხალხს გადასცეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი.

**საქართველოს მწერალთა კავშირი.**

# „თუ ამას გავიგონებდი..."

ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარეს ბატონ **ზვიად გამსახურდიას**



—ბ-ნო ზვიად, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ერთობ რთულია, ვიტყოდი, უძნელესად თავგასართმევიც კი! ამგვარ სიტუაციაში რიგით მოქალაქეს კი არა, ამა თუ იმ პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ლიდერებსაც კი უჭირთ, ალბათ, სწორი და შეუმცდარი გზის აღება... ეგების კიდევ ერთგზის მოახსენოთ საქართველოს მრავალეროვან, არაერთფეროვან საზოგადოებას ამის თაობაზე.

— საქართველოს დღევანდელი ვითარება მართლაც რთულია და ძნელად სამართავიც, ვინაიდან დღესდღეობით კრემლმა შეცვალა ტაქტიკა ეროვნულ მოძრაობასთან ბრძოლისა; მან დაინახა, რომ რეპრესიებით, პირდაპირი ოფიციალური ბრძოლით ვერაფერს დააკლებს ოპოზიციურ მოძრაობას, ამიტომ შექმნა ცრუ ოპოზიციები ყველგან, შექმნა ინტერფრონტები, მაფიოზური ძალები და დაუპირისპირა ეროვნულ მოძრაობას.

იგივე ხდება საქართველოშიც — ნამდვილ, შეურიგებელ და დემოკრატიულ ოპოზიციას დაუპირისპირდა ცრუ ოპოზიცია, რომელიც ოფიციოზთან შეთანხმებით მოქმედებს და ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, ირჩევს ე. წ. ეროვნულ კონგრესს, რომელიც უნდა იყოს მეორე ხელისუფლება და დაძაბოს ურთიერთობა საქართველოში, გამოიწვიოს ანარქია, ქაოსი და, შესაძლოა, სამოქალაქო ომიც. აი, ასეთია კრემლის ჩანაფიქრი. ე. წ. კონგრესი არის კრემლის უკანასკნელი იმედი. ა. წ. მარტში გამართულ ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე მეც მომხრე ვიყავი ეროვნული კონგრესისა, მაგრამ იმჟამად განზრახული იყო **მხოლოდ შეურიგებელი ოპოზიციის-წარმომადგენელთა შეყვანა** კონგრესში. დღეს კი, თუ გადავხედავთ მომავალ კონგრესმენთა სიას, დავინახავთ, რომ საკმაოდ „შეურიგებელი", კოლაბორაციონისტული და მაფიოზური ძალები აპირებენ მასში შესვლას. გარდა ამისა, თავიდან განზრახული იყო, რომ კონგრესი უნდა აერჩია საქართველოს **კანონიერ** მოსახლეობას და ჯერ უნდა განსაზღვრულიყო ამ კანონიერების სტატუსი. ახლა ეს ყოველივე დაივიწყეს და განურჩევლად ყველას აძლევენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, ოღონდ ხმები მოაგროვონ. ყოველივე ამასთან ერთად იმჟამად არ არსებობდა პერსპექტივა დემოკრატიული, მრავალპარტიული საარჩევნო კანონისა უზენაეს საბჭოში, რასაც ესოდენ დიდი ბრძოლით მივაღწიეთ. აი, რატომ აღარა ვარ დღეს კონგრესის მომხრე და ზედმეტად მიმაჩნია იგი, უფრო მეტიც, ერისათვის დიდი საფრთხის შემცველად. გარდა ამისა, ეს კომპარტია, რომელიც ხედავს, რომ დიდი პერსპექტივა არა აქვს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებისა, ცდილობს, შემოიყვანოს სატელიტური ორგანიზაციები, როგორებიცაა, მაგალითად, ორგანიზაცია „სტალინი", სახალხო პარტია, და სხვანი, რათა უფრო ფართო ფრონტით შემოუტიოს ოპოზიციურ ძალებს.

— საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს ამასწინანდელმა დადგენილებამ ზოგიერთი ორგანიზაციის არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესახებ კიდევ უფრო დაძაბა ისედაც დამუხტული სიტუაცია. „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მემორანდუმი, რაც, თავის მხრივ, უპასუხოდ არ დარჩენილა, ოპოზიციური ძალების მხრიდანაც კი...

— საბჭოთა სასამართლოს კავშირი ოფიციოზთან ყველასთვის ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა სასამართლო არასოდეს დამოუკიდებლად არავითარ გადაწყვეტილებას არ იღებს. მით უმეტეს, ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა პარტიების რეგისტრაციის საკითხი. ასე რომ, საბჭოთა სასამართლო, ესაა მხოლოდ პოლიტიკური შირმა კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილების შესანიღბავად და ეს განზრახვა, ცრუ პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია, მომდინარეობს თავად კომუნისტური პარტიისაგან, ოღონდ ამჯერად საბჭოთა სასამართლოს ხელით. ახლახანს გაირკვა, რომ პროკურატურამ მხოლოდ ოთხ პარტიასა და ორგანიზაციაზე დაწერა პროტესტი. საბოლოოდ სიმართლე გაიმარჯვებს თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მემორანდუმის წინააღმდეგ ტელევიზიაშიც იყო გამოსვლა. ცდილობდნენ, ჩვენთვის ბრალი დაედოთ სტალინიზმში, როდესაც ჩვენ თვითონვე ვებრძვით საზოგადოება „სტალინს" და ასეთ აღმაშფოთებელ მოვლენებს.

— კომუნისტური პარტია, უფრო სწორად, მისი მმართველი ძალა, ე. წ. საქართველოს კომპარტიის (არსებობს კი ასეთი კომპარტია?!) ცენტრალური კომიტეტი საკმაოდ ენერგიულად, სხვადასხვა, ზოგჯერ არცთუ გასაზიარებელი საშუალებით, ილვწის პოლიტიკური, წინასაარჩევნო დივიდენდების დასაგროვებლად. აი, რას ვწყდებით 11 სექტემბრის „კომუნისტში" გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის (?) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში: „იმათ, ვინც ცდილობს შეურიგებელი დაპირისპირების ატმოსფერო შექმნას, უნდა ახსოვდეს, რომ საქმე ეხება ჩვენი (ვისი, ვინ არის ეს „ჩვენი"? — კორ.) პარტიის დღევანდელ წევრებს, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას საერთო არაფერი აქვს წარსულის მძიმე ტვირთთან და რომლებიც, თუ მათი ოჯახის წევრებსაც გავითვალისწინებთ, ერის დიდ ნაწილს შეადგენენ".

ხედავთ, ოჯახის წევრებიც გამოიყვანეს სამოქმედო ასპარეზზე, ყოველ შემთხვევაში, მათი დაპირისპირების ცდა, არჩევნებში საკმაო, „თანამდგომი" ძალების ძიების გზები ისახება, რაიც, ვფიქრობთ, სათანადო კომენტარს საჭიროებს...

— კომუნისტური პარტია საქართველოსი, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ეს არის სკკპ-ს რეგიონალური ფილიალი. იგი, რასაკვირველია, ილვწის წინასაარჩევნო დივიდენდების მოსაგროვებლად. თქვენ მართებულად ბრძანებთ, რომ მათ ამჟამად მოიშველიეს თავიანთი ოჯახის წევრები, მაგრამ აქ კი უნდა მოვახსენოთ მათ, რომ ეს სიტუაციის აშკარა გაყალბებაა. სწორედ ოჯახების მხრივ აქვთ მათ უდიდესი ოპოზიცია; ეს ჩვენთვის ცნობილია კონკრეტულ მაგალითებზე. ამას წინათ ერთ-ერთი ფუნქციონერი იხვეწებოდა, ნუ გამომაცხადებთ მიტინგზე, ვინაიდან ოჯახის წევრები სახლში არ მიმიშვებენო. ეს ტიპიური მოვლენაა ფუნქციონერთა ოჯახებში...

ასე, რომ, მათი ოჯახის წევრებს არ უნდა დავუკარგოთ ერთი მნიშვნელოვანი რამ: ისინი არ მიდიან მამების კვალზე და მათ აიძულებენ, ძალიან ხშირად თავი შეიკავონ ამა თუ იმ უმსგავსო ნაბიჯისაგან. ამისთვის მათ მადლობას მოვახსენებთ...

ასეთია ჩვენეული კომენტარი ამ ფალსიფიკაციაზე.

—ხომ არ გაგვიზიარებდით საკუთარ თვალსაზრისს, მიდგომას, პოზიციას შესახებ იმისა, რომ საქართველოს ცკ იმავე „კომუნისტში" მიმართავს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების წარმომადგენლებს, მოაწყონ „შეხვედრა პარიტეტულ საწყისებზე, შეიმუშავდეს და გამოთქვეს ერთობლივი განცხადება იმის თაობაზე, რომ ყველა მათგანი, პარტიულ-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა შეხედულებების მიუხედავად, კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას და იძლევა გარანტიას განუხრელად ხელმძღვანელობდეს საქართველოს უზენაესი ინტერესებით..."

—განცხადებას იმის თაობაზე, რომ კომპარტია მიმართავს არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენლებს, მოაწყონ შეხვედრა პარიტეტულ საწყისებზე, ჩვენ არ ვიზიარებთ, ვინაიდან არ ვთვლით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არჩევნებში კანონიერად რეგისტრირებულად თუნდაც იმიტომ, რომ თავიანთი ლიდერის მ. გორბაჩოვის ხელმოწერით არ წარმოუდგენიათ განაცხადი და, გარდა ამისა, იგი მიგვაჩნია დანაშაულებრივ ორგანიზაციად, რომელსაც არა აქვს არავითარი მორალური და იურიდიული უფლება საქართველოში არსებობისა. ჩვენ მის ხელმძღვანელ როლს არ ვცნობთ მმართველ პარტიად, ვთვლით უზურპატორად ძალაუფლებისა და არა ხალხის არჩეულად.

—ობივატელი საქართველოშიც ობივატელია და აი, არცთუ იშვიათად გაისმის ხმები, რომ ოპოზიცია აპირებს სკკპ წევრების მიმართ ანგარიშსწორებას. პირადად მე, არსად, არცერთ ოფიციალურ გამოსვლაში (ოპოზიციურ პარტიათა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციათა ლიდერებს ვგულისხმობ) მსგავსი რამ არ მსმენია და არც წამიკითხავს! სხვა საქმეა, მიტინგზე თუ არაოფიციალურ ვითარებაში გამოკრთება „მკვახე შეძახილი" და ეს, ვფიქრობ, იწვევს სკკპ წევრთა დიდი ნაწილის ჭოჭმანს, სიფრთხილესა და ზოგჯერ, მეპატიოს, შიშსაც კი... საჭიროა, ერთხელ და საბოლოოდ გარკვევით ითქვას ამის შესახებ. იქნებ საჭირო იყოს ოპოზიციურ ძალთა ერთობლივი განცხადებაც კი. ასეთი ნაბიჯი თავისებური „კონტრშანსიც" შეიძლება აღმოჩნდეს უზენაესი საბჭოს არჩევნებში...

საერთოდ კი, ვფიქრობ, სჯობდა სკკპ საქართველოს კპ ცკ-ს არაორაზროვნად მიემართა რიგითი წევრებისათვის, კონკრეტულად განესაზღვრათ თავისი პოზიცია პარტიის რიგებში ყოფნა-არყოფნის ირგვლივ... მაგრამ, საეჭვოა, რომ ხელმძღვანელობა ამას მოიმოქმედებს. საჭირო კი იყო, მათთვისაც და, საერთოდ ჭეშმარიტი დემოკრატიის თვალთახედვითაც.

— ობივატელი საქართველოშიც ჩამდვილად ობივატელია. ამით სარგებლობს კომუნისტური პარტია და ავრცელებს ცრუ ხმებს, თითქოს ჩვენ ვაპირებთ მომავალში ანგარიშსწორება მოვუწყოთ პარტიის წევრებს და სხვა. ესაა აბსოლუტური აბსურდი, ვინაიდან ამ პარტიის წევრთა უმრავლესობა იძულებითაა კომპარტიაში და მათ არც ვთვლით საერთოდ კომუნისტებად, არამედ გზააბნეულ ადამიანებად, რომლებიც ცხოვრებამ, მატერიალური კეთილდღეობის ძიებამ აიძულა, ასეთი ნაბიჯი გადაედგათ და მათი დიდი უმრავლესობა ნანობს კიდევაც ამის თაობაზე. ასე რომ, მათთან არავითარი დაპირისპირება არა გვაქვს. რაც შეეხება „შურისძიებას", ჩვენ ქრისტიანები ვართ, და არავითარი წარსული ცოდვებისათვის არ ვაპირებთ სამაგიეროს მიზღვას; ხოლო რაც შეეხება მხილებას, ჩვენ მათ ვამხელდით და მომავალშიც ვამხელთ ერის წინაშე.

ასეთ სიყალბეს სჩადიოდა წინანდელი ხელმძღვანელობა, რომელმაც ეროვნული მოძრაობა დაასმინა იაკოვლევთან, თითქოს კომუნისტებს ფიზიკური განადგურებით ვემუქრებოდით, რითაც მიაღწიეს საქართველოში ჯარის შემოყვანას და რასაც მოჰყვა 9 აპრილის ტრაგედია.

აქვე უნდა ითქვას, რომ სრული უსაფრთხოების გარანტიას ვაძლევთ ყველა არაქართველ მცხოვრებს ჩვენი რესპუბლიკისა, რომელნიც თავიანთი საქმიანობით, ცხოვრების წესით ქართველი ერის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებიან და არ სჩადიან რაიმე უკანონობას.

რასაკვირველია, ამის თაობაზე მალე მოხდება ჩვენი, ოპოზიციური ძალების ერთობლივი განცხადება, რათა გავფანტოთ ყოველგვარი მსგავსი დეზინფორმაცია. დღევანდელ ხელმძღვანელობას არ ეყოფა იმდენი გამბედაობა, მიმართოს თავის წევრებს, რომ განსაზღვრონ თავიანთი ნამდვილი, რეალური პოზიცია, ვის სურს პარტიაში ყოფნა, ვინ იზიარებს პარტიის პლატფორმას, რამეთუ იცის, რომ 99% არ არის იდეური მრწამსით ამ პარტიაში, არამედ სულ სხვა, კონიუნქტურული მოსაზრებებით, ამიტომაც ის ვერ გაბედავს ამგვარ მიმართვას.

—ერთი საჩოთირო თუ უხერხული, მოარული თქმა მკვიდრდება ჩვენში, ყოველ შემთხვევაში, თბილისში მაინც: „რუსთაველის პროსპექტს რომ გასცდები, კაცმა არ იცის, ვინ რას მოიმოქმედებს..." მოგეხსენებათ, ამომრჩეველთა პოზიციებზეა საუბარი...

— საქართველოს არაერთგვაროვანი მოსახლეობა მართლაც ვერ არის კარგად გაცნობიერებული პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ-ყოფით სიტუაციებში, ამის გამო სისტემატურად დავდივართ რაიონებში, ვაწყობთ მიტინგებს, შეხვედრებს, რომ განვუმარტოთ ხალხს ჩვენი პოზიცია, მოთხოვნები, ვინაიდან უზარმაზარი დეზინფორმაციული აპარატი კომპარტიისა მოქმედებს და ყველგან ახერხებს თავისი ყალბი ხმების გავრცელებას, ამახინჯებს ჩვენს პოზიციას. მაგალითად, ამას წინად მთელ კახეთში გაავრცელეს ხმები: ზ. გამსახურდიამ შემოთვალა, უჩემოდ არ გაბედოთ რთველის დაწყება, ვინც ერთ მტევან ყურძენს მაინც მოწყვეტს, ჩემთან ექნებაო საქმე(!)... აი, სადამდე მიდიან, რათა მომავალი „დიქტატორით" დააშინონ ხალხი! რასაკვირველია, მათ ვერ გავეჯიბრებით, იმიტომ, რომ მონოპოლიზირებული აქვთ ყოველგვარი საინფორმაციო საშუალება, მაგრამ მაინც ვახერხებთ წინააღმდეგობას.

— გმადლობთ... როგორც ვაჟა ბრძანებდა, „ეგებ ინებოს ბატონმა, გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა"...

—ეგება, მართლა ინებოს ღმერთმა და ბარემ მივაყოლებდი: „თუ ამას გავიგონებდი, არ ვიტირებდი მკვდრებზედა"... იმისა გამო, რომ ბევრი შეეწირა ურჩხულთან ბრძოლას და საუკუნოდ იქნება მათი ხსენება თავისუფალ საქართველოში.

# „ილიაობა" ალიბეგლოში

სანუკვარად მომზადებულმა ზეცამ როგორღაც „შეიკავა თავი"... ნაშუადღევს მზემაც კი გამოანათა...

ალბათ იმიტომ, რომ დიდი ილიას ნათელ სახელს, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ დღეობას შავი ღრუბელი არ შეშვენოდა...

და, ალბათ, კიდევ იმიტომ, რომ ამ დღეობას მრავალჭირგამოვლილი და ბედის უკულმართობის გამო ამ პირს შეწირული ძველი ჰერეთი (საინგილო) ზეიმობდა.

კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში სახალხო ზეიმის — „ილიაობას" დამკვიდრება განაპირობა სოფლის სახალხო თეატრისთვის ილია ჭავჭავაძის სახელის მინიჭებამ და ა/წ 16 სექტემბერს უკვე რიგით მეოთხე ზეიმი გაიმართა ალიბეგლოში.

სოფლის საზეიმო განწყობილებას მთელი საინგილოს მოსახლეობასთან ერთად იზიარებდნენ სტუმრები.

დიდი ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ზეიმზე სიტყვა წარმოთქვა და ილიას ღვაწლზე ისაუბრა ალიბეგლოს სახალხო თეატრის რეჟისორმა ანზორ დოლენჯაშვილმა.

სიტყვით გამოვიდა ქ. რუსთავის ქალაქკომის გამგე ავთანდილ მარუაშვილი, დოცენტი გიორგი ჩანგაშვილი, პოეტი თამარ პაპიაშვილი, აზერბაიჯანის კომპარტიის კახის რაიკომის პირველი მდივანი შეიდ მალახოვი, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, კახის რ-ნის სახალხო ფრონტის წარმომადგენელი ქემალ მუხტაროვი, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" განყოფილების გამგე მამედ გულმამედოვი, ქ. რუსთავის სახალხო ფრონტის წარმომადგენელი ნუკრი არჩვაძე, ბელაქნის ხოფ. ითითალის მკვიდრი თალიკო თამაზაშვილი, საქველმოქმედო საზოგადოება „ჰერეთის" თავმჯდომარე ლადო ახლამაზაშვილი, მამა ილარიონი...

ქ. რუსთავის წარმომადგენლებმა ალიბეგლოს კულტურის სახლს დაუტოვეს სამახსოვრო საჩუქრები. შემდეგ კი გაიმართა კონცერტი.

მაყურებელთა წინაშე წარსდგა ამიერკავკასიის ნორჩ შემოქმედთა კონკურსების ლაურეატი, ზაქათალის რ-ნის ხოფ. ალიაბადის ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი „მერცხალი", კახის კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „შვიდკაცა", საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი (ხელმძღვანელი ჯემალ ჭუკაძელი)...

სოფლის სახალხო თეატრის დასმა წარმოადგინა 9 აპრილისადმი მიძღვნილი კომპოზიცია.

ზეიმის დასასრულს მამა ილარიონმა ალიბეგლოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადაიხადა პარაკლისი.

**ლუიზა ლაწუნაშვილი**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

# პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის

ოთარ ჩხეიძე

მარქსისტ-თეორეტიკოსებმა ყველა თეორია რო თავდაყირა დააყენეს. იგივე ბედი ეწია სახელმწიფოს თეორიასაცა.

სახელმწიფოს თეორიაც კლასობანას განსაზღვრებიდან გამოიტანეს, — კლასობანას განსაზღვრებიდანა და ისტორიის ფორმაციებად დაყოფისაგანა.

ჰქონდათ ფეოდალიზმი და ფეოდალური სახელმწიფო, სადაც ვითომ მეტი საქმე თუ მიზანი არ გააჩნდათ, გარდა იმისა, რო მეფე და ფეოდალები ჰყვლეფდნენ ყმაგლეხებსა.

ჰქონდათ კაპიტალიზმი და ჰქონდათ კაპიტალისტური სახელმწიფო, სადაც ვითომ მეტი საქმე თუ დანიშნულება არ გააჩნდათ, გარდა იმისა, რო კაპიტალისტები ჰყვლეფდნენ პროლეტარებსა.

ჰქონდათ — ჯერ თეორიაში ჰქონდათ, მერე ვითომც რო მოიპოვეს თუ შეჰქმნეს სოციალისტური სახელმწიფო, სადაც ვითომ გაბატონდნენ თვით მშრომელები და აღარავინ აღარავის აღარა სჩაგრავდა, აღარა ჰყვლეფდა ესე იგი; ის, რო გაანადგურეს საუკეთესო ინტელიგენცია, ერისა და ერების განათლებული ნაწილი, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, აუცილებლობად გამოაცხადეს, ვითომც ისეთი პროგრესული და ამაღლებული სახელმწიფოსჭთვისა, სოციალისტური სახელმწიფო რო გახლდათ.

სახელმწიფოს კლასიკურმა თეორიამ ასეთი დაყოფა არ იცის, არც ასეთი განმარტებანი არ იცის.

კლასიკური თეორიის მიხედვით სამი სახელმწიფო სისტემა გამოიყოფა: სამეფო-მონარქისტული, რესპუბლიკურ-დემოკრატიული და დესპოტურ-ტირანული.

შეწყვილებულ განსაზღვრებებს რო თავი დავანებოთ, უფრო ნათლად და უფრო მკაფიოდ ასე გამოითქმის: სამეფო, დემოკრატიული და ტირანული.

სახელმწიფოს სისტემათა ასეთი განმარტება, არ ემთხვევა რა მარქსისტულ ფორმაციებს, არც იქიდან გამომდინარეობს; არც აუცილებელია, რომელიმე ამათგანი ერთადერთი გაბატონებული სისტემა რო იყოს რომელიმე საზოგადოებრივი ფორმაციისათვისა. სამივე ეს სახელმწიფო სისტემა ნიშანდობლივია, როგორც რო მონათმფლობელური, ისე ფეოდალური, ისე კაპიტალისტური, ისე, თუ გნებავთ, სოციალისტური სახელმწიფო წყობილებისათვისა. აქ დავეხსნები კრიტიკას ისტორიის ამდაგვარი დაყოფისა, ფორმაციებად დაყოფისა, რადგან ამჟამად, მსჯელობის საგანი სრულიად სხვა გახლავთ. დაე, ეს იყოს, როგორც რო თავში გვაქვს ჩაჭედილი: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური, — კომუნისტური საზოგადოებრივი ფორმაციის კარიბჭესთან რო მიმდგარა, საყოველთაო თავისუფლებისა და ბედნიერების კარიბჭესთანა, მიმდგარა და შეჩერდა თუ არ შეწყდა რაღა თქმა უნდა, — დაე ასე იყოს. და იმას ვამბობ: სამივე სახელმწიფო სისტემა გამოსცადა ყველა ფორმაციამა ცალცალკე, სამივე გამოსცადა და სამივე გადაიტანა, ზოგმა მალე, ზოგმა ისე დაგვიანებითა თუ ყოვნადობითა თუ გაჭიანურებითა, როგორც რო ჩვენ დაგვემართა, დიდხანს რო გაგვიგრძელდა მესამე სისტემა, სისტემა ტირანიისა;

სამივე გამოსცადა:

თუ ჩავთვლით, რო 905-დან 917 წლის თებერვლამდე უკვე მომწიფებულია სოციალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია და სამეფო-მონარქისტული სახელმწიფო დიდის გაჭირვებით ინარჩუნებს თავსა, თუ ჩავთვლით მეთქი და ჩავთვალოთ, მსჯელობა რო უფრო საზიერი იყოს;

თუ არ ჩავთვლით და ნება თქვენია, ოღონდ ეს მაინც უცილობელია: ამ ჩვენს წყეულაკრულვით აღსავსე საუკუნეში რუსეთის იმპერიამ — იმპერიამ — სამი სახელმწიფო სისტემა გამოსცადა, ანთუ სამივე გადაიტანა: სამეფოცა, დემოკრატიულიცა და ტირანულიცა, სამივე გადაიტანა და სამივეს შედარების საშუალებაც მოგვეპოება ასე უშუალოდა, ასე პირისპირა: პირველი — საუკუნის დასაწყისიდანვე 917 წლის თებერვლამდისა, მეორე — 917 წლის თებერვლიდან 917 წლის ოქტომბრამდისა, მესამე 917 წლის ოქტომბრიდან 985 წლამდისა: მართალია ტირანის კლასიკური სახე უფრო ადრე გამოამჟღავნეს და დაჰგმეს, მაგრამ მემკვიდრენი მისნი ისევ იმავე კლასიკური ტირანიზმის პრინციპებს ემყარებოდნენ თუ ებღაუჭებოდნენ. ამ მხრით არაფერი არ შეცვლილა 985 წლამდისა.

ჩვენმა ბედისწერამ ჩვენც ამ იმპერიაში ჩაგვრთო, ჩაგვითრია. მოგვაქცია იმავე ბრუნვაში. მხოლოდ იმ განსხვავებითა, რო დემოკრატიული წყობილება ჩვენში ცოტა უფრო მეტხანს გაგრძელდა: 917-დან 921-მდისა და ტირანიზმიც გაგრძელდა 989 წლის 9 აპრილამდისა.

სახელმწიფო სახელმწიფოა. სახელმწიფოში გაერთიანებული საზოგადოება უთუოდ რაღაცას ჰკარგავს, — რაღა რაღაცასა: ბუნებრივ თავისუფლებასა ჰკარგავს, მაგრამ საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე ვერ იარსებებს და იძულებულია რაღაც დაჰკარგოს, დაჰკარგოს თუნდაც ყველაზე დიდი რამ — ბუნებრივი თავისუფლება დაჰკარგოს, რო იცხოვროს საზოგადოებრივი ცხოვრებითა. სხვაგვარად ცხოვრება რო შეუძლებელია.

სახელმწიფო სახელმწიფოა და დღიდან მისი ჩამოყალიბებისა კაცობრიობა ეძიებს უკეთეს სისტემას სახელმწიფოსი. უფრო ნაკლები რო დაჰკარგოს და უფრო მეტი რო მოიპოვოს. ეძიებს და ეძიებს. მაგრამ აქამომდე ამ სამი სისტემის მეტი ვერაფერი მოუპოვებია. თუმცაღა არის, როგორცა ბრძანებენ, გარკვეული სხვაობანიცა თვით ამ სამივე სისტემაში, უფრო რესპუბლიკურ-დემოკრატიულ სისტემაში, მაგრამ სხვაობა მაინც სხვაობაა და არც ისეთი სხვაობაა, თვით სისტემიდან რო გამოირჩეს. და აწყდება კაცობრიობა ერთიდან მეორესა, მეორედან მესამესა, ისევ პირველს უბრუნდება, ისევ თავდაყირა დგება ყველაფერი.

სახელმწიფო სახელმწიფოა, სახელმწიფოსაგან თავდაღწევა არა ხერხდება. სახელმწიფო მკაცრია, მეტნაკლებად მკაცრი.

სახელმწიფოს კლასიკური თეორია ამ სამი სისტემიდან შედარებით უფრო ჰუმანურად სამეფო ხელისუფლებას მიიჩნევს.

ამ თეორიის მიხედვით:

სამეფო ხელისუფლება კანონიერი ხელისუფლებაა. აქვს კანონები და კანონებს იცავს. კანონის დაცვა მისი ღირსებაა. ღირსება მისი სიმტკიცის საფუძველია. ზომიერებაც ღირსების შედეგია, სამართლიანობაცა.

დემოკრატიული ხელისუფლებისათვის კანონი ცვალებადია. მერყევია, გარდამავალია. დაჯგუფებათა დაპირისპირებანი კანონიერებას არღვევს. ძნელდება დაცვა ზომიერებისა. დაჯგუფებათა ბელადები ვნებათა ტყვეობაში ექცევიან. ხალხი ითიშება, იბნევა. შეიძლება რო ყველაფერი გადაჰლეკოს. შეიძლება რო ინერტულ მასადაც გადაიქცეს. უფრო ხშირად ვნებანი აიწყვეტენ და ტირანული ხელისუფლებისათვისაც გზა გახსნილია. ცივილიზირებულმა ქვეყნებმა ამგვარ დაბნეულობას დააღწიეს თავი. წინააღმდეგობებს აგვარებენ უფრო ზომიერი საშუალებებითა, მაგრამ ჯერ ყველა ერს ვერ მიუღწევია თანამედროვე ცივილიზაციის დონემდისა და ბევრი ისევ იმავე საფრთხის წინაშე დგას, ტირანიის საფრთხისა.

ტირანულმა ხელისუფლებამ კანონი არ იცის. კანონები ცალკეა. ხელისუფლება ცალკე. ტირანულ ხელისუფლებას მართავს შიში, შიში და გუნება-განწყობა ტირანისა. შიში, დესპოტიზმი მონად აქცევს ადამიანსა და ეცემა მორალი. პარტახდება ყოველივე ღირებული. ადამიანური ღირსება ნადგურდება. სადაც მონობაა, აღარც ადგილი აქვს ღირსებასა. მონას აღარც შერჩება პატიოსნების ნიშან-ცვალი, როგორც არისტოტელე შენიშნავს.

ჩვენმა ბედისწერამ ჩვენ რო ამ კოფაში ჩაგვაგდო, ანთუ ვერც რო ავცდებოდით, უფრო უარესი ხვედრიც განგვიმზადა.

ყოველი ეს სახელმწიფო სისტემათა ცვალებადობა ეს ორი საუკუნეა, ორასი წელიწადია, ორასი, ჩვენს ნებისად არა ყოფილა. სხვის ნებად იყო და სხვის ჭკუაზე ვიყავით დამოკიდებული. იქ მიმდინარე სოციალური თუ პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენები ჩვენთვის არ იყო ბუნებრივი. თავსმოხვეული გახლდათ და მით-უფრო მძიმედ განიცდებოდა ჩვენში. ამასთან: თვითეული ეს სისტემა ბევრად უფრო ძნელ ყოფას უქმნიდა ჩვენს ხალხსა, ვიდრე თავისასა. ყველაფერს რო თავი დავანებოთ, ან თუ რად უნდა დავანებოთ თავი!... მაინც აქ მაგალითად რო ვთქვათ: ასიმილაციის საშინელებას, ამ შემზარაობას მაინც არ განიცდიდა იმისი ხალხი, ოღონდ ისიცა ვთქვათ: თუნდაც მხოლოდ ამ შემზარაობის მიხედვით რო შევადაროთ სამეფო ხელისუფლება და ტირანული ხელისუფლება, დავინახავთ, რო ცარიზმი, ის საშინელი ცარიზმი, მართლაც საშინელი ჩვენთვისა რაღა თქმა უნდა, უფრო შემწყნარებლური, უფრო ჰუმანური გამოჩნდება, ვიდრე ტირანული; ცარიზმს დადგენილება მაინც არ მიუღია, ამიერიდან რუსული ენა უნდა იქცეს თქვენს მშობლიურ ენადაო, — ტირანიამ მიიღო ამ 70-ათიან წლებში და მთელის სისასტიკით ანხორციელებდა. ცარიზმმა მხოლოდ ჩვენი ზედაფენა გადააგვარა, ანთუ ლამობდა რო გადაეგვარებინა, მშრომელთ არ ერჩოდა ამ მხრით ბევრს არაფერსა, აშრომებდა და ძარცვავდა, ლაპარაკით ილაპარაკეთ რა ენაზედაც გენებოთო. შრომისათვის რუსული ენა არც იყო აუცილებელი, ძარცვისათვის კმაროდა. ზედაფენის გადაგვარება აუცილებლად მიაჩნდა, ბევრნაირადა სჭირდებოდა. ტირანიამ ერის სრულიად გადაგვარება მოიწადინა, დიდიან პატარიანადა. აკვნიდან დაიწყო, მერე უკვე დედის მუცლიდანა, ერისა და ერებისა, მოინდომა და დაისახა უპირველეს მიზნადა, უპირველეს პოლიტიკადა: კომუნიზმში უამისოდ ვერ შევალთო. პოლიტიკურ დანაშაულადაც ეს ითვლებოდა: თუ შენი ენის, მშობლიური ენის დაცვას მოინდომებდი. და ივსებოდა ციხეები, ანთუ როდის იცლებოდა?!

ისიც რო ვთქვათ:

პიროვნულადაც რო შევადაროთ ერთმანეთსა მეფე და ტირანი. იგივე კოლონიური პოლიტიკის თვალსაზრისითა:

მეფეს, რუსეთისასა რაღა თქმა უნდა, ქართული ჩაის პირველი ნიმუშები რო წარუდგინეს, საქართველოში ჩაის მრეწველობის განვითარების პერსპექტივა რო დაუსახეს წაქეზებულმა კარისკაცებმა, მეფემ ბრძანა, მეფე-იმპერატორმა: ჩაის მოყვანა სამძიმო საქმეა, ქართველები ისედაც მცირენი არიან, ჩაიც არ არის მაინცდამაინც ისეთი ხარისხისა, დავეხსნათ, ისევ ინდოეთიდან შემოვიტანოთო. ხოლო ტირანმა სრულიად საბჭოეთის დაკმაყოფილება მოინდომა ქართული ჩაითა, მოინდომა და აიძულა. და რო თითქმის დააკმაყოფილეს, მერე იმაზე გაგულისდა, რატომ უმაღლესი ხარისხისა არ არისო. გაგულისდა და ბრძანა: ბევრი და უმაღლესი, ბევრი და ბრწყინვალეო. ბუნებას არა აქვს ასეთი ლოგიკა, არც კაცთა ლოგიკას ექვემდებარება: ბევრი და ბრწყინვალე!.. ბევრი ბევრია, ბრწყინვალე ცოტაა. ბუნებაშიც ასევე გახლავთ, კაცთა დახკვნებიც ამდაგვარია. ტირანისათვის ლოგიკა არ არსებობს. არც ბუნების კანონები არსებობს. კანონზომიერება არ არსებობს. ყველაფერი უნდა გარდაქმნას. ბუნებაცა. ადამიანიცა თუ ისე არ არის, როგორც რო ნებავს. ტირანი ბრძანებს. ტირანი ანადგურებს ბრძანების შეუსრულებლობისათვისა.

მეფეცა სჯის. სჯის სამეფო ხელისუფლების მოსისხლე მტრებსა, კანონითა სჯის, კანონი აქვს. კანონითა სჯის. სასამართლოთი სჯის. ტირანს არა აქვს კანონი, სასამართლო არა აქვს. თუ აქვს მხოლოდ მოსაჩვენებლადა. თვითონვე რო სძულს და თვითონვე რო აპამპულებს. ტირანი ბრძანებითა სჯის, აწყობს მასობრივ მკვლელობებსა, მასობრივ გადასახლებებსა. თუნდაც რო მხოლოდ შიშის დასანერგადა, — შიშისა, შიშისა, რომლის გარეშე არსებობას ვერ შეინარჩუნებს ტირანი, ტირანია:

მეფეს აფიქრებს გადასახლებულთა ბედი და იგივე მეფე, მეფე-იმპერატორი აფრთხილებდა დამსჯელ ორგანოებსა, საკატორღო ბანაკებს ციმბირის ისეთ მივარდნილ კუთხეებში ნუ გამართავთ, ადამიანისათვის გაუსაძლისი რო არისო. ტირანი სწორედ იქ აწყობს საკატორღო ბანაკებსა. უამრავსა და უამრავსა, იქ ერეკება განუსჯელსა და უდანაშაულო ხალხსა, ერეკება და ერეკება, ხან რა მიზეზითა და ხან რა მიზეზითა, მიზეზებიც რო არ დაელევა: წყალს ნუ მიმღვრევო.

მაგალითი უამრავია შედარებისათვისა, უახლოესი მაგალითი, შორეულსაც რო არ გადავწვდეთ; მაგალითი უამრავია და ყველა მაგალითი დაადასტურებს კლასიკური თეორიის თვალსაზრისსა: სამეფო ხელისუფლება ტირანულ ხელისუფლებასთან შედარებით, ბევრად უკეთესი რო ყოფილა, ბევრად ჰუმანური რო ყოფილა.

აქ შედარებისათვის დემოკრატიულ ხელისუფლებას არ ვეხები, თუნდაც იმიტომ, ტირანულ-დესპოტური ხელისუფლების საშიშროება რო ჩაბუდებულა მასში.

ამ საშიშროებას პარლამენტი არეგულირებს, ეკონომიკურად წელგამართული ქვეყნების პარლამენტი, დიდი პოლიტიკური გამოცდილების პარლამენტი.

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, ეკონომიკური პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის საშუალებებმა, პოლიტიკური წონასწორობაც განსაზღვრა. მორალის დონეც ასწია და გაამყარა.

მორალი პოლიტიკური სისტემის საფუძველი, [illegible] დაცემული მორალის, დაცემული, ჩამორჩენილი [illegible] საშუალებების, გაძარცვული, გატყავებული ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწენი წარმოუდგენელ სირთულეთა წინაშე დგებიან და ამასთან ერთად თუ ერს სახელმწიფო ტრადიციები დაუკარგავს ორასი წლის წინათა — ორასისა — ღმის ისღა თუ დარჩენიათ მხოლოდ ღმერთის, მხოლოდ საწაულის იმედს რო მიენდონ, ღმერთისა-მეთქი, — ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა სხვა იმედი რო გადაიწუროს.

ორასი წელიწადი, დაცემისა და განიადაგების ორასი წელიწადი...

სათქმელად ადვილია.

სანუგეშოდ ისღა დაგვრჩენია, არაბებიც რო ორასი წელიწადი ბატონობდნენ ჩვენში და რუსობაც ალბათ მეტხანს ვეღარ გასტანს.

არაბობას წამოუდგა ქართველი ხალხი, ისახება იმედები, წამოუდგება რუსობასაცა, ისახება, მხოლოდ ისახება.

ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მაშინ შეწყდა, როცა დაიბადა სამეფო ხელისუფლების საპარლამენტო სამეფო ხელისუფლებად გარდაქმნის აზრი. ეს იყო პროგრესული პოლიტიკური მრწამსი იმ დროისათვისა და ალბათ საქართველოს სახელმწიფოებრივი გადარჩენის საშუალებაც ეს იყო. მაგრამ „მფარველობის ტრაქტატმა" ყველაფერთან ერთად ესეც წაშალა. სახელმწიფოებრივი ცხოვრებაც შეწყდა. პოლიტიკური აზროვნებაც გაქარწყლდა, თანდათანობითა, ბრძოლითა, წინააღმდეგობითა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც გაქარწყლდა.

და მგონია: სადაც რო შეწყდა, იქიდანვე უნდა გაგრძელდეს.

ეს უნდა იყოს ლოგიკური და შესაფერისიც უნდა იყოს ჩვენი დროისა, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ვითარებისათვისა.

არც მოძველებულად ითქმის. სწორედ ამგვარ პოლიტიკურ საფუძვლებს ემყარება თუნდაც ინგლისის, იაპონიის, ესპანეთის, ბელგიის სახელმწიფოებრივობა და ვერავინ იტყვის, ჩამორჩენილ სახელმწიფოებად რო ითვლებოდნენ ეს ქვეყნები, ანთუ პოლიტიკურადა, ანთუ ეკონომიკურადა, ანთუ კულტურის თვალსაზრისითა, ვერავინ იტყვის.

ქართველი ერის აღმავლობისა და ძლიერების პერიოდები სამეფო ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული. დაცემის ხანაც ამავე ხელისუფლებას უკავშირდება რაღა თქმა უნდა, მაგრამ ეს იყო შედეგი უფრო ხანგრძლივი და უთანასწორო ბრძოლებისა გარეშე მტრებთანა, უძლიერეს მტრებთანა, და არა შინაგანი პოლიტიკური უწესივრობის შედეგი. ბოლოს, როცა ეს უწესივრობაც იგრძნეს, მისი მოწესრიგების საშუალებანიც დაისახეს მიზნადა, ისევ სამეფო კარმა, სამეფო წრეებმა, ბატონიშვილებმა დაისახეს მიზნადა. ესაა, რო აღარ დასცალდათ. და მერე, ბედისწერამ ისე განაგო, რო მთელი თავიანთი ნიჭი, განათლება, ენერგია და საუკუნოებრივი გამოცდილებანი რუსთა სამხედრო, სამეცნიერო, პოლიტიკურსა და კულტურულ აღმავლობას შეალიეს. ამით ერთი რამ მაინც მოახერხეს: საპატიო სახელი მოუხვეჭეს ქართველ ხალხსა. ტირანიის პერიოდამდის ამ ღირსებითაც მოაღწია. მოაღწია და დაჰკარგა ტირანიის პირობებში. იმგვარად დაჰკარგა, რო ახლა რუსეთის შოვინისტურმა წრეებმა თავიანთ საბრძოლო მოწოდებად გაიხადეს: „დასცხეთ ებრაელებს და ქართველებიც არ დაგავიწყდეთ!" ეს უბედურებაა. ესაა მონაპოვარი ამ ორასწლოვანი მონობისა. იმ ორასწლოვან მონობაში აქამდის არ მიგვიღწევია. მემატიანეები ჩამოსთვლიან უამრავ უბედურობას, თავს რო დაგვატყდა არაბთაგანა, ზნეობრივ დაცემას, არაბთა ბატონობას რო მოჰყვა ჩვენში, ოღონდ ასეთი მრისხანე, ასეთი ულმობელი არაფერი არ ჩაუ-

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

წერიათ. დრონი იცვლებიან, მტარვალობის ვნებანი არა.

შოვინისტური სისასტიკე ერის ბუნებიდან გამომდინარეობს რაღა თქმა უნდა. ჩვენ უნდა დავაღწიოთ თავი ამ სისასტიკესა, თუ არ გვინდა, რო გავნადგურდეთ საბოლოოდა. უნდა დავაღწიოთ თავი, — ეს უკვე გარდაუვალია. და თავდაღწევის ერთერთ და ალბათ სხვაზე ნათელ საშუალებად ისახება სწორედ სამეფო ხელისუფლების აღდგენა საქართველოში; ოღონდ, დღეს იქნება პარლამენტური სამეფო ხელისუფლება, რაც რო გაითვალისწინეს თავის დროზევე და თავისდროზევე ოცნებობდნენ. ახლაც ის დროა. მსოფლიომ გაგვისწრო. ჩვენ ისევ იქა ვართ შეჩერებულნი. მორალურად იქაც აღარა ვართ.

უცებ, დაუფიქრებლად ნურავინ შეშინდება. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს ფეოდალიზმის აღდგენასა გულისხმობდეს. ის მორჩა, მოთავდა, აღარ განმეორდება. ისე კაცმა რო თქვას, არც ისეთი მოვლენა ყოფილა ეს ეგრეთწოდებული ფეოდალიზმი, მარქსისტებმა როგორც რო გაუტეხეს სახელი. ყოველივე წმინდას, ყოველივე ადამიანურს, ყოველივე კეთილშობილს გაუტეხეს სახელი. ოღონდ, აქ მაინც სხვა რამის თქმა მინდა: ნურავის ეგონება კევრში შეგვაბამენ და ტყვეების ბაზარს გაგვიხსნიანო. კევრი რაზნოჩინელების ზღაპრებია, ხოლო ტყვეების სყიდვას სამეფო ხელისუფლება ებრძოდა, რაც შეეძლო ებრძოდა, მაგრამ თავსზევით ძალა აღარ გააჩნდა, რადგან მას იცავდა მაშინდელი დამპყრობელი ჩვენი, ჩვენზე ძლიერი და არა ნაკლებ სასტიკი სხვა დამპყრობლებზედა.

მეფე ვერ აღადგენს ვერც წოდებებს, ვერც მიწებს გასცემს. კანონმდებლობა პარლამენტის ხელთ იქნება. პარტიაც აღარ იქნება ამდენი. მოწესრიგებულ სახელმწიფოში მრავალპარტიულობა ორიოდე პარტიასა ნიშნავს. ახლანდელი მრავალპარტიულობა მართლაც მრავალია და ბუნებრივია გარდამავალი პერიოდისათვისა, თუნდაც რო ითქვას დემოკრატიული წყობილებისათვისა, ოღონდ არა ისეთი დემოკრატიულისა, შეერთებულ შტატებში რო დამყარებულა, არა — ქაოტური დემოკრატიული წყობილებისათვისა, ეგრეთწოდებული განვითარებადი ქვეყნებისთვის როა დამახასიათებელი.

პარლამენტურ სამეფოში მეფე პარლამენტის უნებურს ვერაფერს ვერ მოინდომებს, თუნდაც მოინდომოს, პარლამენტმაც რო ნება დართოს, ბევრს ვერაფერს ვერ გასცემს. მოწოდება: ფაბრიკა-ქარხნები მუშებს, მიწა გლეხებს! დემაგოგიური მოწოდება გახლდათ. არც ფაბრიკა-ქარხნები იყო ჩვენში, არც მუშები, არც გასაცემი გახლდათ, არც მიმღები. ყველაზე დიდ საწარმოდ თბილისში ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნო ითქმოდა და იმასაც სახელოსნო ერქვა და არა ქარხანა; ხოლო მიწებს რაც შეეხება, ვინც საქმეში ჩახედულია, ანთუ ჩაიხედავს, დარწმუნდება: უკვე რევოლუციამდე ჩვენი სავარგულების უმეტესმა ნაწილმა, ლამის 70-75 პროცენტმა გლეხობის ხელში მოიყარა თავი. მიწა გლეხობამ დაჰკარგა. მიწა დაჰკარგა და „კოლხოზი" მოიპოვა.

ხვით მეფეს მაინც დასჭირდება მამულები, სამეფო კარს დასჭირდება. ტრადიციულად არ შეიძლება მეფე უმამულო იყოს, ამასაც პარლამენტი გადასწყვეტს. პარლამენტი გადასწყვეტს და მთავრობა განაგებს. სამეფო მამულები სიმბოლურიც იქნება და პრაქტიკულ დანიშნულებასაც გასწვდება: შეინახავს სამეფო კარსა. სამეფო კარის ლაზათი და ბრწყინვალება აუცილებელი იქნება, საერთაშორისო-დიპლომატიური შეხვედრებისთვისა, ეგრეთწოდებული უმაღლესი დონის შეხვედრებისთვისა, ზეიმებისთვისა, მრავალი რამ თავგამოსადები ღონისძიებისათვისა, ჩვეულებრივი რო გახლავთ ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში და ყოველგვარი პოლიტიკური სისტემისათვისა. მამულის მომვლელნი სახელმწიფო მოსამსახურენი იქნებიან. ნურავის ეგონება: არიქა, დამიჭერენ და ეგვიპტის სულთანად დამსვამენო, ანთუ სადმე საფაშოს მაინც გამოვიკრავო. ნურავის ეგონება. ნურც ჰარამხანეპისა თუ სერალების ზმანებებს ნურავინ მიეცემა, შიშს ნუ მიეცემა ნურავინა ერთისტყვითა. პარლამენტი თავდები იქნება ყველაფრისა.

თუ რაიმე უშველის საქართველოსა, სალი, ამაღლებული ტრადიციების აღდგენა უშველის. ტრადიციები ისტორიაა, ისტორია ცხოვრებაა ერისა. ერის სიცოცხლე ტრადიციების სიცოცხლეა. ამიტომაც დაერივნენ ყველაზე თვისობრივ ტრადიციებსა, საერთოდაცა და განსაკუთრებით ამ გასულსა თუ თავგასულ 70-იან წლებში, საბოლოოდ რო მოესპოთ ერები. ქართული ეკლესია და სამეფო ხელისუფლება ქართველი ხალხის უმაღლესი ტრადიციაა, — ორივე ერთადა, ერთად შემტკიცებული. ეკლესია აღორძინების გზას დაადგა, ოღონდ, ცალკე მაინც, მარტოდმარტო მაინც გაუჭირდება იტვირთოს უმძიმესი მოვალეობა: აღადგინოს პატიოსნება და შრომის უნარიანობა, რაც რო დაჰკარგა ხალხმა ამ ხანგრძლივი მონობის მანძილზე. ტვირთებით იტვირთა, ოღონდ ძალიან გაუჭირდება. მეფეა აქ აუცილებელი, ის დიდი რომანტიკაა აუცილებელი, რაც ჯერ კიდევ რო შემორჩენილა ჩვენს ხალხში და რაც სამეფო საქართველოს უკავშირდება. ამ რომანტიკის გაღვივება აუცილებელია. ზნეობის ამაღლებას იდეალები სჭირდება.

არ უნდა დაგვაეჭვოს: ამერიკის შეერთებული შტატებიც შეინარჩუნებდა მეფობასა. არ გააჩნდა ამისი ტრადიციები, ვერც შეინარჩუნებდა რაღა თქმა უნდა. სამაგიეროდ სხვა ტრადიციები შეჰქმნა, შეეძლო ძლიერ ქვეყანასა და შეჰქმნა. ჩვენ არ მოგვიხერხდება სხვა ტრადიციების არც შექმნა და არც მორგება. ყველაზე ხუსტად გამოვიყურებით და ამასთან დღეს მსოფლიოში არ უნდა იყოს მეორე ისეთი ერი, ჩვენზე რთული პრობლემების წინაშე რო იდგეს, რთული თუ ლამის გადაულახავი პრობლემების წინაშე.

ერთი პრობლემის მოხსნა მაინც მოგვიხერხდება ამთავითვე: მეფობის აღდგენა გაგვანთავისუფლებს სანაცვლო სახელისუფლო ინსტიტუტის შექმნისაგანა, რის გამოცდილებაც არ გაგვაჩნია და რაც უთუოდ დიდ შეხლაშემოხლას, დიდ გაწამაწიას გამოიწვევს. ხალხი დაიბნევა, უთუოდ დაიბნევა. დაბნეული ხალხი ბრბოა. ეყო ბრბოობა ჩვენს ხალხსა. ეყო. საკმარისია. ან უნდა ავიშოროთ საფრთხე ბრბოდ გადაქცევისა, ან გამოსავალს ველარ მივაგნებთ. ერი ხალხია. ბრბო — აღარც ხალხია და აღარც ერი. ბრბოს მეფეც ველარას წაადგება. ბრბოში ტირანია წამოიმართება. ეს წინასწარმეტყველება არავის არ ეგონოს, ეს ისტორიაა.

საფრანგეთის რევოლუციამ დააშავა, მეფეს რო მოჰკვეთა თავი, ცუდი ნიმუში გადაიღო და ცუდი ვნებები გააღვივა. რევოლუციებმა ამითიც გაიტეხეს სახელი. საფრანგეთმა ისევ მოიწვია ბურბონები, ოღონდ ველარ შეინარჩუნა. საფრანგეთი საფრანგეთია. საფრანგეთი დამოუკიდებელი, თავისუფალი და აღორძინებული ქვეყანაა, დიდი ქვეყანაა, დიდი ერია. ჩვენ მცირენი ვართ, გატანჯულნი ვართ, გაჭირვებულნი ვართ. ამასთან: ვნახოთ, რას მოგვიტანს, ვნახოთ ის, რაც გამოგვიცდია, განახლებული რაღა თქმა უნდა: პარლამენტური სამეფო ხელისუფლება.

ბუნებრივია: საქართველოს სამეფო ველარ მოთავსდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ველარც რო კავშირში, ვერც ფედერაციასა და ვერც კონფედერაციაში, საბჭოეთში ველარ მოთავსდება. ჩვეულებრივ ეს თავისთავადაც უნდა გადაწყდეს. მაგრამ ჩვენ ჩვეულობრივობისა და სამართლიანობის წინაშე არა ვდგავართ. მარტოდმარტოც გახლავართ. არც არავინ მხარს არ გვიჭერს და არც არავისი იმედი არ მოსჩანს. ოღონდ ვინ უწყის მოვლენები კიდევ თუ როგორ განვითარდება, და საქართველოს სამეფოს სულ სხვა უფლებები ექნება საერთაშორისო ასპარეზზედა, საქართველოს სსრ-ს სულ სხვა გააჩნია რაღა თქმა უნდა, ანთუ არავითარი უფლებებიც არ გააჩნია სსრ კავშირის გარეშე. არც ფედერაცია მოუტანს მეტ უფლებებსა, კონფედერაციაც არაფერს არ შესძენს. ამერიკის რომელიმე შტატის, თუნდაც ინდოეთის რომელიმე შტატის უფლებებს ვერ გასცილდება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისითა. ჩვენზე უფრო დიდი ტერიტორიული გაერთიანებაც, ვთქვათ, ყაზახეთიც ვერ გასცილდება, ანთუ ყაზახეთი რაღა მაგალითია, როცა თვით რუსეთის სსრ-ც ვერ გამორკვეულა აქნობამდისა. მონაკოს სამეფო სახელმწიფოა.

საქართველოს სამეფო სხვა იქნება რაღა თქმა უნდა და სულ სხვა ხელშეკრულებებს დასდებს თვით საბჭოთა კავშირთანა, შეერთებულ შტატებთანა, სხვასთანა და სხვასთანა. ამ ხელშეკრულებათა ძირითადი საფუძვლები ის უნდა იყოს, მშვიდად რო იყოლიოს ჩვენი ძვირფასი სამხრეთელი მეზობლები.

რუსეთმა და საბჭოთა კავშირმა მრავალი ხელშეკრულება დასდო საქართველოს მაგივრადა და საქართველოს საზიანოდა. რომელიმე სისტემა ხელისუფლებისა: თუნდაც დემოკრატიული, თუნდაც ტირანული, შესძლებს თუ არა გააბათილოს ეს ხელშეკრულებანი? — საეჭვოა. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენი ტირანული ხელისუფლება მხოლოდ შინაგანი ტირანიით შემოიფარგლება, გარეთ ვერ გასწვდება და თუ შიგნითაც გაუჭირდა, გარეშე ძალებს მოიწვევს. მხოლოდ სამეფო ხელისუფლება იქნება უფლებამოსილი, რასაც რო ტახტს აღიდგენს, მის გარეშე და მისი მოძალადეებისაგან დადებული ხელშეკრულებანი უსაფუძვლოდა სცნოს.

ძირითადად ასე ისახება საქართველოს სამეფო ხელისუფლების შესაძლებლობანი, — საპარლამენტო სამეფოსი რაღა თქმა უნდა,— შესაძლებლობანი და უპირატესობანი სხვა სახელმწიფოს სისტემებთან შედარებითა, ასე ისახება და ასე ჩამოყალიბდება დასკვნების სახითა:

პარლამენტური სამეფო ხელისუფლება:

ა — აღადგენს დიდსა და საამაყო ტრადიციებს საქართველოს სახელმწიფოებრივობისა;

ბ — შეჰქმნის სამართლებრივ საფუძვლებს დამოუკიდებლობისა და უშიშროებისა;

გ — გაანთავისუფლებს ხალხს იმ წინააღმდეგობებისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს ბრძოლას მეფის სანაცვლო სახელისუფლო თანამდებობისათვის;

დ — სულიერად აღამაღლებს ორასწლოვანი მონობისაგან დაბეჩავებულ ადამიანებს;

ე — დროულად გამოიყვანს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორს დაწინაურებული ქვეყნებისა, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული შესაძლებლობებითა.

მე არც ისე გულუბრყვილო უნდა ვიყვე, რო მეგონოს: ამ მოსაზრებას თითქოს ყველა ადვილად აჰყვება. რთული ცხოვრება გამოვიარეთ და სიფრთხილეს მაინც ისწავლიდა ხალხი. დაფიქრება გვმართებს. თუმცა ბევრი რამ ისეთი ხდება, გეგონებათ, ხალხი მაინც არა ფიქრობსო. დაფიქრება გვმართებს. ოღონდ რამდენიც არ უნდა ვიფიქროთ, ერთი რამ უკვე ცხადია: დემოკრატიულმა წყობილებამ გაიმარჯვა, ტირანული წყობილება დამარცხდა, — დემოკრატიას რო ტირანია მოსდევს, ტირანიასაც მოსდევს დემოკრატიული წყობილება, ესეც შენიშნულია სახელმწიფოს კლასიკურ თეორიაში, ისტორიაშიც შენიშნულია; აქაც არ მომხდარა ახალი არაფერი და ისევ, შეიძლება რო ტირანიის წინაშე ვიდგეთ, ისეთი ქაოტურია ჩვენი დემოკრატია, ისე აღრეული და იმდენი მუქარა გაისმის, არ შეიძლება რო არ შეწუხდეს ადამიანი. ჯერ ეს მუქარა, ყველა ეს მუქარა, უმწეოა. შესაძლოა, რო საშიშიც გახდეს. ჯერ იმპერია ისევ ძლევამოსილია და ძალით ვერავინ ვერაფერს გააწყობს. დაფიქრება გვმართებს. დინჯი გონება და დინჯი ფიქრია აქ საჭირო, დინჯი, დინჯი, ვნებების გარეშე, დინჯი, ოღონდ არა ხანგრძლივი. დრო უცნაურია: დგას, დგას და უეცრად გადაბრუნდება. დიდხანს ფიქრსაც ველარ მოითმენს.

ჩემი ეს წერილიც ჩემი ფიქრია, ჭკუის სწავლებად ნურავინ ჩამითვლის.

# წერილები რედაქციას

## ვფიქრობ

ახლოვდება დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 100 წლისთავი.

ამ თარიღთან დაკავშირებით სხვა საჭირო ღონისძიებების, უპირველეს ყოვლისა, შესაბამის მრავალტომეულთა უხადოდ და უხარვეზოდ გამოცემას ვგულისხმობთ, განხორციელებასთან ერთად განსაკუთრებით სასურველად მიგვაჩნია: უახლოეს ხანებში გამოქვეყნდეს მწერლის ნაწერების და მათზე შექმნილი ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფია.

ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა: ზემოაღნიშნულით ამთავითვე დაინტერესდნენ შესაბამისი ინსტანციები.

**ნაპოლეონ ლემონჯავა**

## მსურს მივმართო

თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს მივმართო იმ ხელმძღვანელებს, რომელთა კომპეტენციაში შედის ბენზინის განაწილების საკითხი. მოგეხსენებათ, რაოდენ პრობლემატურია ეს საკითხი. შემომაქვს წინადადება, რომ მაქსიმალურად მომარაგდეს ბენზინით ის ავტოპარკები, რომელთაც ევალებათ ქალაქის პროდუქტით მომარაგება. ვკითხულობთ გაზეთის საშუალებით, ვისმენთ ტელევიზიით, რომ ღვთისნაბოძები და გლეხის ოფლით მოწეული ჭირნახული ვერ გამოაქვთ ზვრებიდან და ყანებიდან, ვერ აწვდიან ქალაქს. მეც ავტომანქანის მფლობელი ვარ და ბევრი ჩემსთანა დამეთანხმება, რომ ასეთ სიტუაციაში ვისარგებლოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით და მთელი ეს დაზოგილი საწვავი მოხმარდეს მოსავლის აღებასა და ქალაქის პროდუქტით მომარაგებას.

პატივისცემით
**ჯონი ვაშაყმაძე**

ქ. რუსთავი 12.09.90.

## თავისუფლების მოედანზე...

ამჯერად აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის სურვილი: თბილისში აღებულია მრავალი უსიამოვნო მოგონებათა აღმძვრელი ლენინის ძეგლი და მოედანსაც შეცვლილი აქვს სახელი. „გათავისუფლებულ" „თავისუფლების მოედანს" კი რეკონსტრუქცია და არქიტექტურული თვალსაზრისით მომავალი დახვეწა-გადამუშავება ესაჭიროება, რისთვისაც ალბათ თბილისელთა წინადადებებისა და მოსაზრებების გაცნობა-გაზიარებაც არ იქნებოდა ურიგო. ამ მიზნით, ჩემს აზრსაც მოკრძალებით ვუზიარებ ქართველ საზოგადოებრიობას: თუ მოედანზე უთუოდ ძეგლის დადგმა გადაწყდებოდა, იქნებ ქართველებს გველეშაპის მძლეველი თეთრი გიორგის ქანდაკებაც წამოგვემართა თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე.

თავისუფლებასა და გამარჯვებას დანატრებული ქართველი ხალხის სულიერ მდგომარეობასაც ხომ უფრო მიესადაგებოდა — ცხენზე ამხედრებული ბოროტების მძლეველი წმიდა გიორგის სახება.

**სერგო ქვანია**
კომპოზიტორი

## არ შეშვენის

მე თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ვარ. რაც კი თავი მახსოვს „ლიტერატურული საქართველო" ყოველთვის მქონდა გამოწერილი და ალბათ მომავალშიც გამოვიწერ. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ გაზეთი აღარ გამოვიწერო.

დღეს გაზეთი დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს. ბევრი ღირსშესანიშნავი წერილები იბეჭდება, როგორც წარსულზე, ისე ჩვენს მომავალ თავისუფალ საქართველოზე. ეს სასიხარულოა. ღმერთმა დაგლოცოთ! სწორედ ამან განაპირობა თანამედროვე მკითხველში გაზეთის ასეთი პოპულარობა. მაგრამ არ შეიძლება გულისტკივილით არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს გაზეთი თავის გვერდს უთმობს, კრიტიკის ნაცვლად, ლანძღვა-გინებას. ეს, ჩემი ფიქრით, არაფერ კარგს შესძენს მკითხველს და თვით გაზეთის ავტორიტეტსაც. ნუთუ, დემოკრატიის პერიოდში ყველაფრის წერა და ლაპარაკი შეიძლება, რაც პირზე მოგვადგება? — მე მგონი, არა... და გაზეთმაც უკეთესია იღაღადოს ურთიერთსიყვარულზე და ურთიერთგატანაზე. თუმცა, სუფთა ლიტერატურულ კრიტიკას ვინ უარყოფს? ის უნდა იყოს კრიტიკასთან ერთად სიყვარულით, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული და არა ღვარძლით. იგი პიროვნებას არ უნდა ლახავდეს, გაზეთის ფურცლებიდან უნდა გვესმოდეს ჭკუის სასწავლებელი სიტყვები და არა ისეთი სალანძღავ-საგინებელი სიტყვები, როგორის მოწმენიც ვართ ზოგჯერ. ასეთი, ვითომც „კრიტიკული" წერილების ბეჭდვა არ შეშვენის არც ერთ გაზეთს და, მითუმეტეს, „ლიტერატურულ საქართველოს".

პატივისცემით
**გ. მოლაშხია,**
ზუგდიდი.

## კოტე, შალვა და კიდევ თხუთმეტი თავგანწირული ასპირანტი.

1942 წლის ბოლოს საქართველოს უმაღლესი სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით: დახვრეტილი იქნა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩვიდმეტი ასპირანტი იმის გამო, რომ მათ პროტესტი განაცხადეს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებაზე საქართველოს ტერიტორიის მიღმა — საქართველოს დამპყრობი და დამმონებელი რუსეთის დასაცავად.

სხვა რამ სიტყვიერი ან ქმედითი დანაშაული არც ერთ მათგანს არ მიუძღოდა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

დახვრეტის განაჩენის გამოცხადების შემდეგ „გაყინულ" დარბაზში კოტეს წამოწყებით მსჯავრდებულებმა სიმღერა „სამშობლო" დააგუგუნეს და ამით ამცნეს უმართებულო ტირანულ ძალას, რომ მათი სისხლი მარადისობას უერთდებოდა.

უკვალოდ რომ არ ჩაიაროს იმ თავგანწირვამ, რომელიც ნათელ ვარსკვლავივით უნდა ბრწყინავდეს ქართველი ერის მარად უკვდავ შემეცნებაში, მით უფრო ახლა, როცა აღსდგა მძლე საქართველო, თავისუფლების მოპოვების გარდუვალობით — გადავწყვიტე, რომ აღვადგინო ჭეშმარიტება.

თქვენი გაზეთის საშუალებით, ვთხოვ ყველას, ვინც კი რაიმე იცის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ მიხეილ ზანდუკელის ასპირანტ „კოტე"— კონსტანტინე სერგოს ძე ჯოგლიძისა და აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ასპირანტ შალვა შავიანიძის ან მათთან ერთად დახვრეტილი თხუთმეტი ასპირანტის შესახებ, დამიკავშირდეს პირადად ან წერილობით.

თბილისი, 380092, შენგელაიას ქ. № 34, ტელეფონი 66-05-11.

**ტარიელ სერგოს ძე ჯოგლიძე,**

ყველა ამ სასიკეთო თხოვნის შემსრულებელს წინასწარ ვუხდი მადლობას.

# ამპარტავნება?!

ისევ „გველისმჭამელის" შესახებ

მიხეილ გავაშელი

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 13 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ამირან დოლიძის წერილი „რწმენა — გადაულახავი ღვთაებრივი მადლი". ავტორის აზრით, „მინდიაში ჩასახლებული ღვთაებრივი ცოდნის სიდიადის შეგრძნება „ცოტ-ცოტა, ნელაობით" წარმოშობს უპირატესობის განცდას", ამგვარ განცდას კი იგი მიჰყავს ამპარტავნობამდე — ღვთაებრივი ცოდნისადმი საკუთარი ცოდნის გათანაბრებამდე. ყოველივე ეს კი იწვევს ღმერთის განრისხებას და იგი სჯის მინდიას — ართმევს მას ღვთაებრივ მადლს. „ამპარტავნებისათვის რწმენა — ღვთაებრივი მადლი გადაულახავია" — ახვნის ავტორი. ამგვარია წერილის დედააზრი, დამყარებული არა მარტო პოემის ფილოსოფიური შინაარსის, არამედ ტექსტის გაუგებრობაზეც. ამის დასაბუთებას კი დავიწყებ წერილის ავტორის მიერ დასმული საკითხის ანალიზით.

მინდიაში ჩასახლებული ღვთაებრივი ცოდნა, არც მისი სიდიადე, როგორც ავტორი წერს, უპირატესობის, აღმატებულობის განცდას არ წარმოშობს არც ცოტ-ცოტა, „ნელაობით", და არც ერთბაშად. სანამ მინდია ღვთაებრივ უნარს ფლობს, მის ქცევაში, მის მოქმედებაში ვერ აღმოვაჩენთ მინიშნებასაც კი იმაზე, რომ ის სხვებთან შედარებით რაიმეთი ზეაღმატებულია, რაიმე უპირატესობის მფლობელია (მხედველობაში მაქვს მინდიას მოქმედების თვით მინდიასაგანვე აფიშირება და არა მისი ობიექტური მდგომარეობა). მინდია თავის ღვთაებრივ მოვალეობას უხმაუროდ, უპრეტენზიოდ და უდრტვინველად ასრულებს: არც ვინმესთან ამაყობს ამით და არც ვინმეს შესჩივის იმის თაობაზე, რომ ყველი თავთავის თხოვნა-ხვეწნას ერთბაშად ვერ ასრულებს და მცდელობით დაქანცული თვითონაც ხდება „მოსაბრუნები წყალითა".

მინდიამ, როგორც ჭეროვანი, ისე მიიღო და შეითვისა თავისი ბედი და ერთგულებს მას მანამდე, სანამ გარეშე ძალები არ ჩაერევიან მის ცხოვრებაში. ერთადერთი, რაც მინდიას ქმედებაში შეიძლება გამოვყოთ როგორც საკუთარი უპირატესობის მაჩვენებელი, — ესაა რჩევა თანამოძმეთათვის — ხეებს ნუ მოვჭრით, ჯოყრებს და ხმელ წიწკრებს დავჭერდეთო. მაგრამ თვით რჩევის ტონს დავაკვირდეთ: საკუთარი გულისნადების უნებურად წარმოთქმას უფრო ჰგავს, ვიდრე ვინმესათვის თავისი უპირატესობის შეხსენების ან თუნდაც გაცნობიერების მცდელობას. ამპარტავანი პიროვნება, რომელსაც სათანადო ძალა და უნარიც გააჩნია თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად, სხვაგვარად მოიქცეოდა. ამპარტავნულად მინდიას ოპონენტები უფრო იქცევიან, რომელნიც მინდიას მოკრძალებულ რჩევას ბოდვას უწოდებენ:

არავინ უსმენს, არქმევენ
ამგვარ მის რჩევას ბოდვასა.

ფორმალურად რომ ვიმსჯელოთ, ბრბო — მინდიას კოლექტიური ოპონენტი, უფრო ცდილობს გაამჟღავნოს თავისი მოჩვენებითი უპირატესობა. მინდია მოკრძალებისა და რუდუნების, ე. ი. მაღალზნეობრიობის განსახიერებაა. ამიტომ ამპარტავნობას მასთან არავითარი შეხების წერტილი არა აქვს.

რაც შეეხება სიტყვებს—„ცოტ-ცოტად, ნელაობითა," — მათ წარმოთქვამს თვითონ მინდია, წარმოთქვამს ცოლთან კამათისას იმის თაობაზე, რომ მისმა მოთხოვნამ და წუწუნ-ჩივილმა აიძულა ღვთაებრივი ზნეობრიობისადმი შეუსაბამო ნაბიჯი გადაედგა, თავის მოტყუების გზას დადგომოდა:

„იმიტომ, უჭკო დიაცო,
რომ სწუწუნებდი, სჩიოდი,
„სიცივე ბალღებს მილევსო",
შვილ-მამკვდარივით ჰკიოდი...
და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა,
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა.

საგულისხმოა, რომ მინდია მკვახედ ლაპარაკობს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მან ღვთაებრივი უნარი დაკარგა და კვლავ ჩვეულებრივი ინდივიდი გახდა. სანამ ის ღვთაებრივი ნიჭის მფლობელია, იგი ხმასაც კი არ იმაღლებს არავისთან და მუდამ თავდახრილი და მოკრძალებული დადის. მაგრამ ღვთაებრივი ნიჭის დაკარგვამ გაალვიძა მასში ყველა ადამიანური სისუსტე და ამიტომ აღარ ინდობს სასაყვედუროდ ცოლს, ამიტომ უწოდებს ჩვეულებრივი ცხოვრების მიმდევარ ადამიანებს — ბრიყვებს და ა. შ. სწორედ ღვთაებრივი ზნეობრიობა აძლევს საოცარ ძალას მინდიას, რომ მიწიერ ცდუნებას გაუძლოს და ყოფიერების მიმართ გულგრილი დარჩეს. ამავე ძალით ვერ მოიკიდა მის გულში ბოროტმა ფეხი.

მაგრამ რატომღა დაკარგა მინდიამ ღვთაებრივი ნიჭი? სადისკუსიო წერილის ავტორი ამას მინდიას გაამპარტავნებით ხსნის, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს აბსოლუტურად მცდარი მოსაზრებაა. ამპარტავნობა არა ადამიანური სისუსტე, არამედ თვისებაა ადამიანისა, უარყოფითი თვისება, შორს მდგარი კაცთმოყვარეობისაგან, სიკეთისაგან და ამიტომ სრულიად შეუსაბამო მინდიას პიროვნებისათვის. ღვთაებრივი მადლით დაჯილდოებული მინდია ისევ ხორციელად რჩება, ფიზიკურად მასში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ამას არაერთხელ გვახსენებს ვაჟა-ფშაველა: ყანის მკისას იმის მოწადინე, რომ ყოველ თავთავს ერთდროულად უშველოს, ისე იქანცება, იღლება, რომ ძალღონეგამოლეული „გაოშხლართება მიწაზე" ან ხდება „მოსაბრუნები წყალითა". მინდიას თანამოძმენიც ხომ არაერთხელ აღნიშნავენ, რომ ისინიც მისებრ კაცნი არიან. მათაც ყურები სხვა, ე. ი. ფიზიკურად არაფრით არ ჩამოუვარდებიან მინდიას. მინდიაში მხოლოდ სულიერი მეტამორფოზა მოხდა, მხოლოდ სამშვინველი შეიცვალა მისი და რადგან მისი ფიზიკური სტრუქტურა უცვლელი დარჩა, ღვთაებრივი უნარის რეალიზაცია მისთვის ავტომატური, ყოველგვარ ფიზიკურ ძალისხმევას მოკლებული პროცესი კი არ არის, არამედ პირიქით — სწორედ ადამიანური ძალების მობილიზებას მოითხოვს. ყოველგვარი მიწიერი მინდიასათვის ისევე გასაგებია, როგორც ყველა ჩვეულებრივი ადამიანისათვის. მისი განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ჩვეულებრივი ადამიანისათვის სასიცოცხლო საგნებმა და მოვლენებმა მისთვის ემპირიული დიდებულება დაკარგეს. ამ საგანთა და მოვლენათა გარეშე მინდიას იოლად შეუძლია ფონს გასვლა, მის ფიზიკურ არსებას ამით არაფერი აკლდება, სულიერ-ზნეობრივად კი იგი ღვთაებრივი სრულყოფისაკენ მიმავალ გზას მიჰყვება. ფიზიკური კონსტიტუციის შეუცვლელობა და სრული სულიერი მეტამორფოზა მინდიას უამრავი პრობლემის წინაშე აყენებს. ამ პრობლემათაგან მთავარი მისი გაორებულობაა: მისი სინამდვილისადმი დამოკიდებულება აღარაა ისეთი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანებისა, მაგრამ რადგან მათი დამოკიდებულება სინამდვილისადმი არ შეცვლილა, ამიტომ მინდიას ადამიანებისადმი დამოკიდებულებაც უცვლელი უნდა დარჩეს — ამას მოითხოვს თემი და რაც ყველაზე მთავარია — ოჯახი. ოჯახთან დამოკიდებულება მთავარია იმიტომ, რომ მისი ავკარგის, მისი კეთილდღეობის პასუხისმგებლობა სწორედ მინდიას, როგორც ოჯახის მამას ეკისრება. ტრადიციული კეთილდღეობა კი ტრადიციულ ქმედებას მოითხოვს. მაგრამ მინდიასათვის ამგვარი ქმედება უკვე ცოდვის გზაა. ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობა პირველ ყოვლისა ზნეობრივი იმპერატივია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ჯვრისწერით მეუღლეები სწორედ ზნეობრივ პასუხისმგებლობას კისრულობენ ერთმანეთის წინაშე, უპირველეს ყოვლისა. ამას დაუმატეთ შვილების წინაშე პასუხისმგებლობაც და ადვილი წარმოსადგენი გახდება მინდიას მდგომარეობა: იგი გაორებულია ზეციერსა და მიწიერ მოვალეობებს შორის. მას უკვე აღარც ტრადიციული ყოფისადმი სრულად დაბრუნება შეუძლია, რადგან იცის, რომ ეს ცოდვასთანაა დაკავშირებული, ცოდვიანი ცხოვრების არჩევაა, არც მიწისაგან მოწყვეტა და ღვთაებრივ სფეროში აბსოლუტური გადასვლა ძალუძს თავისი ფიზიკური განპირობებულობის გამო. ამაშია მისი გაორებული მდგომარეობის არსი, რომელსაც მიჰყავს იგი თავისმოტყუების მცდელობამდე. სწორედ ამის თაობაზე ამბობს ღვთაებრივი ნიჭის დაკარგვის შემდეგ მინდია:

და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა.
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა.

როგორც ვხედავთ, ყოველივე ეს ხდება არა ღვთაებრივი ცოდნის შეგრძნებით გამოწვეული უპირატესობის განცდით, არამედ ერთმანეთის საპირისპირო მოვალეობების ერთნაირი ერთგულებით აღსრულების მცდელობის გამო. ორი ურთიერთგამომრიცხავი ზნეობიდან ორივე არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ღვთისსარგო. სწორედ ზნეობის გახლეჩა გახდა მინდიას ღვთაებრივი ნიჭით განტვირთვის მიზეზი, მისი ტრაგედიის მიზეზი. ეს ტრაგედია ერთბაშად არ მომხდარა, რადგან უფალი შემწყნარებელია და დიდსულოვანი: მან მისცა მინდიას იმის დრო და საშუალება, რომ შეეგნო გაორებული ზნეობის დამღუპველობა სრულ დაცემამდე. მაგრამ სწორედ ამ შემწყნარებლობამ განუმტკიცა მინდიას ილუზორული რწმენა:

დღეს მოვჭერ ერთი
ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია:
„რად სჩადი მაგას, მინდიავ,
ვითომ არ იყავ მტერია?!"
ხვალ ორი მოვჭერ, და ასე
გული ჩავიდევ ქვისაო,
რომ სულ აღარა მეგრძნო რა,
ძალაც ვითხოვე ღვთისაო.

ჭეშმარიტად — რაც ხდება, ყველაფერი ღვთის ძალით ხდება. ღვთით ბოძებულს ვერც მინდია დაკარგავდა ღვთაებრივი შემწეობის გარეშე. მაგრამ ამ შემწეობით უფალმა კი არ გაწირა მინდია, არამედ ახალი გამოცდის წინაშე დააყენა. ხორციელის სრული ღვთაებრივი ამაღლება რომ შეუძლებელია — მინდიამ ეს საკუთარ თავზე გამოსცადა. გამოსცადა მწარე ზნეობრივი მარცხის ფასად. ამიტომ მან ისიც შეიგნო, რომ ცოდვით დამძიმებული სიცოცხლე ზნეობრივი მონაპოვის საშუალებად არ გამოდგება. უზნეო და ცოდვიანი ცხოვრება კი არც ერისა და არც ღმერთისათვის არაა სასურველი და სასარგებლო. ამიტომ იგი სულიერი ამაღლება-აღორძინების ერთადერთ საშუალებას — ცოდვილი სხეულისაგან განთავისუფლების გზას მიმართავს. რაკი თანამოძმეებმა მტერთან ბრძოლაში თავგანწირვის საშუალება არ მისცეს, მინდია სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. თვითმკვლელობა სულიერი განწმენდის უკიდურესი საშუალებაა და მინდიამ ამ გამოცდას უზენაესის წინაშე ღირსეულად გაუძლო. მინდიას სულიერი სიმტკიცე გადამწყვეტ მომენტში ყოვლისშემქმნელის კმაყოფილებას იწვევს, მაგრამ ამწუხრებს კიდევაც თავისი გამორჩეული შვილის სიცოცხლის თვითგვემით დამთავრება. იგი ბუნების თვალით უყურებს და ბუნებისავე თვალით აფასებს მინდიას უკანასკნელ მოქმედებას:

მთვარემაც გადმოაშუქა
საჭირვეების სერითა
და დააშტერდა თავის მკვლელს
მოარე ქალის ფერითა.

ამგვარად გამოხატავს ბუნება (ღმერთი) თავის მწუხარებას და ძნელი ასახსნელია როგორ შეიძლება შევაფასოთ და გავიგოთ ეს ადგილი — როგორც ბუნების გულგრილობა და უდრტვინველობა: განა მოზარე ქალის ფერობა მთვარისათვის მისი გულგრილობის დამადასტურებელია? რაც შეეხება ბუნების (ღმერთის) კმაყოფილების განცდას, იგი გამოხატულია ნიავის უდარდელობით და ვაჟა-ფშაველას გენიოსობა იმაშიც გამოჩნდა, რომ ბუნების მაყორული განწყობილება მისი ყველაზე „თავქარიანი" ელემენტის — ნიავის სახით გამოხატა. თვით ის ფაქტი, რომ მინდია თვითმკვლელობის აქტს ღამით ასრულებს, ბუნების სამწუხარო, სამგლოვიარო განწყობილებაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე უდარდელზე და მინდიასადმი მისი თანაგრძნობაც ეჭვს არ იწვევს.

სადისკუსიო წერილის არსებითი არგუმენტები უკვე განვიხილე, მაგრამ მასში ფიგურირებს ერთი მომენტი, რომელსაც გზადაგზა უკვე შევეხე. მიუხედავად ამისა, მისი შეგნებულად გვერდის ავლა რომ არ მოგვაწერონ, უფრო დაწვრილებით შევეხები. მხედველობაში მაქვს სადისკუსიო წერილის ავტორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ მინდიას აზრით ადამიანები ბრიყვები არიანო. ამ სიტყვებს („ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდო") მინდია იმის შემდეგ ამბობს, როდესაც უკვე დაკარგა ღვთაებრივი ნიჭი და კვლავ ჩვეულებრივ მოკვდავად იქცა. ამის გამო იგი წონასწორობადაკარგულია, აფექტურ მდგომარეობაშია და თავისი გაუბედურების მიზეზად ყველაზე ახლობელ ადამიანებს — ცოლშვილს მიიჩნევს. სულიერი წონასწორობიდან ამოვარდნილი ადამიანისათვის ეს სავსებით გასაგები და რეალური მდგომარეობაა და ვაჟაც მაქსიმალური სიმართლითა და მხატვრული დამაჯერებლობით გვიხატავს ამ მდგომარეობას. ზემოთ უკვე ვთქვი და კვლავ გავიმეორებ, რომ სანამ მინდია ზეგარდმო ძალითაა ცხებული, იგი არავის და არასოდეს არ აგრძნობინებს თავის უპირატესობას, არავის მიმართ არ ავლენს ამპარტავნობას და ქედმაღლობას...

წერილის ავტორი იმოწმებს გ. ქიქოძეს და მის კვალდაკვალ იმეორებს, რომ მინდია შერცხვენილი მკვდარიაო. მიუხედავად გ. ქიქოძის ჭეშმარიტად დიდი ავტორიტეტისა, მაინც ვერ დავეთანხმები ამგვარ მტკიცებას. მინდიას თვითმკვლელობა მისი ამაღლების, მისი სულიერ-ზნეობრივი კათარზისის სიმბოლოა და შეუძლებელია შერცხვენილი იყოს ის, ვინც ცოდვას საკუთარი სიცოცხლის ფასად გამოისყიდის. შერცხვენილი მკვდარი მინდია მაშინ იქნებოდა, ღვთაებრივი უნარის დაკარგვის შემდეგაც რომ გაეგრძელებინა ცხოვრება და ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო...

„გველისმჭამელი" ერთობ რთული და ღრმა ფილოსოფიური ნაწარმოებია და გასაგებია, რომ მისი ერთმნიშვნელოვნად გაგება, ალბათ, შეუძლებელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას მივაწეროთ ისეთი რამ, რაც არც მისი მსოფლმხედველობიდან და არც კონკრეტულად პოემის დედააზრიდან არ გამომდინარეობს.

# გერმანული კინო თბილისში

30 სექტემბერს თბილისის კინოს სახლში დაიწყო მაქს ოფიულსის სახელობის ფესტივალის ფილმების ჩვენება. ცნობილი გერმანელი რეჟისორის მაქს ოფჰიულსის სახელობის ფესტივალი მის მშობლიურ ქალაქ საარბრიუკენში პირველად 1979 წელს ჩატარდა. მას შემდეგ ეს ფესტივალი საკმაოდ პოპულარული გახდა. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ის გერმანულენოვან სამყაროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კინო-ფორუმად ითვლება. ყოველი წლის იანვარში საარბრიუკენი ხუთი დღით გერმანულენოვანი სამყაროს კინოცენტრი ხდება.

ამ ფესტივალის მიზანია გერმანულენოვანი ქვეყნების ახალგაზრდა რეჟისორების გამოვლენა და მათი ყოველმხრივი თანადგომა. დაწესებულია მუნიციპალიტეტის ჯილდო, რომელიც ყოველ ნიჭიერ რეჟისორს ხელს უწყობს ფილმის კინობაზარზე გამოტანაში.

—ჩვენი კინოდარბაზები ძირითადად ამერიკულ ფილმებს აჩვენებენ, კომერციულ კინოს საოცარი რეკლამა აქვს, ზოგჯერ რეკლამაზე 3 მილიონი დოლარი იხარჯება, რა თქმა უნდა, მაყურებელიც მოუთმენლად ელის რეკლამირებულ ფილმს. გერმანულ კინოს ძალიან უჭირს და დახმარება სჭირდება. ამიტომაც ჩვენი მიზანია ახალგაზრდა ძალების გამოვლენა, მათი დახმარება. სიხარულით მივიღეთ ელდარ შენგელაიას მოწვევა, თუმცა გვესმის, რომ ენობრივი ბარიერი ხელს შეუშლის ქართველ მაყურებელს ბოლომდე ჩაწვდეს ჩვენს ფილმებს, — თქვა საარბრიუკენის კინოს უწყებისა და ფესტივალის დირექტორმა ალბრეხტ შუბიტმა.

ფესტივალი ყოველწლიურად პატივს მიაგებს მაქს ოფჰიულსის და მისი ფილმებისაგან შემდგარ სპეციალურ პროგრამას სთავაზობს მაყურებელს. აღსანიშნავია, რომ 1990 წელს საარბრიუკენის ფესტივალზე წარსდგნენ ახალგაზრდა ქართველი რეჟისორებიც: ლევან თუთბერიძე, გიორგი ჰყონია, ტატო კოტეტიშვილი, დოდო ცინცაძე, ლევან კიტია და თინა მენაბდე. ახლა კი საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ საარბრიუკენიდან ფესტივალის დირექტორი ალბრეხტ შუბიტი, ეველდ ბუმი, რეჟისორები ადრიან გრუბერი და ვოლფგანგ ბეკერი.

ფილმების ჩვენება ერთ კვირას გაგრძელდება.

# ახალი ლექსები

## ხუტა ბაგუა

### ნუ ჯავრობ, დედავ!

გრძელ გზაზე მავალი,
ვინც ბნელს შეეჭიდა,
ძირს დასცეს მრავალი —
სისხლი სდით ბეჭიდან...
ნუ ჯავრობ, დედავ! —

ეს მათი სულია,
რომ ბადებს განთიადს,
რაც ყველა ქართველის
სისხლ-ძარღვში ანთია.
შეხედე — ხედავ? —

ნისლში გახვეული,
მზის ხელა კელაპტრით,
მაღლდება ჯვარი და
გრემი და გელათი, —
ღმერთი და რჯული! —

არ გადაგვარდება,
რომც გაწყრეს უფალი,
თამამი, კეთილი
და თავისუფალი —
ქართული სული!

### პინგვინების მარათონი

ნედლი დაფნის გვირგვინებით
შემკობილნი წინდაწინ,
პინ-
პინ-
პინ-
პინ-
პინგვინები
მიიწევენ წინ და წინ.

გავანგრევთო რამერიგად —
ეს რა ლობე-ყორეა;
გავასწარით ამერიკას,
გვჯაბნის სამხრეთ კორეა?! —

დახშულ სივრცეს მიჰკივიან,
ხიხინებენ ხანდახან,
წინ-წინ, თურმე, იგივეა,
რაც უკან და განდაგან.

მშობლიური შუკა არ ჩანს,
დღეა გაუცინარი.
ყველაფერი უკან დარჩა,
ესე იგი, წინ არი...

გული მიწუხს რახანია,
სულში წარამარა თოვს.
რა გაუძლებს, მახარია,
ამ
მა-
მა-
მა-
მარათონს.

### კრწანისი. მზის ჩასვლისას თქმული

მე ეს მადარდებს ყველაზე უფრო,
დიდოსტატებო სმისა და ჭამის, —
სამასკაციან საერო სუფრას
არაგველთაგან არ უზის სამიც.

მე ეს მადარდებს ყველაზე უფრო:
ჯერაც, ასაკით კი არა — რანგით
უმცროსი ფეხქვეშ ეგება უფროსს,
ვითარ ოდესღაც — თეთრ ბატონს
ზანგი.

მე ეს მადარდებს, — ეშმა იცინის, —
ვაგლახ, მფლობელო გრძნეული ჩანგის,
შენც ფუნდრუკს უკმევ კუდის ქიცინით
გამორჩეულებს ჩინით და ჭანგით.

მე ეს მადარდებს ყველაზე უფრო —
ილიას გზაზე მიდის ქართველი?..
ვაი შენ, ჩემო სათოფე შუბლო,
საფლავში ჩამაქვს ეს სადარდელი.

### ვედრება

გივი თუშიშვილს

ეს ცხოვრება ასეთია:
ზოგს იტაცებს მხოლოდ ოქრო-
ვერცხლი,
ზოგი ამბობს — ასეთ იას,
კოლხურ იას რა ქონება შეცვლის.

ეს ცხოვრება ასეთია,
სხვა ცხოვრების არაფერი ვიცი.
და ღრუბლები ცაზე დიან —
იმედები დასიცხული მიწის.

ალგეთური ლექსის დარად,
მოძმეთათვის უხვად გასაცემი,
ზეციერო, ეს გიტარა
ერთადერთი ქონებაა ჩემი.

ცას და მიწას, თუ გინდა, რომ
ვუგალობო, მადლიერმა ხვედრით,
ნუ დამტოვებ უგიტაროდ,
უცრემლებოდ ნუ დამტოვებ, გვედრი.

უსანთლებოდ სინათლიან
ბედისა თუ ბედისწერის კართან
არაფერი მინატრია,
არაფერი, ამ სიმდიდრის გარდა.

დღემდე დარი თუკი დარობს,
წყალობაა მუსიკის და ზეცის;
ნუ დამტოვებ უგიტაროდ,
ზეციერო, ეს პატივი მეცი...

### უცებ ალმოვხდა

უცებ ალმოვხდა, როს ვირწმუნე—მწედ
მექმნა ღმერთი
და მზედ განათდა იმედი ხვალის:
უბრალო მოკვდავს რას მეყოფა
სიცოცხლე ერთი,
მაწევს მამულის იმხელა ვალი!

გამოხდა ხანი — ყოველგვარი
დავთრგუნე შიში,
უფრორე — შვება ვიგრძენი მაშინ,
როს მომივლინა ზეციერმა კოლხური
ჯიშის,
ერთი ასული და სამი ვაჟი.

ამ ოთხეულის გ ა ო ც ე ბ ა ს თუ
მოვესწარი,
დიაღაც ვიტყვი, რომ ერთი მუჭა
ხალხის წინაშე ვალის მოხდა სწორედ
ეს არი —
არ მიცხოვრია, მამულო, ფუჭად.

### ირონიული

ჟამი, როსმე ღვთაებრივი,
საოლიმპოდ დაძრულთა
საქილიკო ტაეპივით —
უცაბედად დასრულდა.

ცრემლი მდის და ეცინებათ,
სონეტ-ვერლიბრ-ტრიოლეტს
ასაღებენ ტერცინებად —
წერა გაიიოლეს.

პოეტური ქავილები
ალბათ იმის გამოა, —
სამაისო ყვავილები
თებერვალში გამოაქვთ.

იქ იგავით, აქ არაკით
ფონს გადიან ადვილად.
თავს იწონებს აგარაკი,
ღირებული ათ ვილად.

შენც ხომ გინდა! რა ტომარა,
რა ხურჯინი — ერთია,
სავსე თუა. რატომ არა,
წერე, წერე, ბერდიავ!

როგორ გაძლებ, ცა არ აქო,
მიწა შენი არ აქო,
საედემო, საარაკო
ანუ საგარაკო.

რას დაგაკლებს ბედი — ტურა,
მაღლით მამალმერთია,
რუსთაველზე მედიდურად
მიმავალო ბერდიავ.

### კერპი

დრო იყო — პატრონს არ სცნობდა
ძაღლი
და, როგორც ჯუჯა ხეები ქარში,
ხელნათაქები თავების წახრით,
გმინავდა ხალხი, დაღლილი გარჯით.

დაგმო ღმერთი და ძველი რაც არი
ცის უხილავად და გულში ეკლით,
და ალაშენა ციხე-ტაძარი —
სწორუპოვარი ეპოქის ძეგლი...

დღესაც არიან, რომელთა აზრით;
შიშის წინაშე ყოველი იხევს;
არას ვამბობთო შესახებ ტაძრის, —
დროის გამოცდას გაუძლო ციხემ.

მწარე სიმართლე უჩანთ ვინებას
შეურაცხყოფად მაღალი გერბის,
და აქამომდე არ ერცხვინებათ,
მუხლის მოდრეკა წინაშე კერპის.

ჩანს-მეთქი, საქმე საშურად მიგდით,
თუ არ აგწვიათ ერთხელაც ლაწვი
და არ გინახავთ, სირცხვილით სიკვდილს
რომ ჩაეწვინოს კუბოში კაცი.

ეს ჭირი იმან დათესა — კობამ,
ვგულისხმობ-მეთქი, იოსებ სტალინს,
ვინც მტერ-მოყვარეს უტირა ყოფა,
გადაუმსხვრია ხერხემალ-ძვალი.

— იმად უწევენ დღემდე ანგარიშს,
როცა რჩებიან საკუთარ თავთან;
კაცი ის იყო ლომებრ მაგარი,
თანამოსანგრეც მაგარი ჰყავდა!..

მე ალბათ აქვე დავსვამდი წერტილს,
რომ არა ბრიალ-მუქარა თვალის:
— აჰანდე, მლილო! ულვაშის ერთი
ღერიც ვერავინ დააკლოს სტალინს!

...მაინც იმედით შევყურებ მყოფადს,
ადამიანის ბედსა და იღბალს,
რომ ილანდება — ვერაგი კობას
გაღიმებული ულვაშის მიღმა...

### სისხლიანი ბალადა

მე არ მჯერა არავისი
რაინდული პათოსი,
ვინც არ არის არამისი,
ვინც არ არის ათოსი.

— რაინდს ღმერთმა დაუფაროს,
შენებრ, ახვარ-ასკერო,
კაცს, უხანჯლოს და უფაროს,
ზურგში დაშნა აძგეროს.

თულ-გარეწარ-გაიძვერა
თვალებს მიეფარა და
დაშნის წვერით დაიწერა
სისხლიანი ბალადა.

### ნუ შეშინდები

ნუ შეშინდები, როცა მხეცები
გაცოფდებიან და დავეცემი,
და ქაშუეთთან წვიმა ირიბი
თმებს ჩამოიშლის, როგორც ტირიფი.

ნუ შეშინდები, როს საზარელი
დაირისხება გლოვის ზარები
და ჩემი სული, მზის გამომხმობი,
ცას შეასკდება, როგორც ხოხობი.

ნუ შეშინდები, გთხოვ ვაჟკაცურად,
როს წინაპართა—ღვთით კურთხეული—
მიწის წიაღში ჩემი სხეულის
სითბოს აპრილის წვიმა ჩაწურავს.

ეს განწირული ჰანგი გედური,
მაღლა აჭრილი ღვთიურ ბგერებად,
ისე მძლავრია, რომ უკეთური
ამ სულს ვერასდროს ვერ მოერევა.

## მიხეილ ჩაჩუა

### მსურს მოგეფერო

რა დიდებულად გათენდა ისევ,
რა სინათლეა,
რა ფერებია...
მსურს მოგეფერო, მამულო, ისე,
როგორც დედაჩემს მოვფერებივარ.

მინდა ისეთი გითხრა ოსანა,
რომ ყველა დარდი მიასამარო,
ჩემო ვარდო და ჩემო შროშანა,
ჩემო ია და იასამანო.

მზე გამომიყვანს ჩემი ბინიდან,
და მე არ მინდა, ისევ გიხილოთ,
ატირებული — ჩემო ბილილა,
თვალცრემლიანი — ჩემო ლილილო.

ოი, მამულო, სუყველაფერი,
რასაც კი შენი სცხია მირონი,
მიყვარს სხვა ძალით, სხვა გამძაფრებით
სხვა სიყვარულით — უნაპიროთი.

კი, რა თქმა უნდა, მიყვარდა ადრეც,
დღეს მაინც სხვაა ეს სიყვარული
ასე—მართლაცდა გულის წასვლამდე—
ნეტავ სად უყვართ კიდევ მამული?!

...რა დიდებულად გათენდა ისევ,
რა სინათლეა,
რა ფერებია...
მსურს მოგეფერო, მამულო, ისე,
როგორც დედაჩემს მოვფერებივარ.

ო, როგორ მინდა შეგიშრო ცრემლი,
და სიხარულით დაილილინო,
შენ ჩემი გულის და მაჯის ცემავ,
ჩემი ცხოვრების მზევ და გვირგვინო.



არნოლდ გეგეჭკორის ფოტო.

# თეირანის კონფერენცია

## მერაბ კვიტაშვილი

თავის წიგნში ჩერჩილი წერს, რომ სტალინიც გამოვიდა წინა ოთახში, მაგრამ მე ის არ დამინახავს. სასადილო დარბაზის ორივე კარი ფართოდ იყო გაღებული და მე ვხედავდი სტალინს, რომელიც სტუმრებს ელაპარაკებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს სვამდა, ღათრობა სრულიად არ ეტყობოდა და ძალზე კარგ გუნებაზე იყო. ის საკმაოდ მძიმედ და დაფიქრებით ლაპარაკობდა და ხშირად იღიმებოდა, განსაკუთრებით, როდესაც რანდოლფ ჩერჩილს და მის დას, ლედი სარას ესაუბრებოდა. მე ძალიან მინდოდა, რომ მისთვის წარვედგინეთ, მაგრამ თხოვნა ველარ გავბედე. რაღაც მიზეზის გამო, ეს არც ჩერჩილს უნდოდა და არც საბჭოელებს.

რუზველტი ყველაზე ადრე წავიდა. სხვა ამერიკელები და სტალინი თავისი მხლებლებითურთ მალე უკან მიჰყვნენ და დაახლოებით ღამის 2 საათზე ბანკეტი დამთავრებული იყო. მე კიდევ ნახევარი საათი მაინც დავყავი, სანამ ყველა საბჭოთა გუშაგი წავიდოდა და ჩემ ბინაში წავედი, რომ ცოტა მაინც დამეძინა.

მეორე დილით საკმაოდ გვიან ავდექი, მაგრამ ათ საათზე ჩემს კაბინეტში კიდევ ერთი კრება ჩატარდა. მე მითხრეს, რომ „დიდი სამეული“ და ყველა სამხედრო მეთაური სადილზე ისევ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამჯერად, საბჭოთა საელჩოში, სადაც პრეზიდენტ რუზველტს უნდა ემასპინძლა. დანამდვილებით არავინ იცოდა, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ ეს კონფერენციის უკანასკნელი შეხვედრა უნდა ყოფილიყო და მეც სხვა ბრიტანელ ოფიცრებთან ერთად იქ უნდა მივსულიყავი.

ჯერ პირველი საათი არ იქნებოდა, რომ მე ისევ საბჭოთა საელჩოში ვიყავი. ამჯერად, საბჭოელებთან არავითარი უსიამოვნოება არ მოგვსვლია. კონფერენცია დასასრულს უახლოვდებოდა, არაფერი მოულოდნელი არ მომხდარა და ყველა ძალზე კმაყოფილი იყო.

სადილზე და, მის მერეც, საუბრის მთავარი თემა თურქეთი იყო. სტალინი დაჟინებით მოითხოვდა დარდანელის საკითხის განხილვას. ჩანდა, რომ იგი მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თურქეთს. ამ დროისთვის იგი უკვე დაარწმუნეს, რომ მეორე ფრონტი ნამდვილად გაიხსნებოდა, როგორც კი დასავლეთის მოკავშირეები მზად იქნებოდნენ და რომ გახსნიდნენ სწორედ იქ, სადაც მას ურჩივნა, სახელდობრ, ჩრდილო საფრანგეთში. სამხედრო ხელმძღვანელებს ამასობაში უკვე დაემთავრებინათ თავიანთი მოსაზრებები და დასკვნები და „დიდ სამეულს“ თავიანთი პროექტები წარუდგინეს.

სადილმა და მის მერე საუბარმა რამდენიმე საათს გასტანა, ვინაიდან სხვა საკითხებიც იქნა განხილული — ფინეთი, პოლონეთი, მომავალი გერმანია და სხვა. სადილის შემდეგ მე თითქმის მთელ საუბარს დავესწარი, როგორც ერთ-ერთი დამხმარე ოფიცერი და ბრიტანელი სამხედრო მეთაურობის თარჯიმანი. რამდენჯერმე სტალინიცა და ჩერჩილიც პირდაპირ მე დამელაპარაკნენ.

სტალინმა სამჯერ მაინც მომმართა კითხვით, როდესაც რაღაც ვერ გაიგო. მე დარწმუნებული ვარ, მისთვის ნათქვამი ჰქონდათ, მე ვინც ვიყავი, მაგრამ დამელაპარაკა რუსულად და არა ქართულად.

შეხვედრა დაახლოებით ნაშუადღევის 4 საათზე დამთავრდა. მაშინვე მომიახლოვდა გენერალი არკადიევი და იმ საღამოს თავისთან ვახშმად მიმიწვია. მთხოვა, აგრეთვე, მისი სახელით ათი სხვა ოფიცრისათვისაც გადამეცა ეს მიპატიჟება. მითხრა, რომ დაახლოებით 8 საათისთვის დაგველოდებოდა, თუკი არაფერი მოულოდნელი ან მნიშვნელოვანი არ შეუშლიდა ხელს. ვინაიდან, არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა, 8 საათზე, რვა ბრიტანელი ოფიცერი, იულიუს ედვარდსისა და ჩემი ჩათვლით, მივედით არკადიევის ბინაში, რომელიც საბჭოთა საელჩოს ერთ პატარა შენობაში იყო. ზოგიერთმა ბრიტანელმა ოფიცერმა წამოსვლაზე უარი თქვა. ჩვენ ექვსი საბჭოელი გველოდებოდა — ყველა გენერალი, ჩვენი მხრიდან კი მხოლოდ ორი გენერალი იყო.

ვახშამი ძალზე გემრიელი იყო და საბჭოელებმა მითხრეს, რომ ყველაფერი, საჭმელიცა და სასმელიც, საქართველოდან იყო ჩამოტანილი. სახელგანთქმული ლაღიძის ხილის სასმელიც კი მოეტანათ, რომელიც, საბჭოელებმა გამოგვიცხადეს, მსოფლიოში საუკეთესო არისო. ჩემი აზრით, მართლაც ასე იყო, მაგრამ ბრიტანელ ოფიცრებს არც თუ ისე მოეწონათ. მათ რაიმე უფრო მაგარი უნდოდათ, რაშიც ალკოჰოლი იქნებოდა და, რასაკვირველია, ამგვარი სასმელიც ბლომად იყო. განსაკუთრებით კარგი იყო ქართული ღვინოები.

უამრავი სადღეგრძელო დავლიეთ, რომლებსაც ხან იულიუსი და ხან მე ვთარგმნიდით. ორივე მხარე საკმაოდ არაგულწრფელად აქებდა და ადიდებდა ერთმანეთს. დასასრულს, რამდენიმე ბრიტანელი და ორი-სამი საბჭოთა ოფიცერი შესამჩნევად დათვრა და ორივე მხრიდან არასასიამოვნო სიტყვები ითქვა. არკადიევიც კი, რომელიც ყოველთვის ზრდილობიანი და მეგობრული იყო ჩემს მიმართ, ძალზე გაბრაზებული ჩანდა რაღაცის გამო და თქვა, რომ იგი არცერთ ჩვენგანს არ ენდობოდა, თუმცა, მოგვიანებით ბოდიში მოიხადა. საერთოდ, მთელი ეს შეხვედრა მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო და გამეხარდა, როცა ყველაფერი დამთავრდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ვგრძნობდი, ქართული ღვინო სულ უფრო და უფრო მეკიდებოდა.

2 დეკემბერს „დიდ სამეულს“ უნდა დაეტოვებინა თეირანი. სწორედ ამ დღეს მოხდა ერთი ღირსშესანიშნავი ინციდენტი, რომელსაც შეიძლებოდა ძალზე სერიოზული შედეგები მოჰყოლოდა. ჩერჩილი მეჰრაბადის აეროპორტიდან ზუსტად დილის ცხრა საათზე უნდა გაფრენილიყო, ხოლო სტალინი დილის ცხრა საათსა და თხუთმეტ წუთზე დოშან ტაპეჰის აეროპორტიდან, რომელიც ქალაქის საწინააღმდეგო მხარეს იყო. ასე რომ, მათი მარშრუტები ერთმანეთს გადაკვეთდნენ.

ადრე დილით, გენერალ-ბრიგადირმა დუგლასმა ბრძანება გასცა, რომ გადაეკეტათ ბრიტანეთის საელჩოდან მეჰრაბადში მიმავალი ქუჩები და მათ გასწვრივ ბრიტანეთის ჯარისკაცები ჩაემწკრივებინათ. ამ ბრძანებას უკვე ელოდებოდნენ და იგი მაშინვე იქნა სისრულეში მოყვანილი. მაგრამ, დაახლოებით დილის 8 საათზე, გენერალი არკადიევი შემოგრიალდა ბრიტანეთის საელჩოში და პირდაპირ მოითხოვა, რომ ინგლისელი ჯარისკაცები უმალვე გაეყვანათ და ქუჩები გაეთავისუფლებინათ. მან თქვა, რომ ჩერჩილისა და სტალინის მარშრუტები ერთმანეთს კვეთდნენ და რომ სტალინი ვერ შეძლებდა გავლას, თუკი ქუჩები ინგლისელი ჯარისკაცებით იქნებოდა გადაღობილი.

ბრიგადირ დუგლასსა და პოლკოვნიკ რაიანს ამის გაგონებაც არ უნდოდათ და ამან ცხარე კამათი გამოიწვია. არკადიევი დაიმუქრა, რომ საბჭოელები ძალას იხმარდნენ, რაზეც ერთ-ერთმა ბრიტანელმა ოფიცერმა შენიშნა, აბა, ერთი სცადონო. თან დაამატა, რომ იგი უბრძანებდა თავის ხალხს სროლა აეტეხათ ყველასათვის, ვინც კი ქუჩაზე გავლას გაბედავდა. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ მე წავსულიყავი არკადიევთან ერთად საბჭოთა საელჩოში, მენახა ბერია და რაიმეზე შევთანხმებულიყავით.

ჩავსხედით ჩემს ჯიპში და ის იყო საბჭოთა საელჩოს გალავანში შევდიოდით, რომ დავინახე ბერია, რომელიც წერეთელთან ერთად დიდი შავი მანქანით სადღაც წასვლას აპირებდა. არკადიევმა იგი გააჩერა და აუხსნა, რაც მოხდა; უთხრა, რომ ინგლისელები ჯარისკაცების გაყვანაზე არ თანხმდებოდნენ. ბერია საშინლად განრისხდა და არკადიევს ყვირილი და უშვერი სიტყვებით გინება დაუწყო. უყვიროდა: „როგორ თუ არ თანხმდებიან (Что значит, они не соглашаются)! შენ ჩემი ბრძანება არ გაგიგია? არ უთხარი, რომ ეს ჩემი ბრძანება იყო?“ და ისევ გინებას მოჰყვა. საწყალი არკადიევი შეეცადა სიტყვა მაინც ეთქვა, მაგრამ ბერია პირდაპირ გაცოფებული იყო და არაფრის მოხმენა არ უნდოდა. მდგომარეობა ისევ წერეთელმა გამოასწორა. მან ბერიას ძალზე გულახდილად და უშიშრად მიმართა. კარგა ხანსაც ელაპარაკებოდა და, როგორც იქნა, დააშვიდა. საბოლოოდ, ბერიამ მე მომმართა და მითხრა რუსულად: „კარგი, ჩვენ მარშალის გამგზავრებას 15 წუთით გადავდებთ, 9 საათსა და 30 წუთამდე. მაგრამ გაფრთხილებთ, რომ თუ იმ დროისათვის ქუჩები არ იქნა გაწმენდილი ინგლისელი ჯარისკაცებისგან, ძალას ვიხმართ“. მე მაშინვე ჩავხტი ჩემს ჯიპში და გამოვაქანე ბრიტანეთის საელჩოში.

დუგლასი კმაყოფილი დარჩა და თქვა, რომ ჯარს გაიყვანდნენ, როგორც კი ჩერჩილის მანქანა ჩაივლიდა. ამ დროს უკვე თითქმის 9 საათი იყო. ჩვენ საელჩოსკენ მიმავალი კიბის ძირში ვიდექით, ჩერჩილის მანქანაც მზად იყო და მას ელოდებოდა, ისევე, როგორც მისი ჩამოსვლის დროს. ორი ერთნაირი „ნაპიერის“ მარკის მანქანის ფანჯრები ტალახით იყო გასვრილი, რათა არავის დაენახა, შიგ ვინ იჯდა. ამჯერად, ჩერჩილი პირველ მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო. ბრიგადირმა დუგლასმა მიბრძანა მეორე მანქანაში მე ჩავმჯდარიყავი და ბრძანება გასცა, ჯარი მაშინვე გაეყვანათ, როგორც კი მეორე მანქანა ჩაივლიდა. ჯარის უფროს ოფიცრებს აუწყეს ამ ოპერაციის შესახებ და იულიუს ედვარდსი გაგზავნეს ჯიპით, რათა ბრძანების შესრულებისათვის თვალყური ედევნებინა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ კიბის ძირას ვიდექით. დუგლასმა ჩემთან ლაპარაკი დაამთავრა და ედვარდსთან და სხვებთან ერთად სხვაგან გაემართა, მე კი ამოვიღე ჩემი რევოლვერი და მისი დატენა დავიწყე. სწორედ ამ დროს ჩერჩილიც გამოჩნდა. როდესაც მან იარაღით ხელში დამინახა, შეკრთა, მაგრამ, ალბათ, მიხვდა, რაშიც იყო საქმე. კიბეზე ჩამოვიდა, გვერდზე ჩამიარა და მომესალმა. როგორც კი ის მანქანაში მოთავსდა, მეორეში მე, ჩერჩილის პირადი მცველი და ადიუტანტი, კაპიტანი ტომპსონი და პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი, მარტინი ჩავსხედით. კიდევ ერთი ტომპსონი (სამოქალაქო პირი და ისიც ჩერჩილის მცველი) და ლედი სარა ჩერჩილთან ერთად წინა მანქანაში ისხდნენ.

ავტოქარავანი მაშინვე დაიძრა. წინ სამხედრო პოლიციელი მიგვიძღოდა მოტოციკლით. მას მიჰყვებოდა ორი ჯიპი და ორი სხვა მანქანაც, რომლებშიც სამხედრო პოლიციის უფროსი, კიდევ რამდენიმე ოფიცერი და დელეგაციის წევრი ისხდნენ. მათ უკან კი ჩერჩილის მანქანა მიდიოდა რამდენიმე მოტოციკლის ესკორტით. მათ მივყვებოდი მე და ბოლოს კიდევ რამდენიმე მანქანით მცველები და დელეგაციის წევრები მოყავდათ.

ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. ჯარმა ბრძანება დროულად მიიღო და როგორც კი ჩემმა მანქანამ ჩაიარა, ჯარისკაცები ქუჩიდან გაიყვანეს. არც კი დამჭირვებია რაიმე სიგნალი მიმეცა, რადგან იულიუსი კვალდაკვალ მომყვებოდა და, როგორც კი დაინახა, რომ მე ჩავიარე, გასვლის ნიშანი თვითონვე მისცა.

ის იყო მთავარი გზიდან აეროპორტისაკენ მიმავალ გვერდით ქუჩაზე გავუხვიეთ, რომ ავარია მოხდა, თუმცა, პატარა, მაგრამ ისეთი, რასაც შეიძლებოდა გართულება მოჰყოლოდა. წინა მოტოციკლმა ძალზე მკვეთრად მოუხვია და გადატრიალდა. საბედნიეროდ, მოტორს ცეცხლი წაეკიდა და აფეთქდა. თუმცა, დახურულ მანქანებში მსხდომთ არაფერი გაუგიათ და, ვფიქრობ, ჩერჩილმაც არ იცოდა, თუ რაიმე მოხდა.

აეროპორტში მხოლოდ რამდენიმე წუთის მისული ვიქნებოდით, რომ ჩერჩილი და მისი თანმხლებლები უკვე თვითმფრინავში ისხდნენ და მაშინვე აფრინდნენ. არავითარი გამოსამშვიდობებელი ცერემონია არ მოუწყვიათ და არც სიტყვები უთქვამთ. ყველას მხოლოდ ერთი რამ უნდოდა: რაც შეიძლება მალე გაემგზავრებინათ ჩერჩილი.

ახლა რამდენიმე სიტყვა იმ თავდასხმაზე, რომელიც მოხდა 18 დეკემბერს, კონფერენციის დამთავრებიდან თითქმის ზუსტად ორი კვირის შემდეგ. როგორც ადრე აღვნიშნე, ბრიტანეთის საელჩო თეირანში ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. ამ მთავარი საელჩოს გარდა იყო კიდევ ერთი, რომელსაც „საზაფხულო საელჩოს“ უწოდებდნენ. იგი თეირანიდან ჩრდილოეთით 15 მილის მანძილზე მდებარეობდა; საკმაოდ მაღლა, მთებში, ელბურზის (არა კავკასიის ელბრუსის) ქედის კალთებზე, თეირანის ძალზე ცხელი ზაფხულის დღეებში ბევრი ოფიცერი და სხვა მომსახურე პირი თეირანიდან გადიოდა და იქ ატარებდა სამ-ოთხ თვეს. სწორედ იმ წელს ბევრმა, და მათ შორის მეც, გადავწყვიტეთ მთელი ზამთარი იქ გაგვეტარებინა; მთავარი საელჩო გადატვირთული იყო და ბევრი ჩვენგანისათვის საცხოვრებელი ადგილი აღარ რჩებოდა.

18 დეკემბრის გვიან საღამოს მე, კიდევ ერთი ოფიცერი და მძღოლი (ერთი ასირიელი, სახელად მურადი) „საზაფხულო საელჩოში“ მივემგზავრებოდით. საჭესთან მე ვიჯექი, მეორე ოფიცერი გვერდით მეჯდა, მურადი კი უკან მოთავსდა. გზა ფართო იყო, მაგრამ ძალზე მიხვეულ-მოხვეული. ერთ ადგილას, გზის ორივე მხარეს, საკმაოდ მაღალი ბორცვები მიუყვებოდა. მე საკმაოდ სწრაფად მიმყავდა მანქანა, რომ უეცრად, როდესაც ერთ ძალზე მკვეთრ მოსახვევს ვუახლოვდებოდი, ვიღაცამ ავტომატიდან სროლა ატეხა; ტყვიების პირველ რიგს კიდევ ორი თუ სამი მოჰყვა. სანამ გავიაზრებდი, რომ ტყვიებს ჩვენ გვიშენდნენ, ჩემი თანამგზავრი ოფიცერი ხასიკვდილოდ დაიჭრა. მე შეგნებულად არ ვასახელებ ამ ოფიცრის სახელს, რადგანაც მის ახლობლებს შეატყობინეს, რომ იგი სამხედრო ოპერაციის დროს დაიღუპა. ომი ჯერ არ იყო დამთავრებული, საბჭოეთი ჯერ კიდევ ჩვენი „მოკავშირე“ იყო და უმაღლეს დონეზე გადაწყვიტეს, ეს ინციდენტი არ გაეხმაურებინათ.

ჯარისკაცებს შორის არსებობს გამოთქმა, რომ ადამიანი მისკენ წამოსულ ტყვიას ვერ დაინახავსო. შემიძლია დავიფიცო, რომ, ამჯერად, მე ეს ტყვია დავინახე. სათადარიგო მუხრუჭი ჯიპის წინა პულტზე იყო, სხვადასხვა მაჩვენებლებსა და სიჩქარის აღმრიცხველებს შორის. მე დავინახე, როგორ მოხვდა რაღაც კენჭისმაგვარი მუხრუჭის სახელურს, მერე ასხლტა და გამიარა მარცხენა ხელის მტევანში, რომლითაც საჭეს ვეზღაუჭებოდი. ამ დროს უკვე მივხვდი, რომ ეს ტყვია იყო, დავინახე და ვიგრძენი, როგორ გამიხვრიტა მტევანი, ასრიალდა მკლავის გასწვრივ და ისევ მომხვდა მარცხენა იდაყვის ცოტა ზემოთ. იქ კი ხორცში ჩამესო და გაიჭედა ისე, რომ მისი ბოლო ისევ მოჩანდა. ეტყობა, ტყვიამ სისწრაფე დაკარგა და უკვე აღარ შეეძლო სხეულში ღრმად შესულიყო. მურადიც რამდენიმე ადგილას იყო დაჭრილი და მასაც სისხლი სდიოდა, მაგრამ გონი არ დაუკარგავს.

როდესაც დავიჭერი, მე ინსტინქტურად მოვატრიალე საჭე და, საბედნიეროდ, ჯიპი თხრილში შევაგდე სწორედ იმ ბორცვების ძირას, საიდანაც ისროდნენ. შესაძლოა, მე და მურადი ამან გადაგვარჩინა, რადგან ამ კუთხიდან ისინი ჩვენ ველარ გვხედავდნენ. საწყალი ჩემი მეგობარი ტყვიას მაშინვე მოეკლა. მას უბა ჰქონდა ჩამსხვრეული და, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, მეორე ტყვია კისერთან ხერხემალშიც მოხვედროდა.

მალე ჩვენს გარშემო რამდენიმე მანქანა და უამრავი სპარსელი მოგროვდა. მათ სროლა არ გაუგიათ და იფიქრეს, რომ ავარია შეგვემთხვა. ცოტა ხნის შემდეგ სამხედრო პოლიციის ჯიპიც მოვიდა სამი პოლიციელით. პირველყოვლისა, მე მათ ვუბრძანე, სპარსელები დაემალათ და არავისთვის მიეცათ უფლება დაზიანებულ ჯიპს მიახლოებოდა, რათა „მოკლული“ არავის ენახა. მათ ეს მაშინვე შეასრულეს.

ძალიან მალე სხვა დახმარებამაც მოგვისწრო. სამხედრო ექიმმა მე და მურადს შეგვიხვია მსუბუქი ჭრილობები. მურადის ერთი ჭრილობა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და მეც ხელი ძალიან მტკიოდა, რადგან ტყვიას შიგ რაღაც პატარა ძვალი დაემსხვრია. ამის შემდეგ, მე მძღოლს ვთხოვე სამხედრო ატაშესთან წავეყვანე, რათა მისთვის ეს შემთხვევა მომეხსენებინა. ამ უკანასკნელმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ ელჩს მოახსენა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ღამის თორმეტი საათი იქნებოდა.

მიბრძანეს, ამ ინციდენტის შესახებ კრინტი არავისთან დამეძრა. იგივე უბრძანეს ყველა იმ სამხედრო პირს, რომლებიც ამ შემთხვევის მოწმე გახდნენ და, გარდა ამისა, ყოველი მათგანი თითქმის დაუყოვნებლივ თეირანიდან ძალიან შორს, სხვა ადგილებში გადაიყვანეს. საწყალი მურადი საავადმყოფოს იზოლიატორში მოათავსეს, სადაც მან თითქმის ორი თვე დაჰყო...

ერთმა თუ ორმა დღემ ჩაიარა ამ თავდასხმის შემდეგ, რომელიც აშკარად ჩემს და არა უდანაშაულო ბრიტანელი ოფიცრისა და ასირიელი მძღოლის წინააღმდეგ იყო მოწყობილი. ბრიტანეთის ელჩმა და სამხედრო ატაშემ მოიწვიეს საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი წარმომადგენლები და ძალზე მკაცრად და არაორაზროვნად უთხრეს შემდეგი: „ჩვენ ვიცით, ვინ არის კაპიტანი ნიკოლოზ მერაბ კედ და ვიცით მისი ნამდვილი სახელიც, ჩვენთვის ცნობილია, აგრეთვე, რომ მას ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობა აქვს, რაც თქვენთვისაც ასევე კარგად ან უკეთესადაც უნდა იყოს ცნობილი; მაგრამ, სანამ ის ბრიტანელი ოფიცრის ფორმას ატარებს, ის ჩვენთვის ბრიტანელია და გვინდა ძალზე სერიოზულად გაგაფრთხილოთ, რომ თუ კიდევ ერთხელ შეეცდებით მის მოკვლას ან რამე სხვა ზიანის მიყენებას, ამას ძალიან, ძალიან სერიოზული შედეგები მოჰყვება და, შესაძლოა, ღრმა ნაპრალი გააჩინოს ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის“.

ამ საუბარს მე პირადად არ დავსწრებივარ, მაგრამ მოგვიანებით მითხრეს, რომ სწორედ ასეთი მკაცრი სიტყვები ითქვა და რომ საბჭოელებთან ამ შეხვედრას ძალზე დაძაბული ხასიათი ჰქონდა, რადგან ისინი ამ ფაქტის ცოდნას უარყოფდნენ. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მართალსაც ამბობდნენ. ბერია თავის გეგმებს არც თუ ისე ხშირად უზიარებდა ვინმეს, მაგრამ მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ეს თავდასხმა მისი ხალხის მიერ და მისივე ბრძანებით იყო მოწყობილი. ვერცერთი სხვა საბჭოელი ამას ვერ გაბედავდა. გარდა ამისა, თუმცა თავდამსხმელები ვერ იპოვეს, ბრიტანეთის დაზვერვამ მათ კვალს თეირანის ერთ შენობამდე მისდია, რომელიც ცნობილი იყო, როგორც საბჭოთა აგენტების, უმთავრესად, ბერიას აგენტების შეხვედრის ადგილი.

●

ამგვარად, დამთავრდა თეირანის კონფერენცია, მეორე მსოფლიო ომის სამი კონფერენციიდან პირველი. შემდეგი ორიდან ერთი იალტაში შედგა, მეორე — მოგვიანებით პოტსდამში. ამ კონფერენციებმა გადაწყვიტეს მსოფლიოს მომავალი და, ფაქტიურად, ხელი შეუწყვეს იმას, რომ ეს მსოფლიო სულ უფრო მეტად და მეტად ყოფილიყო დომინირებული საბჭოთა კავშირის მიერ. ჩერჩილს ესმოდა ეს, ხედავდა ამ უბედურებას, რუზველტი კი — ვერა. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს სჯეროდა, რომ მას შეეძლო სტალინთან და სხვა საბჭოთა ლიდერებთან მოლაპარაკება ეწარმოებინა, რათა ეთანამშრომლათ მსოფლიო სიტუაციის გაუმჯობესებისათვის. ახლა ყველასათვის სავსებით ცხადია, თუ რამდენად ტრაგიკული და მცდარი იყო ეს აზრი. როგორც დიდი ბრიტანეთი, ისევე შეერთებული შტატები პასუხისმგებლები არიან იმაში, რომ ხელი შეუწყვეს კომუნისტური რეჟიმის ასეთი გამანადგურებელი სისწრაფით გავრცელებას.

თარგმნა
**დოდონა კიზირიამ**

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ №№ 37, 38, 39.



გიორგი ბაჩეჩილაძე და მერაბ კვიტაშვილი

# „სად წაიყვან სადაურსა“...

## გიორგი ბაჩეჩილაძე

დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ყოფილი პოლკოვნიკის, თეირანის კონფერენციაზე ინგლისის მხარის წარმომადგენლის, ქართველი მერაბ კვიტაშვილის სახელი, ჯერჯერობით, ნაკლებადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის.

აშშ-ში ყოფნის დროს ბ-ნმა მერაბმა მიმიწვია და მქონდა პატივი რამდენჯერმე შევხვედროდი არლინგტონში, სადაც ის ამჟამად ცხოვრობს.

ამიტომ, ვიდრე მისი „მემუარების“ და „ფიქრების“ შესახებ რამეს ვიტყოდე, ორიოდე სიტყვა მისი ვინაობისა და პიროვნების შესახებ.

მ. კვიტაშვილის ინდივიდუალური ხვედრი „ქართლის ჭირის“ ვარიაციული სახეობაა, ანახლეტია, „ქართლის ბედის“ ისტორიული ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია...

მერაბ კვიტაშვილის იერში იკითხება ქართული ლანდშაფტის კონტურები, ცნობიერებაში — ქართული შეგნება, აღზრდაში — ევროპული კულტურა, მანერებში — პროფესიონალი ბრიტანელი ოფიცრის ჟესტები.

როდესაც გამოირკვა, რომ მას „მემუარები“ აქვს დაწერილი და მის გამოქვეყნებას არ აპირებს, ცხადია, მე დავინტერესდი და შევთავაზე მისი საქართველოში გამოქვეყნების იდეა. — ბ-ნ მერაბს არა სჯერა, რომ საქართველოში ეს ვინმეს დააინტერესებს. ბოლოს მოლბა და მცირე ყოყმანის შემდეგ ბ-ნი მერაბი საჩუქრად მთავაზობს თავისი „მემუარების“ ორ ნაწილს და მიუხედავად იმისა, რომ ვარწმუნებ დღევანდელ საქართველოში მათი გამოქვეყნება რეალობაა, — მაინც სკეპტიკურად უყურებს ამ შესაძლებლობას.

„ფიქრები“ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის ბ-ნ აკაკი ბაქრაძის ინიციატივით უკვე გამოქვეყნდა „მამულში“ № 16, 1990. ახლა „თეირანის კონფერენციაც“ დაიბეჭდა. მაგრამ ამ პროცედურას ჰქონდა თავისი ისტორია, რომელიც მკითხველმა უნდა იცოდეს.

მე ბ-ნ მერაბ კვიტაშვილს „გარიგების“ პირობები შევთავაზე.

ისეთი ძვენისა თუ საჩუქრისადმი, რომელსაც ქართული კულტურისა და ცნობიერებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, ანგარებიან სიხარბეს მე ვერ გამოვიჩენ...

ამიტომ, რაკი ბ-ნი მერაბი უანგაროდ იღებს ახეთ მსხვერპლს, დე, ეს „მსხვერპლი“ იყოს ერთობლივი.

მე მემუარებს ვამზადებ და გამოვცემ, ხოლო შემოსავალი — ქართული მიწების შესაძენად და მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად გადაირიცხოს რუსთაველის საზოგადოების ფონდში.

ოღონდ, რადგანაც ბ-ნ მერაბის ქალიშვილი საქართველოში აპირებს სტუმრად ჩამოსვლას, ამ შემოსავლის რაღაც ნაწილი, სიმბოლურად მაინც, გადაირიცხოს მის სახელზე.

— როგორც თქვენ იტყვითო, — დამყაბულდა ბ-ნი მერაბი.

ჩვენი „გარიგება“ ამით არ ამოიწურა. გასარკვევი რჩებოდა ერთი საკითხი. მე რომ „მემუარები“ გამოვაქვეყნო, ხომ რამე უნდა ვუამბო ქართველ მკითხველს მისი პიროვნების შესახებ.

ამიტომ აუცილებლად მჭირდება ესკიზი მაინც მისი ბიოგრაფიისა.

ან დამიწერეთ, ან მიამბეთ და მე ჩავიწერ-მეთქი.

— გიამბობთო!

შევთანხმდით დროზე.

დანიშნულ დღეს მე ბ-ნ მერაბს ისევ ვეხტუმრე.

აფორიაქდა. სახლში დიასახლისთაგანი არავინ იყო და როგორ გაგვიმასპინძლდეთო.

მერე კარადიდან ლამაზღიზაინიანი წითელი ფრანგული ღვინო გამოიღო.

— გავხსნათ!?

— სიამოვნებით.

ღვინო მოვსვით და მერე ინტერვიუერის როლში პირველად მყოფი კაცის კვალობაზე საკმაოდ მომზადებულმა, ალბომივით უზარმაზარი რვეული და კალმისტარი მოვიმარჯვე. ეტყობა, მაგნიტოფონი სჯობდა, მაგრამ ახეც გავედით ფონს.

ბატონი მერაბი იწყებს თხრობას, მე ვიწერ. ასე რომ, რასაც ახლა მკითხველი გაეცნობა, ფაქტიურად, ჩემს მიერ ჩაწერილი მისი ავტობიოგრაფიაა.

### „ჩემი თავგადასავალი“

დავიბადე 1902 წელს, ველევში, რაჭაში.

მამამ სიმონ მერაბის ძე კვიტაშვილმა, 1890-იანი წლების ბოლოს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და იურისტის დიპლომით დაბრუნდა საქართველოში.

დედა მართა (მათიკო) პლატონ მიქელაძის ასული გახლდათ. პლატონ მიქელაძე რუსეთის იმპერიული რეჟიმის ერთგული ქართველი თავადის ტიპიური წარმომადგენელი იყო. ის იყო პროფესიონალი მხედარი, ქართველი მეომრის სულით და აღნაგობით. 1872 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს მან დაკარგა მკლავი. მისი მხედრული სიმამაცე ლეგენდად იყო ქცეული.

პლატონს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმპერატორ ალექსანდრე II-თან, ასე რომ, როდესაც ალექსანდრე მეორემ იმოგზაურა საქართველოში, ქუთაისში ესტუმრა პლატონის ოჯახს. სუფრას რომ უსხდნენ, ცალხელა ბაბუაჩემს თავად იმპერატორმა დაუჭრა ხორცი. იმპერატორის ბრძანებით პლატონის შვილები, ყველანი სახელმწიფოს ხარჯზე იღებდნენ განათლებას.

სიმონ და მართა კვიტაშვილებს ოთხი შვილი შეეძინათ: ნინო, მერაბი, თამარი და ვახტანგი.

მალე მამაჩემი ბაქოში გადასახლდა. მან მუშაობა დაიწყო ბაქოს ნავთობის მოსაპოვებელ ინგლისურ საზოგადოებაში და გახდა მისი დირექტორი.

ამ ადგილას, ბ-ნი მერაბი შეყოვნდა, ფიქრებში წავიდა და აზრის ხვეულებიდან ახეთი თვალსაზრისი გამოკრიფა:

„პირველი მსოფლიო ომის წინ — ბაქოში თავი მოიყარეს ნავთობის ინდუსტრიის პირველხარისხოვანმა ქართველმა ფინანსისტებმა და იურისტებმა. და საერთოდ, ბაქოში მზადდებოდა მსოფლიო მასშტაბის სანავთობო ინდუსტრია.

მამაჩემი იყო აკაკი ხოშტარიას საზოგადოება „რუპენტოს“ დირექტორი (Русско-персидское нефтяное товарищество, მოგვიანებით „რუპენტო“ იქცა „გრუპენტოდ“).

1919 წლის დეკემბერში, მამამ ინგლისში გამგზავნა. ბაქოში გუვერნანტები მასწავლიდნენ ფრანგულს და გერმანულს. ინგლისში ჯერ ინგლისური ენის სასწავლო სკოლა დავამთავრე, მერე კი ოქსფორდის უნივერსიტეტში შევედი.

სხვათა შორის, ჩემი სწავლის ფულს ბაქოს ინგლისური ფირმა იხდიდა.

გასაბჭოება რომ დაიწყო და ფირმამ არსებობა შეწყვიტა, რა თქმა უნდა, მეც შემიწყვიტეს დაფინანსება. ამიტომ ოქსფორდიდან ბირმინგემის უნივერსიტეტში გადავედი და 4 წლის შემდეგ დავამთავრე. მომენიჭა სამთომადნო ინჟინრის ხარისხი.

ამის შემდეგ აგასფერივით თითქმის მთელი მსოფლიო მოვიარე, როგორც ინჟინერმა. მე დავსპეციალისტდი მადნის, კერძოდ, ოქროს დამუშავების ტექნოლოგიაში. ომის შემდეგაც ჩემი სპეციალობით ვმუშაობდი. ასე რომ, ჩემი ცხოვრების 25 წელი გავატარე, როგორც სამთო ინჟინერმა.

ომმა სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ, განაში მომისწრო. განაში ვიყავი ოქროს დამმუშავებელი მეტალურგიული ქარხნის დირექტორი.

მივატოვე დირექტორობა, მივილე ინგლისის ქვეშევრდომობა და მოხალისედ ჩავირიცხე ინგლისის არმიაში.

გამგზავნეს ოფიცერთა სკოლაში...

ჯერ სატანკო ნაწილში ვმსახურობდი, მერე სამხედრო დაზვერვის სკოლა დავამთავრე. მივიღე ლეიტენანტის ჩინი და გამგზავნეს ეგვიპტეში. ვიმუშავე კაიროში. იქიდან ჩრდილო აფრიკაში გადამისროლეს და ასე ჩავერთე ომში. ვიბრძოდი. რამდენჯერმე მსუბუქად დამჭრეს, მაგრამ 1942 წელს სერიოზული ჭრილობა მივიღე თავის არეში და დავკარგე მხედველობა. მიმკურნალეს, გამოვმჯობინდი, მხედველობაც სწორედ იმ დროს დამიბრუნდა, ფელდმარშალმა რომმელმა რომ აფრიკაში დაიწყო შეტევა ინგლისის არმიაზე.

ამიტომ სირია-ლიბან-პალესტინაში მყოფი ინგლისის დაზვერვის ყველა ოფიცერი კაიროში დაგვაბრუნეს და საგანგებო დავალებებით ბრძოლის თეატრის სხვადასხვა წერტილებში გადაგვისროლეს.

მე საბერძნეთი მხვდა წილად. ჩემი პირველი სადაზვერვო მისია კუნძულ კოსზე შევასრულე. დავალებული მქონდა საბერძნეთში მოქმედი გერმანიის ჯარების განლაგებისა და შეტევის მიმართულებების დაზუსტება.

საბერძნეთიდან იერუსალიმში გადამიყვანეს. იერუსალიმში შევხვდი ქართველ ებრაელებს. როგორც ახლობელი, გულითადად მიმიღეს. მათ კიდევ 10 ქართველი ებრაელი მოიყვანეს ჩემს გასაცნობად. აქ მე საცენზურო სამუშაო მებარა. ვამოწმებდი პირად მიმოწერებს. სხვათა შორის, ორი შემთხვევა მქონდა წამეკითხა ქართულად დაწერილი წერილები. ორივე სომხების დაწერილი აღმოჩნდა და ორივე ლიბანიდან იგზავნებოდა სირიაში.

პალესტინიდან გადამისროლეს ბაღდადში. ეს ის დრო იყო, როდესაც გერმანელები კავკასიას უახლოვდებოდნენ. გაჩნდა ვარიანტი, რომ გერმანელები შემოვიდოდნენ კავკასიაში. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ გერმანიის ჯარები მოექცეოდნენ აფრიკაში მებრძოლი ინგლისის არმიის ზურგში.

დიდი ბრიტანეთის სარდლობა საგონებელში ჩავარდა. გასარკვევი გახდა ის პრობლემა, — თუ რა მოხდებოდა კავკასიაში გერმანიის ჯარების შემოსვლის შემთხვევაში. დაიწყებოდა პარტიზანული ბრძოლები გერმანიის წინააღმდეგ, როგორც ეს დაიწყო ბელორუსიაში, უკრაინაში, რუსეთში თუ კავკასიელები გულითადობით შეხვდებოდნენ გერმანელებს?! ამ საკითხზე ინფორმაციის მოკრების მიზნით დიდი ბრიტანეთის სარდლობამ ინგლისის არმიაში მომსახურე კავკასიური წარმოშობის სამხედრო თანამშრომლებს დაგვირიგეს 16 პუნქტისაგან შემდგარი ანკეტა.

მე დავწერე ვრცელი პასუხი. ჩემი პასუხის მთავარი მიზანი იყო დამერწმუნებინა დიდი ბრიტანეთის სარდლობა, რომ, ჯერ ერთი, კავკასია არ იყო მთლიანი მონოლითი და მეორეც ის, რომ სახელმწიფოებრიობის მატარებელი კავკასიის ერები, კერძოდ, ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები იმ სახელმწიფოს დაუჭერდნენ მხარს, რომელიც დაახწრებდა ამ ხალხებისათვის რუსების მიერ წართმეული პოლიტიკური თავისუფლების შეთავაზებას.

აღვნიშნე, რომ გერმანიის არმიასთან კავკასიელთა და, კერძოდ, ქართველების თანამშრომლობა გამოწვეულია არა ფაშიზმისადმი, როგორც იდეოლოგიისადმი მათი სიმპათიით (თუ სიმპათია-ანტიპატიაზე მიდგა საქმე, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული ტრადიციები გამორიცხავდა ფაშიზმისადმი თანაგრძნობას!), არამედ სამშობლოს გათავისუფლების მიზნით“.

ვიდრე ბ-ნ მერაბ კვიტაშვილის მონათხრობს განვაგრძობდე, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შეხსენება, რომ გერმანიის მხრიდან მებრძოლ ქართველთა იდეოლოგიურ ცნობიერებაზე ანალოგიურ აზრს ანვითარებს ომის მიწურულს ქართული სამხედრო შტაბის სამხედრო განყოფილების ყოფილი უფროსი გივი გაბლიანი ნაშრომში, — „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“. და საერთოდ, ეს პოზიცია ერთსულოვნად იყო მიღებული და გაზიარებული ბოლშევიზმისაგან საქართველოს გამოხსნისათვის მებრძოლთა მიერ.

განვაგრძობ ბ-ნ მერაბ კვიტაშვილის მონათხრობს:

„გამოირკვა, რომ ბრიტანეთის სარდლობამ ინგლისის არმიაში მომსახურე კავკასიური წარმოშობის თანამშრომელთათვის დარიგებულ ანკეტაზე გაცემული პასუხებიდან გამოარჩია ჩემი პასუხები და მაგიდაზე დაუდო ჩერჩილს.

ჩერჩილმა მოისურვა ჩემთან შეხვედრა. ასე აღმოვჩნდი ჩერჩილის შტაბსა და ამალაში. რაკი ჩერჩილი სტალინთან და რუზველტთან შესახვედრად თეირანში მიემგზავრებოდა, დამნიშნეს დიდი ბრიტანეთის გენერალური შტაბის სამხედრო დაცვის მოწინავე შენაერთის უფროსად.

ჩემი ახალი სამსახურებრივი მოვალეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მე უფრო ადრე ჩავედი თეირანში, ვიდრე ჩერჩილი. დანარჩენი „თეირანის კონფერენციაშია“ მონათხრობი...

დამავიწყდა მეთქვა: მშობლები ევროპაში 1921 წლის მარტის ბოლოს წამოვიდნენ საქართველოდან. ისინი ჯერ გერმანიაში დასახლდნენ, მერე — საფრანგეთში. აქვე გარდაიცვალნენ და დაკრძალულნი არიან ქართველთა სასაფლაოზე — ლევილში.

და-ძმები ცოცხლები ვართ. უფროსი დის — ნინოს მეუღლე ინგლისელი იყო და ცხოვრობს ჩრდილოეთ ინგლისში, იორკშირში. მე მყავდა რუსული წარმოშობის ცოლი, ირენ კედროვა, რომელიც საფრანგეთში იყო დაბადებული და აღზრდილი და მან რუსული არ იცოდა. ირენი გარდაიცვალა 1986 წელს.

თამარს ორი ქმარი ჰყავდა. ორივე სპარსელი. მისი პირველი მეუღლე იყო სან-სირის სამხედრო სასწავლებლის კურსანტი. მათ აქ გაიცნეს ერთმანეთი და შეუღლდნენ. მერე გაიყარნენ. თამარი გაჰყვა ამერიკელ სპარსელს. ახლა ცხოვრობს კუნძულ მაიორკაზე — ხმელთაშუა ზღვაში.

ვახტანგს ორი ცოლი ჰყავდა. ორივე ფრანგი. ცხოვრობს საფრანგეთის რივიერაზე. ვახტანგმა გრენობლში დაამთავრა ჰიდროელექტრო საინჟინრო ინსტიტუტი. ჰყავს ქალ-ვაჟი, ცხოვრობენ სან-ფრანცისკოში.

ინგლისიდან რომ აშშ-ში გადმოვედი საცხოვრებლად „ამერიკის ხმის“ პირველმა დირექტორმა ირაკლი ორბელიანმა მიმიწვია იქ სამუშაოდ. ირაკლი ორბელიანის ფსევდონიმი იყო ნიკო რაჭველი.

აქედან 1972 წლის აგვისტოში გავედი პენსიაში და ვცხოვრობ ასე, როგორც მიყურებთ“.

ბატონმა მერაბმა თავისი ბიოგრაფიის თხრობა დაასრულა. ეღლავდა. წამოჭარხლდა.

მერე ჩემი დაცარიელებული ჭიქა ღვინით შეავსო.

— დავლიოთ ეს ღვინო, თორემ გაშრა ყელი. თუ შეამჩნიეთ, ეს ფრანგული ღვინო ძალიან ჰგავს ქართლის თხელ წითელ ღვინოებს. ხომ არ ვცდები?

— რა თქმა უნდა, არა.

მაგრამ მე ამ ცოცხალ ენციკლოპედიად ქცეული კაცისაგან ღვინოზე მეტად მაინტერესებს დასავლეთში მოქმედ ქართველ იუნკერთა ხვედრის ამბავი. საქმე ისაა, რომ საქართველოში გამოსაქვეყნებლად მიმაქვს თურქეთ-საქართველოს მოლაპარაკების დროს შესრულებული დიმიტრი შალიკაშვილის დღიურები. რა იცის ბატონმა მერაბმა მის შესახებ? ბ-ნმა მერაბმა დიმიტრი შალიკაშვილის გარდა სხვებიც გაიხსენა და საგანგებოდ შეჩერდა გენერალ ზაქარია ბაქრაძეზე.

„ზაქარია იყო დიმიტრი ბაქრაძის შვილიშვილი. ის ჯერ რუსეთის არმიაში მსახურობდა და მერე პო-

ლონეთის არმიის გენერალი გახდა.

გენერალი ბაქრაძე იყო ყველაზე მეტი ორდენების კავალერი მხოლოდ ქართველებს შორის კი არა — საერთოდ იმათ შორის, ვინც მე შემხვედრია. სხვათა შორის, მას ჯერ კიდევ რუსეთში ჰქონდა გიორგის ჯვრის მეორე ხარისხის ორდენი. ეს ორდენი სამეფო ოჯახისთვის იყო განკუთვნილი და მხოლოდ ზაქარიასთვის გაკეთდა ერთადერთი გამონაკლისი!.."

მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა და სცილდება თავად ბ-ნ მერაბ კვიტაშვილის ბიოგრაფიისა და „მემუარების" საზღვრებს. ჩვენც აქ დავსვათ წერტილი.

## ისტორიული პროცესები და პოლიტიკური აზროვნების სტილი

როგორც მკითხველმა დაინახა, მ. კვიტაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა შეიცავს უნიკალურ ინფორმაციას კავკასიაში გერმანიის მოსალოდნელი შემოჭრით გამოწვეულ შეშფოთებაზე, ბრიტანეთის ხელისუფლებაში. ბ-ნი მერაბ კვიტაშვილი ფიქრობს, რომ კავკასიის პრობლემა დიდი ბრიტანეთისათვის აქტუალური გახდა მაშინ, როდესაც გერმანელებმა გაარღვიეს სსრკ-ს სამხრეთი ფლანგი და დადგა კავკასიაში მათი შემოჭრის რეალური საფრთხე.

აქ ლაპარაკია „საფრთხეზე", რომელიც კავკასიაში გერმანელების შემოჭრის შემდეგ აფრიკაში ემუქრებოდა ინგლისის ჯარებს.

რა თქმა უნდა, ბ-ნი მერაბი სწორია, მაგრამ სიზუსტისათვის ვიტყვი, რომ „საფრთხე" დიდი ბრიტანეთის მხრივ, ნაგრძნობი იყო უფრო ადრეც, ვიდრე გერმანელები მოადგებოდნენ კავკასიას.

სსრკ-ში ინგლისის ელჩის, სტეფორდ კრიპსისადმი 1941 წლის 28 ოქტომბერს გაგზავნილ წერილის III პუნქტში უინსტონ ჩერჩილი აღნიშნავს:

„ვწუხვარ, რომ მოლოტოვი უარს ამბობს, ჩვენი მოკრძალებული ძალები იქნას გაგზავნილი კავკასიაში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია, რომ თურქეთი არ აჰყვეს რუსეთის ხარჯზე გერმანიის მიერ აღთქმული ტერიტორიების გაფართოების ცდუნებას".

(უინსტონ ჩერჩილი, მეორე მსოფლიო ომი, ტ. VI, ნიუ-იორკი, გვ. 12).

მაგრამ ჩერჩილის ეს წერილი, იმ მხრივაცაა საგულისხმო, რომ ნათელს ჰფენს ბ-ნ მერაბ კვიტაშვილის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ იყო დაინტერესებული სტალინი იმით, რომ ჩაეთრია თურქეთი მოკავშირეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ თურქეთი შემოჭრილიყო საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში, რათა შემდეგ ხელ-ფეხი გახსნოდა თურქეთისათვის საპასუხო დარტყმის მისაყენებლად. მეორეს მხრივ, აქედანვე ჩანს, თუ როგორ იყო დაინტერესებული ინგლისი, რომ არ მიეცა რუსეთისათვის ამგვარი შანსი, არადა, სტალინი ჯიუტად ცდილობდა თავისი მიზნის განხორციელებას და დღევანდელი საქართველოს ჭირად ქცეული ე. წ. „მესხეთელი თურქების" „მოლივლივე ლვარცოფი" არის სწორედ ამ პერიოდის გიგანტური პოლიტიკური წნეხებიდან გამონაჟონი გესლი.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერებისათვის, მ. კვიტაშვილის მემუარები არ უნდა იქცეს მხოლოდ წარსულს ჩაბარებულ და წიგნის თაროზე შემოხიდებ ისტორიულ ქრონიკად.

მ. კვიტაშვილის ინფორმაციაში ჩვენთვის ბევრი რამაა ჭკუის სასწავლი და გაკვეთილად მისაღები.

ამჯერად, მე მხოლოდ ორ მომენტს გამოვყოფ, როგორც ინფორმაციას დაფიქრებისათვის.

ერთი უკავშირდება, საერთოდ, პოლიტიკური აზროვნების სტილს, რომელიც ინერციის სახით, დღესაც ღვივის თანამედროვე პოლიტიკურ ცნობიერებაში. და რომლის გადალახვაც უზარმაზარ ჯებირებს უქმნის თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართულ ეროვნულ მოძრაობას;

მეორეა — საქართველოს თავისუფლების, როგორც პოლიტიკური პრობლემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გლობალურ ისტორიული პროცესების ლოგიკასთან.

განვიხილოთ ორივე ასპექტი. დავიწყოთ პოლიტიკური აზროვნების სტილიდან.

დავიხიოთ დროში ოდნავ უკან და შევხედოთ მეორე მსოფლიო ომამდე 21 წლით ადრე კავკასიაში შექმნილ სიტუაციას, და 1942 წელს შეშფოთებული ინგლისის პოზიცია განვიხილოთ სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში ანუ როგორც ლოკალური, ისე დიდი დროის კონტექსტში. რამ შეაშფოთა ინგლისი 1941-42 წლებში?

სამწუხარო ის კი არ არის, რომ ბრძენი ბრიტანელი პოლიტიკოსები, ფხიზლად აანალიზებენ კავკასიაში. მოსალოდნელ სიტუაციას და ეძებენ მათთვის სახარგებლო ვარიანტს შექმნილი ვითარებიდან გამოსასვლელად, არამედ ის, რომ მათ აზრადაც არ მოსვლიათ ეფიქრათ იმაზე, რომ მათთვის საშიში ამგვარი სიტუაციის შექმნაში, ჩვენი პოლიტიკური უყაირათობის გარდა, თავად ინგლისმა შეიტანა ლომის კერძი.

21 წლის წინ, დიდმა ბრიტანეთმა ცალი ხელით რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მოაწერა ხელი, მეორე ხელით ბოლშევიკურ რუსეთს გარდასახა ჯვარი საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის ოკუპაციის საქმეზე!..

დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ჩემბერლენმა ფაქტიურად გზა დაულოცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიჩერინს საქართველოსა და კავკასიაში შემოსაჭრელად.

ახე რომ, თუ 1942 წელს, ინგლისმა თავში შემოირტყა ხელი, არიქა, რა გვეშველება, რა ზომები და ლოზუნგებია საჭირო კავკასიის ხალხები რომ ჩვენს მხარეზე გადმოვიბიროთო, დალოცვილებს, განა ეს საფიქრალი ექნებოდათ საქართველოსა და კავკასიის სუვერენიტეტისათვის რომ 21 წლის წინ დაეჭირათ მხარი?

რა თქმა უნდა, არა!

მათ რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ჯარით კი არა, სიტყვიერად მაინც ეგრძნობინებინათ რუსეთისათვის, რომ ისინი გულგრილნი ვერ იქნებოდნენ გლობალური პოლიტიკისათვის, ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ზონის მიმართ, როგორიცაა კავკასია, ჩემი აზრით, 1942 წელს, მათ წინაშე ასეთი შემაშფოთებელი პრობლემა არ დადგებოდა.

სიტუაციის ანალიზიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიის ერების ისტორიის სუბიექტად ცნობის საკითხი მსოფლიო პოლიტიკური რუკის იმგვარად გადანაწილების შესაძლებლობას ითვალისწინებს, როცა რუსეთი მსოფლიოს თავს ვერ მოახვევს საკუთარ ინტერესებს.

როგორც დიდი ბრიტანეთის კითხვარიდან ჩანს, ასეთი მომენტი თითქმის მომწიფებულა მეორე მსოფლიო ომის იმ საფეხურზე, როდესაც გერმანელები უახლოვდებიან კავკასიას.

კავკასიის ხალხების წინაშე, აი, სწორედ ამ მომენტმა ამოატივტივა შანსი ეთამაშათ ისტორიის სუბიექტის როლი და საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოეხატათ თავიანთი ნება.

მაგრამ რა მოხდა სინამდვილეში? სინამდვილეში მოხდა ის, რომ გერმანია ვერ შემოვიდა კავკასიაში.

შესაბამისად, კავკასიის ხალხებს არ მიეცათ თავიანთი ეროვნული პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა.

ისტორიამ ინება, რომ მსოფლიო პოლიტიკური რუკის გადანაწილების ჟამს, რუსეთმა არა თუ შეინარჩუნა კავკასია, არამედ დაეუფლა აღმოსავლეთ ევროპასაც.

ამის ვარაუდი იმ დროს, ეტყობა, არავის შეეძლო.

რა დასკვნა უნდა გაკეთდეს აქედან? გამოდის, რომ კავკასიის ხალხების წინაშე, ომის დროს გაელვებული დამოუკიდებლობის შანსი ილუზიორული აღმოჩნდა. ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ კავკასიის ერების პოლიტიკური მიზნების რეალიზაციის პრობლემა მსოფლიო ძალთა ახალი გადანაწილების დროისათვის გადავადდა.

ჩემი აზრით, ეს არის ფაქტი, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევის დეფიციტიც იგრძნობა ქართული ეროვნული მოძრაობის, როგორც ტაქტიკაში, ისე სტრატეგიაში.

რა იწვევს ასეთი გლობალური პოლიტიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელ სტილს?

ეს არის პოლიტიკოსების პრაქტიკაში ისტორიული პროცესების მეცნიერული გააზრებისა და პოლიტიკური ცხოვრების წვრილმან მოთხოვნათა თანუხვედრულობის დრამა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სწორად შენიშნავდა ალექსის ტოკვილი: „ცხოვრებაში ბევრ განათლებულ ადამიანს შევხვედრივარ ისტორიას რომ წერდნენ, მაგრამ შორს მდგარან საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან. და შევხვედრივარ პოლიტიკოსებს, რომელთა ერთადერთ საზრუნავსაც შეადგენდა მოვლენების გაკონტროლება. მისი აღწერის ცდის გარეშე. და მე გარდუვალად ვრწმუნდებოდი, რომ ისტორიკოსი ყველგან ეძებს მიზეზებს. პოლიტიკოსი კი სინამდვილის დანაწევრებული მოვლენებითაა დაკავებული, რომელთა თითოეულ ნაწილს, ის აღიქვამს კერძო შემთხვევად და ჰგონია, რომ მის მიერ თოჯინებივით ახათამაშებული თოკებით იმართება ქვეყნის ბედ-იღბალი. ეტყობა, ერთნიც ცდებიან და მეორენიც".

ტოკვილის თვალსაზრისი, არსებითად, ეხება პოლიტიკურ აზროვნებაში, სწორედ მიზეზისა და შედეგის ერთმანეთისაგან გათიშულად აღქმის დრამას.

ბ-ნ მერაბ კვიტაშვილის „თეირანის კონფერენციაში" ერთი მრავლისმეტყველი ეპიზოდია.

საბანკეტო დარბაზიდან გამოსული ჩერჩილი, ქართველ ჩეკისტს შ. წერეთელს და დიდი ბრიტანეთის მზვერავ ქართველ მ. კვიტაშვილს ესაუბრება.

ჩერჩილს ბ-ნ მერაბ კვიტაშვილის მემორანდუმი გახსენებია, რომელშიც საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემაზეა საუბარი.

როგორია სტალინის შარმით მოხიბლული ჩერჩილის რეაგირება ქართველი ერის პოლიტიკური ნების გამოხატულებისადმი?

„მაშ, თქვენ თქვენი ძველი სამეფოს აღდგენა გსურთ? ის არ გყოფნით, რომ ქართველი მთელი რუსეთის იმპერიას განაგებს?" — უთქვამს მას.

სხვას რა უნდა მოეკითხოს, როდესაც პოლიტიკური პრობლემების გლობალურ დრამაში ჩართული პროტაგონისტის ამპლუის მქონე ისეთი პოლიტიკოსიც კი, როგორიცაა ჩერჩილი, ქართველთა ეროვნულ ღირსებას რუსეთის იმპერატორობის ქართველურ პატივმოყვარეობასთან აიგივებს?

აი, გაუგებრობის როგორ უფსკრულს ვაწყდებით ჩვენ მაშინაც კი, როდესაც პრობლემის განხილვის მისია აკისრია XX საუკუნის პოლიტიკური ცნობიერების ისეთ გიგანტს, როგორიცაა ჩერჩილი.

## პოლიტიკა და ეთიკა

მ. კვიტაშვილის „თეირანის კონფერენციაში" გაცოცხლებული ისტორიული ტიპაჟი და სიტუაციები ბევრ საფიქრალს აღუძრავს თანამედროვე ქართველობას.

როგორ გამოიყურება სსრკ და ფაშისტური გერმანია „უცხო თვალის" კონტექსტში?

მეორე მსოფლიო ომში ჩაბმულ გერმანიას და სსრკ-ს ასე ახასიათებს ჩერჩილი: „ორი ზნეობრივი პრინციპებისგან თანაბრად განტვირთული უზარმაზარი ტოტალიტარული იმპერია დადგნენ ერთმანეთის პირისპირ, ზრდილობიანები, მაგრამ ულმობლები". (უინსტონ ჩერჩილი, მეორე მსოფლიო ომი, ნიუ-იორკი, 1955, ტ. IV, გვ. 314).

ახლა ამ დებულების მაილუსტრირებელი ერთი დეტალი გავიხსენოთ.

თეირანის კონფერენციაზე დადგა ომის შემდგომი გერმანიის სტატუსის გარკვევის საკითხი.

მ. კვიტაშვილი იხსენებს: „სტალინმა აღნიშნა, რომ მათი მთავარი ამოცანა იყო, სრულიად დაეშალათ გერმანიის გენერალური შტაბი და ყოველნაირი ზომა მიეღოთ, რომ იგი აღარ აღდგენილიყო. ამისათვის, განაცხადა მან, ჩვენ დაგვჭირდება 50 000 გერმანელი ოფიცერი მაინც დავხვრიტოთო".

ჩერჩილი წონასწორობიდან გამოიყვანა სტალინის ამგვარმა პოზიციამ.

სტალინი მიხვდა, რომ „შეცდომა" დაუშვა და უთქვამს „ვიხუმრეო"....

ეს არის ეპოქალური ანაგრამა. ამ გარეგნულად უბრალო თუ უმნიშვნელო ნიუანსში, როგორც წყლის წვეთში, ოკეანის შემადგენლობა, ჩანს დასავლური დემოკრატიისა და აღმოსავლური ტიპის ტოტალიტარული რეჟიმების მენტალობის, ეთოსის, ზნეობრივი სულისკვეთების შეჯახების სურათი.

ლენინიზმის, ტროცკის, ბუხარინის, წმინდა აღმოსავლური ტრადიციების გამგრძელებელი სტალინი ისე ლაპარაკობს ადამიანთა ლიკვიდაციაზე, თითქოს საქმე ეხებოდეს მარტივ სანიტარულ პროცედურას.

გასაგებიცაა: კლასთა ბრძოლის თეორიაზე ორიენტირებული სტალინი, აღზრდილი რუსული და ქართული ინტელიგენციის, სასულიერო წოდების, გლეხობის, როგორც გენოფონდის, ლენინური ლიკვიდაციის ტრადიციებზე, ასრულებს პოლიტიკური ისტორიის დემონის ფუნქციას.

მართალია, მომავალი გერმანიისადმი საბჭოური მიმართების ეს „ეთიკური" შემთხვევა დისონანსად გაისმა თეირანში, მაგრამ ამგვარი „ზნეობა" რომ უცხო ხილი არ იყო საბჭოეთისათვის, კატინის ტყეში 10 000 პოლონელი ოფიცრის დახვრეტა ადასტურებს. ეს აქცია იმავე მიზანს ემსახურებოდა, რა მიზანსაც გერმანელი ოფიცრების დახვრეტის იდეა ითვალისწინებდა.

ეს ფაქტი, ახლახან, საბჭოთა ხელისუფლებამაც აღიარა და მოინანია.

უინსტონ ჩერჩილის „მეორე მსოფლიო ომის" მე-8 ტომს წამძღვარებული აქვს სახელმწიფოებრიობისთვის გარდუვალი რამდენიმე მცნება:

ომში — სიმტკიცე,
დამარცხებაში — სტოიკურობა,
გამარჯვებაში —დიდსულოვნება,
მშვიდობის ჟამს — კეთილი
ნება...

სამწუხაროდ, XX საუკუნის პოლიტიკა ამ ეთიკური მცნებების საპირისპიროდ წარიმართა.

მიუბრუნდება კი კაცობრიობის პოლიტიკური ცხოვრება მეტაეთიკის ამ საყრდენებს?

ჯერჯერობით, პოლიტიკური ისტორიის ასპარეზი სანუგეშოს არაფერს გვპირდება.. ჩვენი საზოგადოებისათვის ეს მომენტი განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდება, როდესაც საქმე ეხება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის პრობლემას.

ამ თვალსაზრისით, ბ-ნ მერაბ კვიტაშვილის „ფიქრები საქართველოს მომავალზე" ჩვენი სააზროვნო სიტუაციის პირველხარისხოვანი დოკუმენტია. ხანგრძლივი ანტრაქტის შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ულმობელი სიმკაცრით ანალიზდება კავკასიის ადგილი გლობალურ პოლიტიკაში და კავკასიური სიტუაციის დრამატიზმი. კერძოდ, დაუფარავადაა ნათქვამი, რომ კავკასიის ერთიანობის იდეის რეალიზაციის გზაზე გამთიშველი ძალები მძლავრობენ ერთიანობის იდეაზე. სომხეთს თავისი გეოპოლიტიკური სიტუაციის გამო, იძულებითი და უალტერნატივო ნაბიჯები აქვს გადასადგმელი და ვერ გაწყვეტს კავშირს რუსეთთან. აზერბაიჯანი ინარჩუნებს არჩევანის ვარიანტების შესაძლებლობას. საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტის პრობლემა ეჯახება მისი მეზობლების ინტერესებს. ამგვარად, კავკასიის ხალხთა ინტერესების განხილვა ნათელს ხდის მათი პოლიტიკური ორიენტაციების არაერთგვაროვნებას.

მდგომარეობა მეტისმეტად რთულია და კავკასიის სამი პროტაგონისტი ერიდან ყველაზე მძიმე პერსპექტივით ალბეჭდილია „ქართვლის ბედი!"...

აი, თემა, რომელსაც ბ-ნი მ. კვიტაშვილი განსახჯელად თავაზობს პოლიტიკურ ასპარეზზე დღეს მოქმედ თაობას.

ბ-ნ მერაბ კვიტაშვილის მიერ გახსენებულ ტიპაჟს, პიკანტურ ეპიზოდებს და მათ შეფასებას, ბუნებრივია, ატყვია ავტორის სუბიექტური შთაბეჭდილების ანაბეჭდი; ზოგჯერ მექანიკური შეცდომაც. მაგალითად, როდესაც ის ლაპარაკობს თბილისში ბრიტანეთის სამხედრო მისიის საქმიანობაზე, რომელსაც გორდონ უეი ხელმძღვანელობდა, აღნიშნავს, რომ მან ცოლად შეირთო ცნობილი მომღერალი ქეთო ჯაფარიძე. მაგრამ, როგორც ცნობილია, გორდონ უეის ცოლად შეურთავს არა ქეთო ჯაფარიძე, არამედ იმ დროისათვის ახევე პოპულარული ბალერინა ქეთო ნადარეიშვილი.

როდესაც, ამ მემუარებს წერდა, ბ-ნი მერაბი, თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბებს იხსენებს და დროის ამ ორომტრიალში, უნებლიე შეცდომა გასაგებია.

რა თქმა უნდა, ბ-ნი მერაბი შორს იყო იმ პერიოდის საქართველოში დატრიალებული ცოდვის დულილისაგან. ამიტომ, ზოგიერთი პიროვნების შეფასების დროს, ის ვერ ითვალისწინებს, მათი „აქაური" ამპლუის ხასიათს.

მაგალითად, როდესაც ის ლაპარაკობს ჩეკისტ კაპიტონ ნაჭყებიაზე, — ის საკმაოდ მკაცრია.

მე, პირადად, მახსოვს, ეს ახოვანი და ლამაზი გენერალი, რომლის შესახებაც, ელენე ახვლედიანი ამბობდა, ბევრი სიკეთე აქვს ჩადენილი ქართული ინტელიგენციის ნაწილის გადარჩენაშიო.

ეტყობა, სანთელ-საკმეველი მართლა არ კარგავს გზას....

P.S. „გასრულდა მათი ამბავი"... და მ. კვიტაშვილის „თეირანის კონფერენციის" მკითხველის წარმოსახვაში ამოტივტივებას იწყებს საქართველოსა და ქართველთა ისტორიული ხვედრის ერთი სიმბოლური სცენა...

ვინ მოთვლის, უკვე „მერამდენედ, ქართველები, როგორც მსოფლიო ისტორიული დრამის პროტაგონისტები, უსხედან მსოფლიო პოლიტიკის „განსამართლებელ" მაგიდას...

უსხედან სწორედ წარმოშობით ქართველები და არა ამ მაგიდიდან განდევნილი საქართველოს შვილები. ეს ქართველები სხვებს უთანხმებენ და ანაწილებენ იმპერიების გავლენის ზონებსა და სფეროებს და აღელვებთ ქვეყნად ყველაფერი, გარდა „ქართლის ჭირისა". ამ დროს კი, ისტორიის პოლიტიკური სუბიექტობისაგან უფლებააყრილი საქართველო მიგდებულია, როგორც გაყიდული, დავრდომილი, გაძარცული, დეზორიენტირებული და საკუთარი შვილებისგან მიტოვებული სულთმობრძავი.

მისი შვილების სუბპასიონალური ნიჭი და ენერგია იფლანგება მამლუქურ-იანიჩრული ინტერესების ისეთ ასპარეზზე, სადაც ისე აწუხებთ „ბედი ქართვლისა", როგორც ჯალათს მსხვერპლი, მდევნელს — დევნილი, უსინდისოს — სინდისი.

პოსტსკრიპტუმი ცოტა პირქუში კი გამომივიდა, მაგრამ ასეთია ისტორიის ულმობელი რეალობა, რომელიც ქართველობისგან დღეს მხოლოდ სინამდვილისთვის თვალის ფხიზლად გასწორებას მოითხოვს.

# შენიშვნები ერთი წერილის გამო

**ჭაბუა ამირეჯიბი**

ცოტა რამ უახლესი წარსულიდან: რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გატარებაზე უარი უთხრა. ანუ არჩევნებში მონაწილეობის ნება არ დართო თერთმეტ პარტიას. რვამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უმაღლესმა სასამართლომ ექვსი საჩივარი დააკმაყოფილა, მათ შორის, „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირისაც“. კანონით უმაღლეს სასამართლოს თავისი გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის უნდა გადაეცა სათანადოდ გაფორმებული საბუთის სახით არა უგვიანეს სამი დღეღამისა მისი გამოტანის შემდეგ. ეს ვერ მოხერხდა, რადგან დაიწყო უმაღლესი სასამართლოს შენობის პიკეტირება, შიგ ველარავინ შეაღწია და ექვსივე საქმე რომელიღაც ცეცხლგამძლე კარადაში ჩარჩა. ამ „აქციამ“ (პირველმა ჩვენში ეს ტერმინი ბ-მა ე. შევარდნაძემ გამოიყენა) ფართო და ერთმნიშვნელოვანი გამოძახილი ჰპოვა, ყველა მიხვდა, თუ რა მიზანს ისახავდა იგი. მოპიკეტეთა განცხადებით, უმაღლესი სასამართლოს შენობის ბლოკადა არჩევნების დამთავრებამდე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ საქმე ისე მოტრიალდა, რომ პროტესტმა „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ პოპულარიზაციას შეუწყო ხელი და პიკეტირება მოულოდნელად შეწყდა. ეს იყო და ეს, სხვა არაფერი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე ცილისმწამებლურ პუბლიკაციას სიცრუეში მამხილებელი პასუხებითურთ.

რას იქმს კაცი, ყველას პოლიტიკური ბრძოლის თავისი და თავის შესაფერი მეთოდები აქვს! ჩვენ ვერავის აუყვებით.

1990 წლის 25 სექტემბერს „ახალგაზრდა ივერიელმა“ გამოაქვეყნა სტატია — „ღმერთო, დაგვინთე სიბრძნის სანთელი“. საპოჭმანო ღირსების წერილებს რედაქცია, შემთხვევათა უმრავლესობაში, თავის მინაწერსაც ურთავს. ზოგი მათგანის წყალობით ჭეშმარიტებას, ასე თუ ისე, ნათელიც კი ეფინება ხოლმე. ამ წერილს არაფერი ახლდა.

ვეცდები ეს ხარვეზი რამდენიმე კომენტარით შევავსო.

ავტორი თავის წერილს იწყებს განცხადებით. „ასეთი რამ წარსულში არავის გააკვირვებდაო“. გულისხმობს უმაღლესი სასამართლოს მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებას და „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ რეგისტრირებას არჩევნებში მონაწილეობისათვის. სწორი ბრძანებაა, ის, რაც არ ყოფილა ვერავის გააკვირვებდა: მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების „პრეცედენტი“ არ გვქონია, არჩევნებში სასამართლო არასოდეს ჩარეულა. ამგვარი რიტორიკა ჟურნალისტიკაში მკითხველის გასაფაციცებლად იხმარება. ხერხი პრიმიტიულია, მაგრამ ნაცადი და ქმედითი, რადგან თუ მკითხველის დაინტერესება რამენაირად შეძელი, მისი ნდობა უკვე სანახევროდ მაინც გაქვს მოპოვებული.

ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს ნაწყვეტი საქინფორმის ცნობიდან: „როგორც უმაღლესი სასამართლოდან გვაცნობებს...“ და კომენტარს უკეთებს: „გვაცნობეს! როგორც ვხედავთ, სააგენტო ტელეფონით მიღებულ ცნობას დაყრდნობია(!), რამაც ხელი შეუწყო საქართველოს 5,5 მილიონიანი მოსახლეობის დეზინფორმაციას. შემთხვევით მოხდა ეს დეზინფორმაცია, თუ?..“ — გასაგები მიზნით დასძენს იგი. მხედველობაში აქვს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ცნობა „კავშირისა“ და კიდევ ხუთი პარტიის არჩევნებში დაშვების გამო. საქინფორმმა ასეთი ცნობა, უნდა ვიფიქროთ, ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მიიღო, რადგან ბ-ნი ა. კარანაძე თავისი შტატითურთ უმაღლესი სასამართლოს შენობის პიკეტირების გამო „შვებულებაში“ იყო. კომისიამ კი შედეგი პროცესის დამთავრებისთანავე გაიგო მისი ინტერესების დამცველი იურისტისგან. ბ-ნმა ა. კარანაძემ კომისიას პროცესის შედეგები მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ აცნობა, დეპეშით აცნობა და არა ტელეფონით, როგორც ამას საკითხის გამწვავებისთვის გვაუწყებს ავტორი, სიმართლე აცნობა და არა სიცრუე. ვინ ატყუებს საქართველოს 5,5 მილიონ მცხოვრებს, საქინფორმი თუ წერილის ავტორი? ასეთ ხერხებს ჟურნალისტიკაშიც კი მხოლოდ ზედმიწევნით გაჭირვებულები თუ მიმართავენ!

წერილში დაჟინებით მეორდება აზრი, რომ „ეს ორგანიზაცია, როგორც ვიცით, ზუსტად ორი დღით ადრე დაფუძნდა...“. არ არის მართალი, ამომრჩევლის მოსატყუებელი ფანდია. „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს“ საბოლოო საფუძველი 1990 წ. 14 ივლისის „აზმეტის შეკრებამ“ ჩაუყარა. სხდომას ოთხმოცამდე ცნობილი მოღვაწე ესწრებოდა. ესეც რომ არ იყოს, არც ერთი დროის, ერისა და სახელმწიფოს კანონმდებლობაში ვერ მოიძებნება იმის განმარტება, რა ასაკისა უნდა იყოს პარტია, კავშირი თუ საზოგადოება, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდეს. ამაზე არც ჩვენს საარჩევნო კანონშია ნათქვამი რაიმე. ვფიქრობ, საზოგადოებრივი აზრის დამუშავების ამგვარი მეთოდები, ჩვენს სინამდვილეში, წერილის ავტორის ჩიქორთულით რომ ვთქვათ, „გამოყენებაში“ არ უნდა იყოს, მაგრამ რა ჰქნას, წერს ისე, როგორც უწინ და მთელი სიცოცხლის მანძილზე წერდა. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო — ნათქვამია.

ავტორს ასეთი კონსტრუქცია აქვს აგებული: კომისიამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარი უთხრა „კავშირს“, ბა-მა ვ. ადვაძემ გაიყოლა თანმხლები პირები, შეხვდა ბა-ნ გ. გუმბარიძეს, ამან სათანადო დავალება მისცა ბა-ნ ა. კარანაძეს, მოსამართლემ — ბ-ნმა ჯ. ყიფიანმა გააუქმა საარჩევნო კომისიის უარი! ავტორისთვის ცნობილი არ არის „იქ რა ლაპარაკი იყო“, ამისა რა მოგახსენოთ, ასეთ შემთხვევაში ითქმის: ავტორს ან მეტი ფანტაზია უნდა ჰქონდეს, ან უნდა იცოდეს, რა ლაპარაკი იყო „იქ“. უამისოდ აგებული კონსტრუქცია სიცრუის თაიგულია და მკითხველის შეურაცხყოფაა. ეტყობა, წერილის ავტორი თავადაც გრძნობს, რომ გამონაგონს დამაჯერებლობა აკლია და საძირკვლის შემაგრება განიზრახა ფრაზით: „განა 9 აპრილამდეც ასეთი მეთოდები არ გამოიყენებოდაო?!“ ამ პათეტიკას მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმები: ცხრა აპრილამდეც გამოიყენებოდა, მაგრამ ცხრა აპრილის მერე — უფრო! სხვა მაგალითებიც თავსაყრელია, რად გვინდა, ამას ავტორი თავისი წერილით ადასტურებს. თუ ავტორი არ იუკადრისებს, შემდეგომში გამოსაყენებლად ვაცნობებ: პროპაგანდას, მკითხველის დამუშავების საქმეს თავისი ერთობ მნიშვნელოვანი წვრილმანები აქვს. ისტორიული გამოცდილების თანახმად ერთი სიმართლე საკმარისია, რომ ათი ტყუილი დაიჯერონ. ცილისწამების საქმე მეტ ხარჯს მოითხოვს, აქ ხუთ სიცრუეს, სულ ცოტა, ორი მართალი უნდა უქნა. ეს, სხვათაშორის, ხუმრობა არ არის, მხატვრულ ლიტერატურაშიც ასეა. წერილის ავტორი, როგორც ჩანს, ამ წესებს ანგარიშს არ უწევს და სიცრუისა და ცილისწამების თხზვისას „მოსალოდნელ გართულებებზე“ არ ფიქრობს!..

განცვიფრებას იწვევს ის თავზე ხელაღებული პასაჟი, სადაც წერილის ავტორი დაუნდობლად ლანძღავს უპარტიო თუ პარტიიდან გამოსულ და კავშირში გაერთიანებულ ინტელიგენციას, ამ სიტყვას ბრჭყალებში ათავსებს და ასეთი საყვედურით ამთავრებს შეურაცხყოფას: „ნუთუ ისინი საკუთარ თავთან მაინც არ გრძნობენ უხერხულობას, ყველა მთავრობის სამსახურში რომ „კაი ყმის“ სახელს ეტანებიან!“ არა ვგრძნობთ უხერხულობას, არავისთვის არაფერი დაგვიშავებია, არც კაი ყმობას მივტანებივართ, „ყველა მთავრობის ხელში“ ჩვენი შრომითა და გონებრივი შესაძლებლობებით ვემსახურებოდით ერსა და სამშობლოს, თავიც გაგვიწირავს და ახლა იმისთვის დავაარსეთ „კავშირი“, რომ წერილის ავტორისთანა ბერბიჯაშვილებისგან ვიხსნათ ქართველი ერი, რა ამოძრავებს ავტორს? ალბათ, სარფიანი დაკვეთა და, უდავოდ, ზღვაში მოტივტივე იმ კასრის ხვედრი, ბატონმა კონსტანტინემ ვეება ხომალდს რომ შეაჯახა, — მერე რა, რომ ვერაფერს დავაკლებ, იმას ხომ იტყვიან, ამხელა ხომალდს შეუტიაო!

შეურაცხყოფა არც უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, ბ-ნ დ. უსუფაშვილს დააკლო წერილის ავტორმა. ამის თქმას ის მაბედვინებს, რომ ბ-ნი დ. უსუფაშვილი პატიოსანი ახალგაზრდა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და მისგან სიცრუე მოსალოდნელი არ უნდა იყოს. ავტორი წერს, რომ ბ-ნმა დ. უსუფაშვილმა მას მიმართა პირადი წერილით, სადაც ასეთიც წერია: „ჩემთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა... კავშირის გამგეობის საქციელი, როცა ისინი არ დასჯერდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეურაცხყოფას და გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში თავიანთი პრინციპების „გამაგრება“ კანონის ტექსტის შეგნებული დამახინჯებით მოინდომეს — ჩაამატეს სახვენი ნიშანი“. სახვენი ნიშანი, მართლაც, გადაადგილებული აღმოჩნდა, ეს კორექტურული ლაფსუსი იყო და რედაქციის სათანადო განმარტების შემდეგ კავშირის გამგეობისთვის [illegible] წაყენება ისეთივე ცილისწამებაა, როგორც მთლიანად სტატია. რაც შეეხება კომისიის წევრების შეურაცხყოფას, ამგვარი არაფერი ყოფილა და სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ ბ-ნი დ. უსუფაშვილის წერილი, ან საერთოდ არ არსებობს, ან მისი ტექსტი გაყალბებულია.

„რატომ გამოიწვია ამ კავშირის შექმნამ ესოდენ უარყოფითი მღელვარება ჩვენს დედაქალაქში?“ — კითხულობს ავტორი. მარტო უარყოფითი და მარტო დედაქალაქში არ გამოუწვევია, „უარყოფითი მღელვარება“ წერილის დამკვეთთა წრეებში კიდევ დიდხანს გასტანს. ისე კი, „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ შექმნამ და, მით უმეტეს, „სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიასთან“ (ავლაბნელები) ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანება საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ერთობ „დადებითი მღელვარებით“ აღინიშნა.

წერილში ნათქვამია: „... 9 აპრილის ტრაგედიის მექანიზმში მე მეტნაკლებად ჩახედული ვარ... ტრაგედია სწორედ რომ მხოლოდ ხელისუფალთა და არმიის მოქმედების შედეგია“. მხოლოდ? არა მგონია, ერთი რაიმე მიზეზის შედეგად არაფერი ხდება. რაც ქვეყანაზე ხდება მრავალი ან რამდენიმე მიზეზის თავმოყრის, ვითარებათა დამთხვევის შედეგად ხდება. ამა თუ იმ მოვლენის ანალიზისა და სწორი დასკვნის გამოტანისთვის „მეტნაკლები ჩახედულობა“ საკმარისი არ არის. „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებული წერილის უხეირობა საქმეში მეტნაკლები ჩახედულობითაც უნდა აიხსნას.

წვრილმანია, მაგრამ ფრიად საყურადღებო: ერთ ადამიანს „ტაძრის“ მაგივრად „ხრამის“ თქმა სამშობლოდან გაძევებად დაუჯდა. წერილის ავტორი რუსული სიტყვების ხმარებას უნდა მოერიდოს, თორემ ადვილი შესაძლებელია, მის ცხოვრებაში „ბუკვალურად“ ეგევე მოხდეს.

დასასრულ, მინდა ეჭვი შევიტანო ბ-ნ ვ. ადვაძის მიერ ციტირებულ და წერილის ავტორის მიერ გამეორებულ ერთი გამოთქმის სიზუსტეში. მეხსიერება თუ არ მღალატობს, დიდ ფლორენციელს სიტყვა „ადამიანებმა“ არ გამოუყენებია. ნათქვამი ასეა: „იარე შენი გზით და, დაე, ნაძირალებმა, რაც უნდა ის თქვან“.

„ღმერთო, დაგვინთე სიბრძნის სანთელი!“



## წერილი ჩვენს თანამემამულეებს

საფიქრალ-სადარდებელი ვის დალევია, მაგრამ ჩვენი გასაჭირი მაინც სხვა გასაჭირ—ა... უჭირს ჩვენს მშობლიურ კუთხეს, ჩვენს სამაჩაბლოს — განსაკუთრებით კი მის ერთადერთ ქართულ გამოცემას გაზეთ „საბჭოთა ოსეთს“ (სახელი, თქვენი არ იყოს, ჩვენც გვეხამუშება).

გაზეთი ავად თუ კარგად, ათეული წლების მანძილზე ემსახურება ქართულ საქმეს, დღეს მეტ—ს საშუალება მიეცა. ხელ-ფეხი ეხსნება და სწორედ ახლა უწია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით გამოწვეულმა სიძნელეებმა და გაზეთს დახურვა ემუქრება. იგი ყველა ჩვენთაგანისაგან თანადგომას საჭიროებს.

მეგობრებო, გამოიწერეთ ჩვენი გაზეთი, შთამომავლობა არ გვაპატიებს ქართული სიტყვის ამ ერთადერთი ბასტიონის გაქრობას იმ კუთხეში, სადაც მშობლიურენის ერთი მთავარი ძარღვი გადის...

**შოთა დარჩიაშვილი, დავით ელბაქიძე, ზაზა თედიაშვილი, მამუკა ცოტნიაშვილი.**

ცხინვალი

როგორც თავის დროზე ნებაყოფლობით შევედი კომპარტიაში, ასევე ჩემივე სურვილით გავედი მისი რიგებიდან.

ვიმედოვნებ, რომ ჩემთვის, განგებით ბოძებულ ცხოვრების დარჩენილ წლებს მოვახმარ იმისთვის ბრძოლასა და მოღვაწეობას, რაც შეადგენდა ჩემი ქვეყნად არსებობის უმაღლეს მიზანს: საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენასა და დამკვიდრებას.

**თენგიზ გუაჩიძე**

## წერილი რედაქციას

თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 14 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა ჩემმა წერილმა „აჩრდილი დამპყრობლისა, ანუ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის უკანასკნელი წერილი“, ინტერესი გამოიწვია, მეკითხებიან: როგორი იყო მისი სასაფლაო, სად იყო დაკრძალული, თუა შემორჩენილი საფლავი, რა აზრის ვარ მისი ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით და სხვ.

ნაწილობრივ ვაკმაყოფილებ მათ სურვილს. გიგზავნით გამოსაქვეყნებლად მისი საფლავის სურათს ტრაპეზუნტში. წერილში აღვნიშნავდი, რომ იგი დაკრძალული იქნა ბერძენთა ეკლესიის გალავანში (სურათზე მოჩანს შენობის ნაწილიც) და მივუთითებდი წარწერაზე. გარდა ამისა, საფლავის მეორე გვერდზე იყო ასეთი წარწერებიც: „ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბძოდე მებრძოლთა მათ ჩემთა“. „მომიხსენეთ მე, ძმანო, საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ“. რაც შეეხება მის გადმოსვენებას, ეს პროცესი დღეისათვის და საერთოდ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. კარგი იქნებოდა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ უმეტესწილად იავარქმნილ, თუნდაც პირველ რიგში ბაგრატიონთა და წმინდა მამების საფლავებისათვის მიგვეხედა და მიგვენიშნებინა იქ შემორჩენილი მონასტრებისა და ეკლესიების კედლებზე მემორიალური დაფების სახით და, თუ მაინცდამაინც აუცილებელია მათი ნეშტის გადმოსვენება, გვეზრუნა შემდგომისათვის.

რაც შეეხება სოლომონ II-ის საფლავს, კარგი იქნებოდა იქ — ბერძენთა ეკლესია-გალავანში დაგვეარსებინა კულტურული ცენტრი: ბერძენთა, თურქთა, რომაელთა და ქართველთა მეგობრული სავანის სახით.

**ვახტანგ გურგენიძე**



# მადლის გზით მავალი

**ვახტანგ როდონაია**

„...ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“, — ღმრთშემოსილი წმიდა მამის დასახასიათებლად დიდი ხნის წინათ ნათქვამი ეს სიტყვები გახსენდება, როცა ამ სურათს დასცქერი. მრავალი თაობის სულიერი გამოცდილებით დატვირთული კაცი ახალ დროს სწვევია და თავისი მობრძანებით სადა ინტერიერისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუნიჭებია.

ამქვეყნიური ცოდვა-მადლის გამრჩევი მისი მზერა დრო-ჟამის საზღვრებს გადასცილებია...

ილიას ცნობილი მოთხრობის ერთი ადგილიც გაგონდება. ცხოვრების ნარეკლიანი გზის დასაწყისში მდგარი შეგირდი თავისი სულიერი მოძღვრის სახეს ასე აღიქვამს: „ხატებს რომ ჰხატავენ, ის იყო! მადლით, მადლით იყვნენ სავსენი იმის ჩაფიქრებული თვალები! დიდი მადლი უნდა უტრიალებდეს კაცს გულში, რომ ასე გამოსცეს, გამოატანოს თვალებს, როგორც იმის თვალებისათვის გამოეცა და გამოეტანა“.

ანტონ ივანეს ძე კეკელია (1855-1920) გამორჩეული ფიგურა იყო გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. მის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღორძინება სენაკის მაზრაში. მისი მოღვაწეობა უდავოდ იმსახურებს იმას, რომ ქართველმა მკითხველმა, თუნდაც დიდი დაგვიანებით გაიხსენოს იგი, ხოლო მისი ნამოღვაწარი გააცნობიეროს, როგორც მშობლიური კულტურის ისტორიის მცირე ნაწილი.

ამ წერილში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ის ფრაგმენტული ცნობები, რომლებიც გაფანტულია იმდროინდელ პრესაში, თანამედროვეთა მოგონებებში. მამა ანტონის კორესპონდენციის ერთი ნაწილი დაცულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ მასალის გაცნობა წარმოაჩენს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე სოფლის ინტელიგენციის ტიპიურ წარმომადგენელს, რომელიც საქვეყნო საქმის კეთების ასპარეზად პერიფერიას არ თაკილობდა და თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას ასრულებდა თავისივე დროის შესაფერისად — ღირსების გრძნობით, მაგრამ, ამავე დროს — უხმაუროდ და უპრეტენზიოდ. შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა კულტურული თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით რამდენადმე მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოს ამ კუთხეში, რომ ანტონ კეკელიას მეცადინეობითა თუ ხელშეწყობით კეთილად არ დაგვირგვინებულიყოს.

ანტონ კეკელია სასულიერო ჩამომავლობისა იყო. საკმარისია ითქვას, რომ თავის საგვარეულოში იგი მეხუთე თაობის მღვდელი იყო. ასე რომ, ღვთის მოშიშობა და მისი ერთგული სამსახური ზნეკეთილ გენეტიკურ მუხტად ჰქონდა გამოყოლილი მამა-პაპათაგან, თუმცა „საზეო“ საქმეთა კეთებით დიდად გადააჭარბა თავის წინაპართ. მან მაქსიმალურად გამოიყენა მარტვილის სასულიერო სასწავლებელსა და, განსაკუთრებით, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიღებული განათლება (უმაღლესი სასწავლებელი მას არ დაუმთავრებია). აქ გამოვლინდა მისი ბუნებრივი მათემატიკური ნიჭი და მიდრეკილება ენებისადმი: გარდა მშობლიური ენისა, შესანიშნავად იცოდა რუსული, საკმაოდ რიგიანად — ფრანგული და ლათინური, ეპისკოპოსობისათვის მზადებისას კი ძველი ბერძნულიც შეისწავლა. ამ კონტექსტში იქნებ შესაფერისი იყოს იმის აღნიშვნაც, რომ მოგვიანებით, პეტერბურგიდან მომავალ ანტონს ქ. ორიოლში ეპისკოპოსად გამწესებულმა კირიონმა (საძაგლიშვილმა) საეკლესიო სლავურ ენაზე ჩაატარებინა წირვა ადგილობრივ ეკლესიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამა ანტონი შემდგომაც უწმიდესისა და უნეტარესის — კირიონ მეორის გვერდით ილვწოდა. ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“-ში (1988, № 1) გამოქვეყნებულია 1917 წელს სიონის ტაძრის ეზოში გადაღებული ფოტოსურათი. მასზე ვხედავთ ქართველ სამღვდელოებას და საერო პირებს. სურათის გადაღების მიზეზი კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ მეორის კურთხევაა. მინაწერი განმარტავს ცენტრალურ (მეორე) რიგში მსხდომ სასულიერო პირთა ვინაობას. აქ არიან: ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე და სხვ. ვინაობადაუზუსტებელი ორი პირიდან ერთი — მარჯვნიდან მეორე — სწორედ ანტონ კეკელიაა).

ფოთსა და ოდესაში ანტონ კეკელიას, გარდა რუსულისა, ბერძნულადაც უწირავს.

როგორც მისი თანამედროვენი იგონებენ, ანტონ კეკელიას შესანიშნავი ხმა ჰქონდა (მას „ნამდვილი სახოების ხმას“ უწოდებენ). იგი საუცხოოდ ფლობდა წირვისას ხმის აწევ-დაწევის რთულ ხელოვნებას. ყოველივე ეს ჰარმონიულად ერწყმოდა მის შთამაგონებელ გარეგნობას.

გაბრიელ ეპისკოპოსისაგან მღვდლად კურთხევისთანავე ანტონ კეკელიამ ისეთი ენერგიული მუშაობა გააჩაღა თავის სამწყსოში განათლების შესატანად, რომ ბანძის წმ. გიორგის ეკლესიის ახალგაზრდა წინამძღვარი სულ რამდენხამე თვეში „ბლაღოჩინის“ (იხ. რუს. Благочинный) გახდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან მას რამდენიმე სოფლის მრევლზე უნდა ეზრუნა.

ანტონ კეკელიას საგანმანათლებლო საქმეთა უშუალო მოწმე და მისივე ნამოწაფარი, ცნობილი პედაგოგი ივლიანე გაბუნია იგონებს: „ანტონ კეკელიას საბლაღოჩინოში შედიოდა რამდენიმე საზოგადოება — დაწყებული ს. ონტოფოდან ს. აბედათამდე და მარტვილამდე. ამ საზოგადოებების სოფლებში მანამდე არც ერთი სკოლა არ იყო (ვედიდკარის ერთმასწავლებლიანი ფასიანი „სამინისტრო“ სკოლა სხვა სოფლებს ვერ სწვდებოდა). მის საბლაღოჩინოში რამდენი ეკლესიაც იყო, იმდენი სამრევლო ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა ანტონ კეკელიას ინიციატივით. 1891 წელს (იგულისხმეთ, 100 წლის წინათ! — ვ. რ.) ანტ. კეკელიამ გახსნა ბანძაში (შაურკარში) ერთკლასიანი სამრევლო სკოლა. შემდეგ წლებში მისივე ინიციატივით გაიხსნა წერა-კითხვის სკოლები ნაჩილაჩაოში, ორქაში, ონოღიაში, ნაგიბეროვოსა და ნაჯახავოში.

ყველა სკოლა გაივსო მოწაფეებით... თუ „სამინისტრო“ სკოლებში (სამეგრელოში) ქართულის სწავლება აკრძალული იყო, ხოლო რუსულს ასწავლიდნენ „მუნჯური“ მეთოდით, ანტონ კეკელიას მიერ დაარსებულ სამრევლო სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა (რუსულსაც ასწავლიდნენ, როგორც სახელმწიფო ენას). ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ეს სკოლები გაივსო გლეხის შვილებით: სწავლა ამ სკოლებში უფასო იყო.

1896 წელს ანტონ კეკელიას ინიციატივით ს. ბანძაში გაიხსნა უფრო მაღალი საფეხურის სკოლა, ე. წ. მეორეკლასიანი სამასწავლებლო სკოლა, რომელიც შვიდწლიანი იყო — უკანასკნელ კლასში მოწაფეებს ასწავლიდნენ დიდაქტიკას, მეთოდიკას. მოწაფეები პრაქტიკულ გაკვეთილებს აძლევდნენ დაწყებით კლასებში. კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ ორწლიანი წერა-კითხვის სკოლების მასწავლებლის წოდება. ბანძის უბნისათვის ეს სკოლა შეიქნა კულტურის ცენტრად“ (გაზ. „ჭყონდიდი“, 1990, №108).

ამ სკოლას სიკვდილამდე თვით ანტონ კეკელია განაგებდა. პარალეურად ასწავლიდა სალმრთო რჯულს, მათემატიკასა და ფრანგულს.

თუ გავითვალისწინებთ სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ სირთულეებს თვით ახლაც კი — განათლების სისტემის დღევანდელ საფეხურზე, ადვილი წარმოსადგენია, რა დაბრკოლებები უნდა შეხვედროდა არათუ ათეულზე მეტის, არამედ თუნდაც ერთი სკოლის გახსნას იმ დროს, როცა სოფლად სწავლა-განათლების საჭიროება ხშირად სადავოდაც კი იყო მიჩნეული. საზოგადოებაში, რომელიც დრომოჭმულ წარმოდგენათაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო, არც მოწინავე პიროვნების საქმიანობით აღძრულ-ნასაზრდოები შური გამოირიცხებოდა. დავუმატოთ ამას მატერიალური სახსრების პრობლემა და გავიხსენოთ სამოქმედო ასპარეზიც — რუსეთის ვრცელი იმპერიის პერიფერია ადგილობრივ აყვავებული ბიუროკრატიული სისტემით.

შექმნილ ვითარებაში ანტონ კეკელიას გამჭრიახობა კარგად გამოჩნდა იმავე ბანძის სკოლის მაგალითზე, რომლის შექმნის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა მარტვილის სასულიერო სასწავლებლის დაწვის შემდეგ. აი, როგორ შეახსა ხორცი თავის ჩანაფიქრს ანტონ კეკელიამ: მან ჯერ თანდათანობით შეისყიდა მეზობელი აზნაურებისა და გლეხობისაგან თავისი სახლის მიმდებარე მიწები, შემდეგ კი გლეხებს ურჩია იურიდიულად შემოწირულებად გაეფორმებინათ. ამით მან, ერთი მხრივ, მომავალ სკოლას საჭირო და საკმარისი ტერიტორია მოუპოვა, მეორე მხრივ, კი, მეცენატობის ხალისის გაღვივებით, სასკოლო საქმეს ენთუზიასტები შესძინა (ამასთან, მათთვის მატერიალური ზარალის მიუყენებლად!). მოგვიანებით, როცა მოქიშპეებმა რევიზია აწვიეს ბანძას — ვითომდა სკოლის საქმის მიმდინარეობის შესამოწმებლად, ინფორმირებულმა ანტონმა ერთ ღამეში მოაზიდვინა თანასოფლელებს საბალავრო ქვა მდ. აბაშის პირიდან, რისთვისაც მთელი ხარჯი (900 მან.) თვითონ გაიღო. ამასთანავე, მოსულ სტუმრებს გალობით შეაგება მოსწავლეთა და მასწავლებელთა გუნდი. თვითონაც სიტყვით მიმართა. რევიზორი დარწმუნდა, რომ ბავშვებმა იცოდნენ ლოცვა, პირჯვრის წერა, რუსულადაც ლაპარაკობდნენ. ბლაღოჩინის დიპლომატიურმა სვლამ გაჭრა და რევიზორს საბოლოოდ გადააწყვეტინა საკითხი ბანძის სკოლის სასარგებლოდ. ეს სკოლა ანტონ კეკელიას განსაკუთრებულ ყურადღებას სხვა მხრივაც იპყრობდა: ბანძა უმნიშვნელოვანესი სოფელი იყო არა მარტო თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო (მარტვილიდან სენაკისაკენ მიმავალი გზა მასზე გადიოდა), არამედ მოსახლეობის რაოდენობითა და შემადგენლობის მრავალფეროვნებითაც. ბუნებრივად წარმოქმნილი სავაჭრო ტრადიციები კულტურისა და განათლების მხარდაჭერასაც საჭიროებდა (უთუოდ ამ მოთხოვნილების სიმბოლურ და კანონზომიერ დემონსტრაციად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საქართველოში შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ პირველად სწორედ ბანძაში დაიდგა!).

ბანძის სკოლის პრეცედენტი სამაგალითო შეიქნა ახლომახლო სოფლებისთვისაც და სასკოლო საქმეც იქ უფრო უმტკივნეულოდ მოგვარდა. სულ ანტონ კეკელიამ 15-მდე სკოლა გახსნა — ლეხაინდრაო-ონოღიით დაწყებული და საჭილაო-აბაშით გათავებული. მისი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია იმდროინდელ ქართულ პრესას (იხ. „ცნობის ფურცელი“, 1896, № 29; 1897, № 172; „მოამბე“, 1898, №8; „ივერია“, 1902, № 25).

შემდეგ წლებში ანტონ კეკელიასავე ინიციატივით ბანძაშივე გაიხსნა საქალებო სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება; დაარსდა სასამართლო, გაიხსნა საავადმყოფო (რომლის პირველი ექიმი იყო შვილი ანტონისა — გრიგოლი).

ანტონ კეკელია ერთხანს სენაკის სასულიერო სასწავლებელშიც მასწავლებლობდა და იყო მაზრის სასულიერო სასწავლებლების მმართველობის წევრი.

როგორც გურია-სამეგრელოს ეპარქიის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი წარმომადგენელი, ანტონ კეკელია შეიყვანეს იმ კომისიაში, რომელსაც სინოდის დავალებით უნდა განეხილა და გადაეწყვიტა მეტად საპასუხისმგებლო და პრინციპული საკითხი საეკლესიო წიგნების, კერძოდ — სახარების მეგრულად თარგმნის მიზანშეწონილობა — საჭიროების შესახებ. იგი როგორც ცნობილია, ქართველობის გათიშვისა და სამეგრელოში ქართული ენის დასუსტების მიზნით ადგილობრივ სამღვდელოებას თავს მოახვია ცარიზმმა კავკასიის სასწავლო ოლქის მთავარი ზედამხედველისა და საიდუმლო მრჩევლის იანოვსკის მეშვეობით.

1895 წელს ქ. ფოთში გამართულ სამღვდელოების დეპუტატების ყრილობაზე აღნიშნულმა კომისიამ ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის მეთაურობით უარყო შემოთავაზებული წინადადება საეკლესიო წიგნების მეგრულად თარგმნისა და წირვის მეგრულად ჩატარების სარგებლიანობაზე და სათანადო ენობრივ-თეოლოგიური არგუმენტაციის მომარჯვებით უკუაგდო მორიგი შემოტევა არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ რაც მთავარია, ქართველთა ერთიანობაზე. (გაივლის ოცდაათი წელიწადი და დრო ახალ გამოცდას მოუწყობს ქართველ-ზას იხაკი ჟვანიას „მაფალუს“ სახით, რათა ანტონ კეკელიას და მის თანამოაზრეთაგან ესტაფეტა ახალმა თაობამ მიიღოს (თ. სახოკია, კ. გამსახურდია, ალ. აბაშელი, აკ. ფალავა..)

ანტონ კეკელია ენერგიულად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ჯერ კიდევ 1906 წლის. კერძო მიმოწერიდან ჩანს, რომ სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრებაზე კეთილმოწესე (ბლაღოჩინ) მღვდლებს უარი უნდა ეთქვათ თავიანთ „თანამდებობაზე, ნიშნად პროტესტისა, და მათ შორის ანტ. კეკელიაც ივარაუდებოდა (ხელნაწ. ინსტ. თ. სახოკიას ფონდი, № 728). ამ საქმიანობაში გურია-სამეგრელოს ერთ-ერთი მღვდელი კიდეც შეეწირა ვოსტორგოვის ინტრიგებს და ანტონსაც იგივე ბედი ელოდა, ვოსტორგოვი იმხანად სხვაგან რომ არ გადაეყვანათ.

ანტონ კეკელია პოლიტიკაში აქტიურად არ ერეოდა, თუმცა ეროვნულ დემოკრატებს თანაუგრძნობდა (რევოლუციასაც ფრთხილად და უნდობლად შეხვდა). მაგრამ განსაკუთრებით წინააღმდეგი იყო პოლიტიკურ აქციებში მოზარდების ჩათრევისა. თავის შვილებსაც და სკოლის მოსწავლეებსაც მუდამ და მხოლოდ სწავლისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ თუკი სიტუაციას მისი ჩარევა მოუთხოვია, არც ამას გაჰქცევია: დინჯი სიტყვითა და წინდახედული ქცევით საქმე ყოველთვის მშვიდობიანად გაურიგებია და თავისი ხალხის სასიკეთოდ წარუმართავს. რეაქციის წლებში, როცა ალიხანოვის დამსჯელი რაზმი (ჩიქოვანის მეთაურობით) ბანძაშიც დაეძებდა „ბუნტისთავებს“, ანტონ კეკელიამ გზა-კვალი აურია მდევართ „მოხეტიალე აგიტატორებზე“ ყურადღების გადატანით, ხოლო პროვოკაციული მოთხოვნა — დაგვისახელეთ, ვინ აგიკრძალათ წირვისას მეფის ხსენებაო, — შორს დაიჭირა: მე ვინ გამიბედავდა ამის აკრძალვასო. იგი მუდამ იცავდა გლეხობას განუკითხაობისაგან და, თუკი სასამართლოზე მიდგებოდა საქმე, წინასწარ ავარჯიშებდა მათ ჩვენების მიცემასა და ლოგიკურ მსჯელობაში.

მეგობრები და თანამოაზრენი ყველა წოდებაში ჰყავდა და უსამართლობასაც ყველგან ერთნაირი შეუპოვრობით ებრძოდა. ამიტომაც საყოველთაო ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა: მოყვარე აფასებდა, მტერი ანგარიშს უწევდა.

ანტონ კეკელიას ახლო მეგობრები იყვნენ საქართველოს ეროვნული მოღვაწენი: ამბროსი ხელაია, კირიონი (საძაგლიშვილი), ხოფრომ მგალობლიშვილი, სპირიდონ კედია, თედო ჟორდანია, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, ცნობილი ვექილი მექი ფალავა, სამეგრელოს თავადაზნაურობის მარშალი კოკი დადიანი (ამ ორ უკანასკნელს თავისი ქალ-ვაჟი მოანათვლინა; ანტონის უდროოდ გარდაცვლილ ქალიშვილს ვრცელი გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა ამბროსი ხელაიამ).

როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ანტონი შემწყნარებლობას იჩენდა სხვა რელიგიებისადმი და თანამემამულეებსაც ტოლერანტობის მაგალითს აძლევდა. პრაქტიკულად ყველაზე თვალნათლივ ეს ქართველი ებრაელებისადმი მის დამოკიდებულებაში ვლინდებოდა: ვანსაცდელის ჟამს არაერთხელ აღმოუჩენია მათთვის მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერა, ამაგი არც ებრაელებს დაუკარგავთ მისთვის. უკანასკნელ გზაზე გაცილებისას ასეთი დამოკიდებულება საუკეთესოდ გამოხატა ქართველ ებრაელთა თვალსაჩინო წარმომადგენელმა დავით აჯიაშვილმა თავის გამოსათხოვარ სიტყვაში (თვით მას კი უკანასკნელი სიტყვა თედო სახოკიამ უთხრა).

ანტონ კეკელიას მრავალრიცხოვან ოჯახში სწავლა კულტად იყო ქცეული. რვა შერჩენილი შვილიდან ხუთსავე ვაჟს უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრებინა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, ქალებს კი — თბილისის ეპარქიული სასწავლებელი. მის მიერ დაარსებული სკოლებიდან გამოვიდნენ: პროფ. სერგი დანელია, პროფ. ეფრემ ზაქარაია, აკად. სერგი ჯიქია...

და თუმცა, ანტონ კეკელიას ნა-

(დასასრული მე-16 გვ.)



# „თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ რადიოგადაცემებიდან

• 25-30 სექტემბერი.

სოციალიზმი მოკვდა, მაგრამ ლევიათანი ცოცხალია, — ამბობს ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, ჯეიმზ ბიუკენენი. ავსტრალიაში, ქალაქ სიდნეიში გამოსვლისას მან თქვა: ტომას გ.-მ თავისი ნაშრომის სათაურად გამოიყენა ეს სიტყვა. ლევიათანი მისტიკური ზღვის ურჩხულია, ბიბლიური ტექსტებიდან და ანტიქრისტეს მოასწავებს, ბიუკენენი ამასაც ამბობს: საბჭოთა კავშირში სოციალიზმის დაცემა მახებისთვის გასაგებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველას არ ესმის, რომ ქვეყანაში გაწოლილი ლევიათანი ისევ არსებობს. ბიუკენენმა საბოლოო ნამსხვრევებად აქცია მითი სოციალიზმზე. სოციალიზმის ბრმა რწმენა მოკვდა, დასძენს იგი.

ადრე თუ გვიან კუბელები მოითხოვენ, რომ ცვლილებები დაიწყოს მათ ქვეყანაშიც. ფიდელ კასტროს პოპულარობა დაეცა. კასტრომ, შესაძლოა დაუშვას კომპრომისი. მისთვის მთავარი საფრთხე მაინც ხალხი კი არა, სამხედრო ძალაა. ბევრი მაინც ეჭვს გამოთქვამს, რომ იგი ველარ შეძლებს მოუწოდოს და დააჯეროს ხალხი. კასტრომ მიმართა ხალხს, რომ მზად იყოს მოსალოდნელი სიძნელეებისთვის, რადგან საბჭოთა კავშირში კრიზისის გამო კუბას აღარ ექნება დახმარება სსრკ-დან. ბევრი საწარმო დაიხურა. კასტრო არ გადავა მრავალპარტიულ სისტემასა და საბაზრო ეკონომიკაზე, რადგან ამით ძალაუფლება შეერყევა. ბევრი ამბობს, რომ გორბაჩოვს ყელში ამოუვიდა კასტროს გამომწვევი გამოსვლები იმაზე, რომ მისთვის მიუღებელია „გლასნოსტი“ და „პერესტროიკა“. ასეა თუ არა ეს? კუბაში ალბათ ძნელია შეიცვალოს ვითარება, ვიდრე კასტრო ცოცხალია. სტალინისა და მაო ძე დუნის სიცოცხლეში არც სსრკ-ში და არც ჩინეთში ცვლილებები არ დაწყებულა.

10 000 ტანკი, 5 მილიონი შეიარაღებული ჯარისკაცი და ოფიცერი, და ა. შ., სსრკ ყოველ წელს კიდევ დიდ თანხას ხარჯავს თავისი „სამხედრო მანქანისთვის“. ეს მანქანა ჯერ ისევ ძალიან საშიშია. საბჭოთა კავშირი განაგრძობს თავისი იარაღის მოდერნიზაციას. სამყარო შეიძლება დაღუპოს დიქტატურამ. ქვეყანა კატასტროფის წინაშეა, არ არის კვების პროდუქტები, მეშახტეებს საპონი არ ჰყოფნით დასაბანად და ამ პირობებში, სამხედრო ხარჯები მაინც დიდია. თვითონ საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სამხედრო ხარჯები დაანგრევს ქვეყანას.

შვედური სოციალიზმის კრიზისი: შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის 31-ე ყრილობაზე ითქვა, რომ ცხოვრების დონე ერთ ადგილზე გაიყინა შვეციაში, რომ იგი აუცილებლად უნდა შევიდეს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში. ამასთანავე, ბევრი რამე გადასახინჯია, კერძოდ: ზაფხულის ექვსკვირიანი შვებულებები, ალბათ შეიცვლება ექვსსაათიანი სამუშაო დღეც და ა. შ. მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება შვეცია-დანიის შეერთება მრავალკილომეტრიანი ხიდით.

სსრკ-ში არ არსებობს არავითარი ინსტიტუტი, რომელსაც შეიძლება მიმართოს ამა თუ იმ მოქალაქემ და მოითხოვოს თავისი უფლებების დაცვა.

პორნოგრაფია ქვეყნის ეკრანებზე ქვეცნობიერი ბრძოლაა თავისუფლების წინააღმდეგ.

ბოლშევიკებმა არ აპატიეს თავისუფლება ხალხს. ეს მათ არასოდეს არ შეეძლოთ.

სამშაბათს, 25 სექტემბერს ბულგარეთი გახდა მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის წევრი.

ერთიანი გერმანიის შექმნასთან ერთად გდრ ოფიციალურად გავიდა ვარშავის მოლაპარაკებიდან. ვარშავის მოლაპარაკება გადმონაშთია.

სექტემბერში 10 000 ებრაელი წავიდა საბჭოთა კავშირიდან ისრაელში, 1991 წლისთვის 14 000 კაცი წავა, 1992 წელს—ამდენივე.

რაზე დაიხარჯა „პერესტროიკის“ ეს წლები? ძალაუფლების განმტკიცებაზე, ამბობს სოლჟენიცინი. სსრკ ცალკე სახელმწიფოებად უნდა დაიშალოს, რუსეთი უნდა გათავისუფლდეს სხვა არარუსი რესპუბლიკებისაგან, — „ნუველ ობზერვატორის“ მიმომხილველი ეჟულიარი ლაპარაკობს სოლჟენიცინის სტატიაზე რუსეთის შესახებ, — პიროვნების თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა, ცხოვრების მაღალი დონე, კერძო საკუთრება, — აი რას უსვამს ხაზს სოლჟენიცინი: რუსეთის ხალხს არ სჭირდება იმპერია, ჩვენ არა გვაქვს ძლიერი იმპერია და არც არის საჭირო. თავის სტატიაში, გვარების დაუსახელებლად, სოლჟენიცინი ეწინააღმდეგება გორბაჩოვს, პოპოვს, აფანასიევს და ბევრ რამეში — სახაროვსაც. იგი თავის თავს რუსეთის გულშემატკივარს უწოდებს, მისთვის მთავარი არ არის კავშირი, მაშინ, როცა გორბაჩოვისთვის მთავარი კავშირია. გორბაჩოვი კი არ შლის, არამედ უფრო ამტკიცებს კავშირს. ქვეყანა დიდ მკვდარ ქალაქს ემსგავსება. საბჭოთა არმია თავისებური გულაგია იმათთვის, ვინც იქ მსახურობს.

პრეზიდენტი ბუში მიესალმება გფრ კანცლერს და გერმანელ ხალხს, რომ მათ აქამდე მოიტანეს და არ დაკარგეს ოცნება ერთიან გერმანიაზე. — ბედნიერი ვარ, რომ ამერიკელი ხალხის სახელით ხელს ვაწერ ამ წერილს, — თქვა მან.

რადიოჟურნალი „საქართველო“. ერის მისიაზე 1952 წელს გამოცემული ცნობილი ამერიკელი თეოლოგის რეინოლდ ნაიბურის წიგნის მიმოხილვის შემდეგ „თავისუფლების“ პარიზელი კორესპონდენტი ჯანრი კაშია დასძენს: ქართველი ერი იბრძვის სრული დამოუკიდებლობისათვის, იგი უარს ამბობს საბჭოთა კავშირის ფედერაციაში შესვლაზე, რადგან მისთვის მიუღებელია ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა, მისი მისიაა — ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნებაში.

23 სექტემბერს ისე, როგორც ყოველ წელს, საფრანგეთის ქართულმა სათვისტომომ აღნიშნა 1924 წლის აჯანყების მორიგი წლისთავი. აგვისტოს ბოლო დღეებში, 28 აგვისტოდან — თითქმის მთელი კვირა, ის დღეებია, როცა გადაწყდა აჯანყების ბედი. 23 სექტემბერი არ იყო რაღაც საგანგებოდ შერჩეული თარიღი. უბრალოდ, ამ დღეს მოხერხდა სათვისტომოს წევრების შეკრება. ლევილში წირვით დაიწყო ეს დღე. შემდეგ ლევილის სასაფლაოზე — ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების სულების მოხსენიება. საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ სერგე მელიავამ თავის სიტყვაში თქვა: ეს იყო ეროვნული გმირობა, დღეს ყველასათვის ცნობილია ქაქუცა ჩოლოყაშვილის როლი ამ აჯანყებაში, როგორც ეროვნული გმირისა. დღევანდელ დღეს აქ ესწრება ქაქუცა ჩოლოყაშვილის შვილთაშვილი ბ-ნი გ. ხუნწარია, აქ იგი იმისთვის არის, რომ მოახერხოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის გადასვენება საქართველოში. სამიოდე თვის წინ მივილეთ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წერილი. ეს პარტია ითხოვდა იმას, რასაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილი და შვილთაშვილი... მიგვაჩნია, რომ ეს პიროვნება ერთ პარტიას ან ფრაქციას არ ეკუთვნის და ამიტომ, ისინი, ვინც თანახმა ვართ, ვთვლით, რომ ეს უნდა იყოს არა რომელიმე პარტიის, ანდა ოჯახის, არამედ ახალარჩეული საქართველოს პარლამენტის მოთხოვნა, ამ თავისი უდიდესი მამულიშვილის მიმართ. როცა ეს მოხდება, სათვისტომოს ის გამგეობა, რომელიც ახლა არსებობს, დიდ პატივად ჩათვლის მისი ნეშტის გადასვენებას საქართველოში. ეს საკითხი ასე თუ ისე, გადაწყდება. თანდათან ყველა მამულიშვილის ნეშტი უნდა გადასვენდეს საქართველოში.

იმ დღეს სტუდიაში მიწვეულ მწერალს ერლომ ახვლედიანს ესაუბრა ჯანრი კაშია. ე. ახვლედიანი: უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდი. ლეგენდარულია ჩემთვის ლევილი. ეს ჩვენი თავისუფლების ნამსხვრევია, რომელიც ბედმა გადმოისროლა საფრანგეთში. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ეს არის უდიდესი მოლოდინის ადგილი, ეს რაღაც მიტოვებულობისა და მარტოობის განცდას ბადებს და თითქოს ეძებს იმედს, რომ ოდესმე დაბრუნდება და აღდგება იგი, რაც დავკარგეთ. ვცდილობ გავაკეთო კინოფილმის სცენარი ამ თემაზე. ძალიან რთული თემაა. იმედია, ეს ნამსხვრევები გამთლიანდება, იმედია, და იმედი კი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

ჯ. კაშია: დიდი მადლობა, ვიმედოვნებ, რომ ეს იმედი მალე ახსრულდება.

# მადლის გზით მავალი

(დასასრული)

მოღვაწარს გზა-კვალი არ დაუკარგავს. ურიგო ვარ იქნებოდა. ჩვენს თაობას თავისი მადლიერება მისი სახელის უკვდავყოფით დაედასტურებინა.

P.S. არ გვეგონა „ლვაწლით შემოსილი“ ქართველი კაცის ამაგის გასახსენებელ წერილს მინაწერის დართვა რომ დასჭირდებოდა. მაგრამ ავისმოსურნე ჩვენს ქვეყანას გარეთ უწინდებურად ბევრი ჰყავს და, ეტყობა, ვერც შიგნით ვიჩენთ საჭირო სიფხიზლეს.

ვიღაცის „მაღალი შთაგონებით“ ჩვენში საზიფათო ინიციატივები იჩენს თავს. დღეს დიდად მოდური დეცენტრალიზაციის ყოვლისმომცველი ტენდენცია საქართველოს უპირველეს მონაპოვარს — ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის იდეას თუ დაემუქრა, ცუდად წაგვივა საქმე. სამწუხაროდ, ამის მაგალითები არცთუ მცირეა. ჩვენს გვერდით მოფაციფუცე „მოღვაწეები“ ბოლშევიკური ჟინით და შემართებით აკოწიწებენ თვალსატყუარ „ლამაზ ფასადებს“, რომელთა მიღმაც კუთხურობის გრძნობამ უნდა იმძლავროს.

მაგალითისათვის მავანთა ასეთი „ლოგიკაც“ იკმარებს. ვთქვათ სამეგრელოს, ისევე როგორც სხვა რომელიმე კუთხეს, რაღაც პრობლემები გაუჩნდა. როგორ უნდა ეშველოს საქმეს? — ვთქვათ იმით, რომ დაარსდეს რაღაც პერიოდული გამოცემა, რომელშიც თავს მოიყრიან მაინც და მაინც ამ მხარის შვილები და საქმეც მოგვარდება.

არა გვგონია მეგრული ფოლკლორის მარგალიტების შეგროვება და გამოქვეყნება რომელიმე პერიოდული გამოცემის კომპეტენცია იყოს. ამ საშურ საქმეს ამერ-იმერმა, მთელმა საქართველომ უნდა მიხედოს (სხვათა შორის, ამ მხრივ უკვე ბევრია გაკეთებული). მეზობელ თურქეთში მცხოვრები ლაზებიც მთელი საქართველოს საზრუნავია და არაერთხელ გამოუცემელი განძთისა. იგივე ითქმის სამურზაყანოს სატკივარზე და ა. შ. რაც შეეხება სპონსორებს, მთავარი მზრუნველი, უპირველესი სპონსორი, ხვალინდელი ახალი პარლამენტი უფრო უნდა იყოს, ვიდრე ერთი მხარის რომელიმე მძლავრი საწარმო ან კოლმეურნეობა.

სხვათა შორის. ჩვენ ფასეულობათა ულვთო დევალვაციის ეპოქაში გვიხდება ცხოვრება. საგულისხმოა, რომ ეს დამშლელი და დამაქცეველი პროცესი, პირველ ყოვლისა, სიტყვას, მის უცილობელ მნიშვნელობას დაემუქრა (გაიხსენეთ, ილია მოკლეს და ეს უბედურება ტყის ჭრისას ნაფოტების ცვენას შეადარეს). ამდენად, არ არის გამორიცხული, ისეთი გასაფრთხილებელი სიტყვაც კი, როგორიცაა „ერთობაა“, ხელში ჩაგვეკლოს და სრულიად სხვა, საპირისპირო მნიშვნელობა შეიძინოს (თუ არ ვცდებით, აფხაზური „აიდგილარაც“ ერთიანობას უნდა ნიშნავდეს). ამ სიტყვამ შეიძლება გარეგნულად ძველებურად გაიჟღეროს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, სრულიად საპირისპირო, თქვენ წარმოიდგინეთ „ნეომაფალური“ აზრიც კი გამოხატოს. და ეს მაშინ მოხდება, თუ პრობლემებს ზედმიწევნით კუთხური ნიშნით შემოვსაზღვრავთ.

როცა აკაკი ჩონგურის ერთი სიმის გაწყვეტის საფრთხეზე წუხდა, ცხადია, ის არ უგულისხმია, რომ ამ ერთ სიმს ცალკე პატრონი გამოუჩნდეხო. ის სიმიც, ისევე როგორც სხვები, ჩონგურის კუთვნილებად ესახებოდა.

მხოლოდ იმ ერთ სიმზე ზრუნვა სიმის გაწყვეტაზე ნაკლები საფრთხე როდია.

„ილიას ჯარისკაცების“ (მათ შორის ანტონ კეკელიას) ნაამაგარის გახსენებამ, დაფასებამ იქნებ გონივრული განსჯისა და ქმედებისკენ მიგვმართოს.

ჰონორარი გადაირიცხოს სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა დახმარების ფონდში.

# გამოიწერეთ ჟურნალი

# მნათობი

მკითხველი საზოგადოებისათვის უკვე კარგადაა ცნობილი, თუ რა მძიმე ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები. ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, წუწუნი და ვაი-ვიში საქმეს ველარ უშველის. იძულებითი ნაბიჯი გადადგმულია: გაისიდან ჟურნალის საცალო ფასი 1 მან. 30 კაპ. იქნება, წლიური ხელმოწერისა — 15 მან. 60 კაპ. გვჯერა, რომ ამ ძნელბედობის ჟამს ქართველი მკითხველი ზურგს არ შეაქცევს დიდი ტრადიციების მქონე პოპულარულ ჟურნალს, პირიქით, ახლა გაუწევს ნამდვილ მეგობრობას და თავისი ყურადღებითა და თანადგომით გაუადვილებს მას არსებობას.

რედაქცია კი არც მომავალში დაიშურებს უნარსა და მონდომებას თავისი ერთგული მკითხველისათვის.

ჟურნალ „მნათობის“ 1990 წლის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დასრულდება „ახალი აღთქმის“ სრული ტექსტის ბეჭდვა. თუმცა, საქართველოს საპატრიარქომ წელს გამოსცა თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ბიბლია“, „მნათობის“ პუბლიკაციამ მაინც მკითხველთა დიდი მხარდაჭერა და კმაყოფილება გამოიწვია. ამას მოწმობს რედაქციაში მოსული მადლობის წერილები, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მათთვის, ვისაც 1990 წელს „მნათობი“ არ გამოუწერია, წლევანდელი ნომრები ძნელი საშოვნელი გახდა.

1991 წლის პირველი ნომრიდან ვიწყებთ თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილი „ძველი აღთქმის“ ბეჭდვას.

გირჩევთ, დროულად გამოიწეროთ „მნათობი!“

ჟურნალის საცალო გაყიდვა 1991 წელს უფრო შეზღუდული იქნება და ამაოდ მოგიწევთ ცალკეული ნომრების ძებნა ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში.

ძირითადი ადგილი, როგორც ყოველთვის, დაეთმობა თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო ქმნილებებს: ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს, ფართოდ იქნება გაშუქებული ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მიღწევები, პოლიტიკური ცხოვრების ასპექტები. „მნათობზე“ ხელმოწერის გაფორმება შეუზღუდავად შეიძლება „სოიუზპეჩატის“ ნებისმიერ განყოფილებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას ნდობისა და ერთგულებისათვის.


მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯობაძე

მორიგე რედაქტორი მამუკა წიკლაური.





რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით